140
1987 /2

ISSN 0132 — 5973

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# პიონერი

2
1987




ცოტაც და, რაკეტის ეს მოდელიც მზად იქნება.

# „კოსმოსი“ და კოსმოსელები

მანანა გელაშვილი

ფოტო
დავით იაკოგაშვილისა

რესპუბლიკის სკოლისგარეშე აღმზრდელობით დაწესებულებებში დამკვიდრებული ტენდენციის შესატყვისად, თბილისის 26 კომისრის სახელობის რაიონის პიონერთა სახლშიც ყველაზე მეტი პოპულარობით მხატვრული აღზრდის წრეები სარგებლობდა, ტექნიკურ წრეებს ბავშვები ნაკლებად ეტანებოდნენ, თუმც-კი ერთ-ერთ მათგანს — ავიასამოდელო წრეს წევრები არასდროს შემოჰკლებია. სიამოვნებით მოდიოდნენ რაიონის სკოლების მოსწავლეები, რაღა თქმა უნდა, ძირითადად ბიჭები, აქაურ მომცრო სახელოსნოში, გატაცებით სწავლობდნენ პლანერებისა და თვითმფრინავების მოდელების აგებას, ეცნობოდნენ სამამულო ავიაციის ისტორიასა და მიღწევებს, ისმენდნენ საუბრებს, ლექციებს, მონაწილეობდნენ სხვადასხვაგვარ კონკურსებსა თუ გამოფენებში და წარმატებებსაც აღწევდნენ. ხოლო 1970 წლიდან მოყოლებული ამ წრეში მეცადინეობის მსურველთა რიცხვმა ლამის ერთი სამად იმატა. საქმე იმაშია, რომ წრემ ერთგვარად შეიცვალა პროფილი და ავიაკოსმოსურ მოდელირებაზე გადავიდა.

ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ ჟურნალ „მოდელისტ-კონსტრუქტორის“ რედაქციამ გამოაცხადა კონკურსი „კოსმოსი“, რომლის ორგანიზატორები ჟურნალის გარდა იყვნენ: სახალხო მეურნეობის მიღწევათა საკავშირო გამოფენის პავილიონი „ნორჩი ნატურალისტები და ტექნიკოსები“, კ. ციოლკოვსკის სახელობის კოსმონავტიკის ისტორიის სახელმწიფო მუზეუმი, კოსმონავტთა ქალაქი ზვიოზდნი და აკადემიკოს ს. კოროლიოვის მემორიალური მუზეუმი. თავიანთი ხელმძღვანელის, რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებლის ვალენტინ საყვარელიძის წამახალისებელი ხელშეწყობით ბიჭებმა გადაწყვიტეს მონაწილეობა მიეღოთ კონკურსში. ბევრი იფიქრეს, იმსჯელეს, იკამათეს, ათობით წიგნი და ჟურნალი გადაიკითხეს და ბოლოს არჩევანი ტურისტული მთვარემავლის მოდელზე შეაჩერეს. მათი მუშაობის შედეგის შესაფასებლად იმასღა დავძენთ, რომ მთვარემავლის მოდელმა კოსმონავტიკის სახელმწიფო მუზეუმის ექსპონატთა შორის დაიკავა ადგილი. იმ დროიდან მოყოლებული, წრე მთლიანად ავიაკოსმოსურ მოდელირებაზე გადაირთო და სახელწოდებაც შესაბამისი შეიძინა — „კოსმოსი“.

ნეტავ განახათ, კოსმოსელთა ნახელავი! რამდენნაირი მოქმედი მოდელია გამოფენილი პიონერთა სახლის საგამოფენო დარბაზში: ორბიტული კოსმოსური სადგური — გეოთანამგზავრი „მირ-1“ (1979 წელს მან სახალხო მეურნეობის მიღწევათა საკავშირო გამოფენაზე I ხარისხის დიპლომი, გაგარინის სახელობისა და ჟურნალ „მოდელისტ-კონსტრუქტორის“ დიპლომები დაიმსახურა), რომელსაც დედამიწასთან დაკავშირებული პროცესების შესასწავლად იყენებენ; საპლანეტათშორისო ხომალდი „ვეტეროკი“ (ეს

საქართველოს ალკკ ცკ-ის და ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ყოველთვიური საბავშვო ჟურნალი

# პიონერი

გამოდის 1926 წლიდან

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა 2 თებერვალი 1987

მოდელი სახალხო მეურნეობის მიღწევათა საკავშირო გამოფენის I ხარისხის დიპლომის მფლობელი, ახალგაზრდობის სამეცნიერო-ტექნიკური შემოქმედების დათვალიერების ლაურეატი და იაპონიაში ჩატარებული ახალგაზრდობის ტექნიკური შემოქმედების გამოფენის დიპლომანტია), რომელსაც მზის იალქნის დახმარებით შეუძლია კოსმოსში სხვა პლანეტებისკენ იმოძრაოს; „კოსმოპორტი და კონტეინერი ფერადი მუსიკით“ (ამ მოდელმაც სახალხო მეურნეობის მიღწევათა საკავშირო გამოფენის პირველი ხარისხის, გაგარინის სახელობისა და ჟურნალ „მოდელისტ-კონსტრუქტორის“ დიპლომები მოიპოვა), რომელიც სხვა პლანეტებზე მიმოფრენის შუალედური ბაზაც გახლავთ და კოსმორობოტიც; მოდელი „ვენერაზონდი“ (იგი მონაწილეობდა ამერიკის შეერთებულ შტატებსა და კანადაში გამართულ გამოფენებში „სსრკ-ის ახალგაზრდობა“). ორბიტული სადგური „კოსმოსური მეეზოვე“ (სახალხო მეურნეობის მიღწევათა საკავშირო გამოფენის II ხარისხის დიპლომის, გაგარინის სახელობისა და ჟურნალ „მოდელისტ-კონსტრუქტორის“ დიპლომების მფლობელი), რომელიც გამიზნულია უვარგისი, უკვე გამოყენებული სადგურებისაგან კოსმოსის გაწმენდის, მათი უტილიზაციისა და გადამუშავებისათვის...

ჩვენ „კოსმოსის“ წევრთა საუკეთესო ნამუშევრების მხოლოდ ნაწილი ჩამოვთვალეთ, მაგრამ ვფიქრობთ, წრის მუშაობის სერიოზულობისა და ნაყოფიერების დასტურად ესეც კმარა. თუმცა მიღწევაწარმატებები საქმის ერთი მხარეა, მთავარი კი უთუოდ ის გახლავთ, რომ „კოსმოსში“ მომუშავე მოსწავლეები ამთავითვე ეზიარებიან ტექნიკურ შემოქმედებას; იძენენ ძიების ჩვევებს, ივარჯიშებენ გონებას, ეს კი, თავის მხრივ, იმის საიმედო საწინდარია, რომ მომავალში ყმაწვილები აქტიურად ჩაებმებიან მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების პროცესში, და, სახალხო მეურნეობის თუ მეცნიერების რომელ დარგშიც არ უნდა იღვაწონ, თავიანთ ქმედით წვლილს შეიტანენ მის წინსვლაში, დღეს კი „კოსმოსის“ წევრები გულმოდგინედ და დიდი გატაცებით მეცადინეობენ, თვალებში შესციცინებენ თავიანთ საყვარელ ვალენტინ მასწავლებელს, სწავლობენ, ცოდნას იძენენ, მეცნიერებისა და ტექნიკის უახლეს მიღწევებს ეცნობიან. კვირადღეობით კი წრის წევრები დისპუტზე იყრიან თავს. ვის ახალი ტექნიკური ჟურნალი მოაქვს, ვის — გაზეთის ამონაჭერი, ვის — ძლივძლივობით მიგნებული საინტერესო წიგნი, ვინ კიდევ იდეებით დატვირთული მოდის, და იმართება სჯა-ბაასი. ცხარობენ ბიჭები, ერთ იდეას ზოგი იცავს, ზოგი უარყოფს, ამ კამათში იბადება მომავალი მოდელის პროექტი. შემდეგ შერჩეული პროექტი თუ იდეა საბჭოს სხდომაზე გააქვთ განსახილველად თუ დასამტკიცებლად და მხოლოდ ამის შემდეგ იწ-



წრის ხელმძღვანელი ვალენტინ საყვარელიძე და მისი აღსაზრდელები საგამოფენო დარბაზში.

ყება მისი ხორცშესხმა-განხორციელება. მეცადინეობა „კოსმოსში“ კვირაში ორჯერ ტარდება, ახალმოსულები ცალკე მეცადინეობენ, უფრო გამოცდილები, „სტაჟიანები“ კი — ცალკე, რა თქმა უნდა, მათი გასაკეთებელ-გაკეთებულიც განსხვავდება ერთმანეთისაგან. მუშაობის სურვილი, მონდომება, მუყაითობა და შრომისმოყვარეობა კი ყველას ერთნაირი აქვს, ხოლო უმთავრესი, რაც მათ აერთიანებს, არის კოსმოსის საიდუმლოებისადმი, ახალი აღმოჩენებისა და გამოგონებებისადმი ინტერესი, ანუ ის, რამაც აქ, 26 კომისრის სახელობის რაიონის პიონერთა სახლის ავიაკოსმოსური მოდელირების წრეში, მოიყვანა თითოეული მათგანი, მოიყვანა გელა ქუქუნაშვილი, ედუარდ ლესნიძე, კარენ ეგიზარიანი, ნუკრი ჯანიბეგაშვილი, რაჟდენ ბენაშვილი, დავით ხატიაშვილი, თემურ კოხაძე, სხვა დანარჩენები.

კოსმოსელებს ბევრი ახალი ჩანაფიქრი და იდეა აქვთ. ზოგი დამუშავების პროცესშია, ზოგის ხორცშესხმას დრო სჭირდება, განხორციელებით კი ყველა მათგანი უთუოდ განხორციელდება. აქაურებს არ სჩვევიათ შუა გზაზე შეჩერება, დაწყებულის მიტოვება-მიფუჩეჩება. კიდევ ბევრ მოდელს შექმნიან ვ. საყვარელიძის აღსაზრდელები, კიდევ ბევრ გამოფენასა თუ კონკურსში მოიპოვებენ ჯილდოებს და მაშინ კი ალბათ ვეღარც სახელოსნო და ვეღარც საგამოფენო დარბაზი ვერ დაიტევენ ბიჭების ნახელავ-ნამუშევარს, რომელთა განლაგება პიონერთა სახლის პირობებში ახლაც კი ჭირს, მაგრამ აკი ნათქვამია: „გული გულობდესო...“ „კოსმოსში“ კი გული ნამდვილად გულობს.



ვინ იცის, იქნებ ალექსანდრე როსტომაშვილმა სულაც ავიაკოსმონავტიკას დაუკავშიროს თავისი მომავალი საქმიანობა.



ახალბედა კომკავშირელია ფატიმა გველესიანი — ლენინური კომკავშირის რიგებში სულ წლინახევრის წინ მიიღეს, აქტიური ბუნებით კი მასწავლებლებსა და თანასკოლელებს უკვე დაამახსოვრა თავი. სკოლის კომკავშირული ორგანიზაციის მდივნად გასულ გაზაფხულზევე აირჩიეს, მოსწონდათ პიონერობის წლებში მისი გამორჩეული ინიციატივიანობა, ისიც, თანატოლები მის სიტყვას სხვისაზე მეტად რომ ენდობოდნენ და მიჰყვებოდნენ.

სექტემბრიდან საზრუნავი გაუორმაგდა ფატიმას. სწავლით აქამდეც კარგად სწავლობდა, ახლა ხომ მითუმეტეს — ამდენი გარჯით მოპოვებულ ავტორიტეტს გაფრთხილება უნდა. არადა, ერთი მხრივ — მეცხრე კლასის არცთუ იოლად დასაძლევი სასწავლო პროგრამა, მეორე მხრივ — კომკავშირული მუშაობა, საკმაოდ სერიოზული საზოგადოებრივი დატვირთვა... თანაც ლიტერატურა უყვარს ძალიან, თავისუფალ დროს კუთხეში მიმყუდროება და წიგნების კითხვა. დრო აღარ მყოფნისო, მაგრამ ამ სიკეთეს როგორ დაიკლებს?

საკმაოდ მოზრდილი კომკავშირული ორგანიზაცია აქვს ჭიათურის მე-7 საშუალო სკოლას (დირექტორი ელდარ ვაშაძე). 139 კომკავშირელი სიტყვით ითქმის იოლად, თორემ საქმით... ფატიმა ცდილობს, გაუგოს თანატოლებს, თვითონაც ისეთ ასაკშია... გამოცდილებით იცის, რომ მოზარდი ნაკლებად გაპატიებს, თუ უყურადღებობა გამოიჩინე, გულთან არ მიიტანე მისი პრობლემები. ისეთებიც არიან — ცუღლუტები, ხელმძღვანელისაგან, თუნდაც თანატოლისაგან, შენიშვნასა და რჩევას რომ ადვილად ითაკილებენ, განაწყენდებიან. არადა, ფატიმა ყოველთვის როდია ხათრიანი — პირდაპირობა უყვარს. ჯერ ახალი არ-

ჩეულია და კრებებზე უკვე არაერთი ოროსანი, გამცდენი და უდისციპლინო ამხილა. კრებებზე სიტყვით გამოსვლისას თავიდან ძალიან მეშინოდაო, სულ მეგონა, აი, ახლა გაიცინებენ, ახლა ახმაურდებიანო. მას კი მოუსმინეს. თითოეული მოსწავლისათვის უმნიშვნელოვანეს სატკივრებზე ჩამოაგდო სიტყვა, ობიექტურად გააანალიზა ყველა საკითხი და იმიტომ.

აი, ის პირველი პატარა გამარჯვებაც. ის ციცქნა აგური, რომელმაც, სხვებთან ერთად, უნდა შექმნას ფატიმას, როგორც სკოლის კომკავშირის კომიტეტის მდივნის, ავტორიტეტი. პირდაპირობა, ობიექტურობა — ეს ორი სიტყვა არაერთხელ გამოუყენებიათ მასწავლებლებს ფატიმას დასახასიათებლად. მოგეხსენებათ, ობიექტური ადამიანებისაგან რამდენს მოველით ხოლმე. ფატიმა გველესიანისაგანაც ბევრს მოელიან — მისი მასწავლებლები, ამხანაგები, ქალაქის კომკავშირული ორგანიზაცია, რომელმაც იგი საქართველოს კომკავშირის XXXIII ყრილობაზე თავის ერთ-ერთ დელეგატად წარმოგზავნა. მოელიან, მიუხედავად იმისა, რომ ეს თხუთმეტი წლის გოგონა, ერთი შეხედვით, სხვაზე მეტად თამამი და სიტყვამრავალი ვერ არის; თავის გაკეთებულზე თითქმის ვერაფერს ათქმევინებ — სიტყვას ისევ სხვა შეაწევს ხოლმე, ასე და ასე იყოო და რაიმე სიტუაციას მოყვება. იქნებ ეს სიმორცხვე უფრო თავმდაბლობაა... მაშინ, მეტი აღარაფერი დაგვრჩენია, ფატიმას კიდევ ერთი კარგი ადამიანური თვისება უნდა მივულოცოთ.

„დამხმარენი“ მანებივრებენო, — ჩვენს მორიგ შეკითხვას უხერხულობს ფატიმა. კომკავშირის კომიტეტის მდივნად რომ აურჩევიათ, იმ დღიდანვე მისი წინამორბედი მდივანი ია კუპატაძე ეხმარებოდა თურმე. მას სულ მოკლე ხანში გაურკვევია ფატიმა კომკავშირული მუშაობის ორგანიზაციულ მხარეებ-

**საქართველოს კომკავშირის XXXIII ყრილობის დელეგატი**



ფატიმა გველესიანი

# წარმატება

ში. ეს — კომკავშირელთა აღრიცხვიანობა და საწევრო-ანარიცხების მოწესრიგებაო, ეს კავშირგარეშეებთან და პიონერებთან მუშაობაო... საზოგადოებრივი საქმიანობის მცირეოდენი გამოცდილება, რაზმის საბჭოს თავმჯდომარეობის წლებში შეძენილი, ხომ თვითონ მასაც ჰქონდა და ჰქონდა. განსაკუთრებით მაინც თავის მასწავლებელს ემადლიერება — სკოლის დირექტორის მოადგილეს კლასგარეშე და იდეოლოგიური მუშაობის დარგში ნინო ცუცქირიძესა და მასწავლებელთა პირველადი კომკავშირული ორგანიზაციის მდივანს დათო გაბრიჭიძეს; მერე თავის აქტივისტ „თანაშემწეებს“ — მოსწავლეთა კომიტეტის თავმჯდომარეს, კომკავშირის კომიტეტის წევრს პაატა ნადირაძეს, სკოლის ი. გაგარინის სახელობის პიონერული რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარეს თეა ცუცქირიძეს, სკოლის პიონერხელმძღვანელს, ყველა აქტიურ კომკავშირელსა და პიონერს.

სექტემბრიდან დღემდე საერთო ძალებით 6 ტონა ჯართი, ტონა-ნახევარი მაკულატურა და 740 ცალი მინის ტარა შეუგროვებიათ სკოლის კომკავშირელებსა და პიონერებს. ტარაში მიღებული მთელი თანხა, სხვათა შორის, საკმაოდ სოლიდური, მშვიდობის ფონდში გადაურიცხავთ. მოსწავლეთა აკადემიურ ჩამორჩენასაც გაერთიანებული ძალებით ებრძვიან. ახლა ფატიმას მოუფიქრებია, რა იქნება, ორ-ორ ჩამორჩენილს თითო წარჩინებული მოსწავლე რომ მივამაგროთ, ერთად იმეცადინონ და მუშაობის შედეგები კომკავშირის კომიტეტის სხდომებზე წარმოგვიდგინონო... ამ საქმიანობას უთუოდ სკოლის კომკავშირის კომიტეტის აკადემიური სექტორისა და მოსწავლეთა კომიტეტის ერთობლივი ბოლო რეიდის მონაცემების მიხედვით გაშლიან... მერე კიდევ სხვა საქმეს წამოიწყებენ. მოსაგვარებელ პრობლემებსა და ახალ გასაკეთებელს რა დალევს ამხელა სასკოლო კომკავშირულ ორგანიზაციაში.

ნინო მასწავლებელმაც გამორჩეულად გაუსვა ხაზი ფატიმას ამ თვისებას, — საქმის წამოწყების და მასში ამხანაგების ჩაბმის უნარი აქვსო... დიახაც რომ თავიდათავი თვისებაა, რომლითაც ყველა დონის კომკავშირული ლიდერი უნდა გამოირჩეს. მით უფრო, რომ ჩვენი დღევანდელი გმირი — მეცხრეკლასელი ფატიმა გველესიანი — საგულისხმო გარემოებამ უკვე გამოარჩია თანატოლებისგან — იგი საქართველოს კომკავშირელთა დიდი ფორუმის დელეგატია, ფორუმისა, რომლის გაკვეთილებითაც მან მომავალში არაერთი კარგი საქმე უნდა წამოიწყოს და გააკეთოს.

**ნინო ავალიანი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



თ ე ი მ უ რ ა ზ ჯ ა ნ ჩ უ ლ ა შ ვ ი ლ ი

## ჩვენო რესპუბლიკავ, თებერვალო ჩვენო

ისევ დღის გადიდება,
ისევ თებერვალი!
ჟღერს სიმღერა ქართული,
რეკს ქართული რვალი.

მიწა, თოვლში ჩამბალი,
სუნთქვას გაიფიცხებს,
ხნულში ოქროს მარცვალი
გაღივებას იწყებს.

ისევ ღიმი მიმოზის,
ისევ სავსე მტკვარი.
ახალ შუქით იმოსვის
დარიალის კარი.

მწვანე პერანგს იკერავს
რილო-ჭრილო მდელო.
– რა დიდი მზით მოდიხარ,
დღეო დღევანდელო!

უკვდავების ტოტი ხარ,
სულ მძლეობ და მზეობ,
საბჭოთა საქართველოს
დაბადების დღეო!

...გულში შუქი ზვირთდება,
ხეში დგება წყალი.
ისევ დღის გადიდება,
ისევ თებერვალი!

გაზაფხულის ნაბიჯთა
ხმა ჩაესმით ველებს,
ცა მიწიდან ირეკლავს
ფერებს საკვირველებს.

ამ დიდი დღის ნათელი
გულით აგვამღერებს
ხვალინდელ დღის მშენებლებს –
ქართველ პიონერებს.

საბჭოთა საქართველოს
უმრწემესი შვილნი
მამულის სადიდებლად
მამების გზით ვივლით.

სამშობლოს ვასახელებთ
სწავლითა და შრომით,
ახალი და მაღალი
მწვერვალების წვდომით.

მხარში მტკიცედ გავყვებით
საბჭოეთელ და-ძმებს,
მეგობრობის ძალხმევით
ყველა აღმართს დავძლევთ.

წინსვლის მაღალ გზაზე
ვერც რამ შეგვაჩეროს,
ჩვენო რესპუბლიკავ,
თებერვალო ჩვენო!

შ ო თ ა ა მ ი რ ა ნ ა შ ვ ი ლ ი

## ძმობის დუღაბით შეკრული

მთა-ბარი მართლაც უბადლო,
ცა — ვარსკვლავებით ნაგები,
ამ წალკოტს უნდა უმადლოს
ბულბულმა ტკბილი ჰანგები.

მიწა მზის სირმით იმკობა,
გული ხალისით გვიღელავს,
ზეიმობს ქვეყნად მშვიდობა,
ჟღერს ხალხთა ძმობის სიმღერა...

გაავებული გვესხმოდა
ნიადაგ მტერი ტიალი,
„ცუდას რად უნდა მტერობა,
კარგია მუდამ მტრიანი“.

ყველა თავისთვის ცდილობდა
ედემის ხელში ჩაგდებას,
მაგრამ ზღაპრული გმირობა
ედგა ქვეყანას თავდებად,

ბერი თევდორეც იკმარებს
მაგალითისთვის სათქმელად,
დუშმანზე ჯავრი ვიყარეთ,
ვერ შესძლეს ქართლის გათელვა.

ურდო ურდოზე გვიტევდა
და გვიპირებდა წალეკვას,
ჩრდილოეთიდან იმედად
სამოყვრო ზარმა დარეკა.

შავბნელი ჟამით ბედკრული,
სისხლის წვიმებით ნამული,
ძმობის დუღაბით შეკრული
გადარჩა ჩვენი მამული...

მერე ოქტომბრის განთიადს
მოჰყვა ნეტარი დიდება,
გული ღრმა რწმენით ანთია,
სამშობლო მზისებრ ბრწყინდება!

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოჩენილ ქართველ მწერალს, რუსთაველის პრემიის ლაურეატს, საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანს რ ე ვ ა ზ ი ნ ა ნ ი შ ვ ი ლ ს 60 წელი შეუსრულდა. ჩვენი ჟურნალის შემოქმედებითი კოლექტივისა და თქვენი, „პიონერის" მრავალათასიანი მოზარდი მკითხველების სახელით ვულოცავთ მწერალს ამ საიუბილეო თარიღს და გთავაზობთ მასთან ჩვენი კორესპონდენტის საუბარს.



# ეს სიხარული ჩემს მოთხრობებად იქცევა

— ბატონო რევაზ! უპირველესად, შეგეკითხებით როგორც მწერალს, რომელიც ძალზე ბევრს წერს ბავშვებზე და ბავშვებისათვის... მოგეხსენებათ, რას ნიშნავს მათთვის შეხვედრა საყვარელ მწერალთან. თქვენ თუ გამახსოვრდებათ ხოლმე ბავშვებთან შეხვედრები, როგორ გრძნობთ, ესმით მათ თქვენი?

— ბავშვებთან შეხვედრა ძალიან მიყვარს. ისინიც, თავის მხრივ, სტუმრად იშვიათად როდი მიწვევენ, ძირითადად, რა თქმა უნდა, სკოლებში. ძალიან საინტერესო შეკითხვების მოცემა იციან. ერთ-ერთი შეხვედრისას, მახსოვს, „თავს დამესხნენ" — ბარბარიზმებს რატომ ხმარობთო... ერთმა მკითხა, ცხოველების ლაპარაკი მართლა თუ გესმითო. შეეცადე, შენს ძაღლს თვალებში ჩახედო და მის სათქმელ სიტყვებსაც იქ ამოიკითხავ-მეთქი, ვუპასუხე.

ბავშვების დიდ სითბოს ჩემი ფოსტიდანაც ვგრძნობ. ისე როგორ იქნება, დღეში რამდენიმე წერილი არ მოვიდეს მათგან. მიყვებიან თავიანთ შთაბეჭდილებებზე, ფიქრებსა და განცდებზე, თუმცა... ხშირად გაბედულებაც აკლიათ. ამას წინათ მთელმა კლასმა გამომიგზავნა თავისი შთაბეჭდილებები, ჩემი ერთი მოთხრობა წაუკითხავთ — „ქარი რომ უბერავდა და თან თოვლის ფიფქები მოჰქონდა"... წარმოიდგინეთ, ერთად მოსული 30 წერილი! ალბათ, მწერლის გაგებაც ესაა. გამიხარდება, თუ ახლახან გამოსულ ჩემს წიგნს „შველი ზამთარში" ასეთივე ყურადღებით წაიკითხავენ...

**— ალბათ თქვენც შეგინიშნავთ ზოგიერთების ცოტა უცნაური დამოკიდებულება მოზარდებისადმი. ისინი მათში მხოლოდ რბილ, დამყოლ თიხას ხედავენ, რომლისგანაც ხვალისათვის კარგი ადამიანი, კარგი მოქალაქე, ამა თუ იმ საქმის კარგი სპეციალისტი შეიძლება „მოიზილოს". არადა, ეს ბავშვები კარგი ადამიანები და ხშირად მოქალაქეებიც არიან უკვე — ხასიათებით, მისწრაფებებით, თვისებებით... თვითონვე ერევიან თავიანთ პრობლემებს, ეჭიდებიან ოჯახების საწუხარსაც, ამა თუ იმ მოვლენის მიმართ, არცთუ იშვიათად აქვთ ხოლმე გამოკვეთილი პოზიცია. ასეთები არიან თქვენი მოთხრობების პატარა გმირები — რეალურები, ცოცხლები და, რაც მთავარია, უკვე პიროვნებები. მახსენდება ბაია, დედუნა და, განსაკუთრებით, მირანდუხტი, რომლისადმიც არ შეიძლება პატივისცემით არ განეწყო...**

— თქვენ კარგად შენიშნეთ. ეს პრობლემაა. დღეს ბავშვს მართლაც ისე უყურებენ, როგორც მხოლოდ ადვილად დასამუშავებელ მასალას აღმზრდელის ხელში. აქ სიფრთხილეა საჭირო, თორემ ერთ დღეს აღმოვაჩენთ, რომ შეგვშლია... რაც შეეხება ლიტერატურას, ბავშვებისთვის

წერა ყოველთვის ძნელი იყო, მით უფრო, ძნელია იგი დღეს — XX საუკუნის 80-იან წლებში, გონებრივად საკმაოდ განვითარებული, „დიდთავიანი" ბავშვების ერაში. ზოგიერთს საბავშვო ნაწარმოებთა გარეგნული სიმარტივე მოატყუებს ხოლმე და ამ საქმეს იმდენად იოლად მიიჩნევს, რომ საბავშვო ლიტერატურაში მუშაობა კიდეც ერცხვინება.

გენიალურად განმარტავს ვაჟა-ფშაველა: „ნურავის ჰგონია, ადვილი იყოს საბავშვო ლექსისა და მოთხრობის დაწერა, ყველაზე ძნელი სწორედ ესაა. და თუ არა ღვთიური ნიჭით მირონცხებულს, სულით მდიდარს, რაც ერთგვარად 5-6 წლის ბავშვს უახლოებს 40 წლის ადამიანს, არ შეუძლიან გახდეს საბავშვო მწერალი". ვაჟას ხომ დაეჯერება, „შვლის ნუკრის ნაამბობის" ავტორს... ან, გავიხსენოთ, როდის დაიწერა ლევ ტოლსტოის შესანიშნავი საბავშვო მოთხრობები — მაშინ, როცა, უკვე არსებობდა მისი „ანა კარენინა" და „ომი და მშვიდობა".

ჩვენ, მწერლებმა, ბავშვებს უნდა ვასწავლოთ, ოღონდ იმგვარად, რომ არ წავართვათ მათ მიამიტობა, ბუნებრიობა, თავისთავადობა, უცნაურობა, სამყაროსთან უმშვენიერესი თვალებით შეგებების უნარი...

**— ყოველ კაცს განსაკუთრებული დამოკიდებულება აქვს თავისი ცხოვრების მთავარ აზრად მიჩნეული საქმისადმი, იმ ფორმისადმი, რომლითაც იგი ამ საქმეში საკუთარ შინაგან „მეს" და სულს გამოხატავს. რას ნიშნავს თქვენთვის მოთხრობა?**

— მოთხრობა იმ წვეთივითაა, რომელშიც მწერალმა დიდი მდინარე უნდა დაგანახოს. ახლა არ მოვყვები ფართოპლანიან ნაწარმოებებთან მის შედარებას — ეს შორს წაგვიყვანდა. მოკლედ ვიტყვი: მოთხრობა, როგორც მცირე ზომის ჟანრი, მწერლისგან მეტ ოსტატობას მოითხოვს, „გრძელი სიტყვის მოკლედ" თქმის ხელოვნებას, სათქმელის ჩაჭედვას, ფრაზის დაწურვას, თხრობის მეტ სინათლესა და კონკრეტულობას. მასზე მუშაობა, რა თქმა უნდა, ადვილი არ არის. აქვე ერთის შესახებაც: ცნობილია, რომ იაპონელებმა ჯერ კიდევ უძველეს საუკუნეებში შექმნეს უზარმაზარი ლიტერატურა — მცირე ზომის ნაწარმოებები, ვგულისხმობ ხაიკუს, ტანკას და ა. შ. — აზრის სინათლის, ლაკონიზმის, სადა ენით წერის უდიადეს მაგალითებს...

**— მწერლისათვის ენის ფენომენი, მით უფრო, მშობლიური ენისა, რომელზეც იგი მუშაობს, გამორჩეული ფენომენია. თქვენ მოკლე ფრაზაში რაც შეიძლება მეტი სათქმელის „ჩაჭედვა" ახსენეთ, ისიც, — ბავშვებმა ერთ შეხვედრაზე მითხრეს, ბარბარიზმებს ხმარობთო. ვსარგებლობ თქვენივე ფრაზით და, გეკითხებით, როგორც „ღიმილმოფრქვეულ სევდიან საწყისებს" მიყურადებული უამრავი პატარა მოთხრობის ავტორს, როგორ მუშაობთ ენაზე, ვინ მიგაჩნიათ თქვენს ლიტერატურულ მასწავლებლად?**

— ჩემი მუშაობის ძირითადი პრინციპი ასეთია — ენა საქმიანი და საქმის ხელშემწყობი უნდა იყოს. ჟორჟ სიმენონისთვის უკითხავთ, რა არის თქვენი წარმატების ძირითადი მიზეზიო. ალბათ, ის, რომ პირდაპირი მნიშვნელობით ვხმარობ ყველა სიტყვას, რაც კი არსებობსო... ჩემი ენობრივი დამოკიდებულების ამოსავალი წესიც ასეთია — — მოვლენა ზუსტად, ნათლად უნდა აისახოს. მწერალმა სიტყვა არ უნდა აწვალოს, მისი ასოციაციურობით მკითხველი არ უნდა დაღალოს. მით უფრო, როცა ეს მკითხველი ბავშვია. ბავშვები გრძელ ფრაზებს ვერ იგებენ. ასეთ შემთხვევაში წაუკითხავად გამოტოვებენ ხოლმე ნაწარმოების მთელ რიგ ადგილებს. მწერლის დიდი შრომა კი იკარგება. რაც შეეხება ლიტერატურულ მასწავლებელს, ჩემთვის ასეთი ვაჟაა. ერთი ასეთი მოთხრობა მაქვს — „ბიბო". მის გაჩენას სოფელში ჩემს მეზობლად მოსახლე უცნაურ ბიჭს ვუმადლი. დავინახავდი თუ არა წყაროსკენ დოქით ჩავლილს, ხუთიოდე წლისას, გავძახებდი ხოლმე: — კაცო, ბადრი, როგორა ხარ-მეთქი. რა ვიციო, — ხმადაბოხებული გამომძახებდა, — გული დარდიანი მაქვსო... ამით რისი თქმა მინდა... მწერლის ენას ყოველთვის პერსონაჟის გარემო და ხასიათი განაპირობებს. თუ გლეხს ალაპარაკებ, მაშინ მის მეტყველებაში სხვადასხვა მიზეზით დამკვიდრებული ბარბარიზმებიც უნდა იხმარო. ენაც ხომ გარემოს შვილია. ყველაფერი თავის სამეტყველო ელფერს მოითხოვს, ჰოდა, შენც ამ ელფერით უნდა გადმოსცე შესაბამისი გარემო. სხვანაირად მკითხველი არ დაგიჯერებს.

**— დღეს კინოდრამატურგიაში, არაერთი მწერალი მუშაობს. თქვენ მათ შორისაც გამოგვერჩევით, ქართველი მაყურებელი თქვენი სცენარით გადაღებულ ბევრ ფილმს იცნობს: ოთარ იოსელიანთან ერთად შექმნილ „პასტორალს", გიორგი ლეონიძის მიხედვით გადაღებულ „ნატვრის ხესა" და „ჩირიკსა და ჩიკოტელას", გურამ რჩეულიშვილის მიხედვით გადაღებულ „ალავერდობას", მთლიანად თქვენს ფილმებს: „განგაშს", „არდადეგებს", „ფერმა მთაში", „კაცებს", „ანდერძს", „დედუნას"... ბევრი მათგანი თქვენი მოთხრობების საფუძველზე შეიქმნა. და, საერთოდაც, დღეს ძალზე გაიზარდა თქვენი მოთხრობებით კინორეჟისორთა, განსაკუთრებით კი ახალგაზრდა კინორეჟისორთა დაინტერესება. როგორ ხსნით ამას, როგორ დაიწყო თქვენი მეგობრობა კინემატოგრაფთან?**

— ეს მოხდა 1966 წელს. კინოსტუდიაში სამუშაოდ მივედი. რედაქციის მაშინდელმა გამგემ აკაკი ბაქრაძემ დამიყოლია. იქამდე ჩემი სცენარით რეჟისორ მერაბ კოკოჩაშვილს ჰქონდა გადაღებული ერთი მხატვრული ფილმი — „არდადეგები", მალე გიორგი შენგელაიამ შემომთავაზა თანამშრომლობა — სცენარი შევქმენი გ. რჩეულიშვილის „ალავერდობის" მიხედვით. ასე დაიწყო. დღემდე ვარ კინოსტუდიასთან არსებულ მწერალ-კინოდრამატურგთა გაერთიანების წევრი.

თქვენ ჩემი მოთხრობებით კინორეჟისორთა დაინტერესება ახსენეთ. ამის მიზეზს ვერ აგიხსნით. ისე კი... ძალიან მესიამოვნა თელაველთა სპექტაკლის „ჩემი წყალ-ჭალის ხმების“ ნახვა, რომელიც ჩემი მოთხრობებისგან არცთუ უინტერესოდ შეიკრა. ასევეა კინოშიც. მაგრამ კინოდრამატურგობა მაინც არ მიმაჩნია ჩემს საქმედ. ფილმში მთავარი მაინც რეჟისორია, აქ მწერალი თავისუფალი ვერ არის. თანაც ლიტერატურა მეწევა განუწყვეტლივ თავისკენ...

მცირე რამ გიორგი ლეონიძის „ნატვრის ხეზეც“ მინდოდა მეთქვა: მე მუდამ ვიყავი ამ წიგნის პოპულარიზატორი, ძალზე მწყინდა, რომ პირველ ხანებში იგი ვერ სარგებლობდა შესაფერისი მოწონებით, მიმაჩნია, რომ იგი გოგლამ ბავშვობის სევდაში წასულმა დაწერა. ეს წიგნი გლეხური ცხოვრების ენციკლოპედიაა. სამწუხაროდ, ფილმში ზოგი რამ დაიჩრდილა, მაგალითად, ციციკორე — წიგნის ერთ-ერთი საუკეთესო ლიტერატურული პორტრეტი. რაც შეეხება ფილმის გადაღების პროცესს... გახსოვთ ის ყრუ ხმები, მარიტას დასჯის კადრებში ერთმანეთში არეულ უამრავ ბგერას რომ ერთვოდა? ეს ხმები ფილმის ხმის ოპერატორებმა მეტეხის ტაძარში აღმოაჩინეს — თურმე აქ დაბუდებული მტრედები გამოსცემდნენ... ასეა, შემოქმედებითი მუშაობის პროცესი ზოგჯერ ამგვარ სიურპრიზებსაც გვახვედრებს.

**— ბატონო რევაზ! თქვენი მოთხრობის პირველი დაბეჭდვა უნდა მოგაგონოთ. თუ არ ვცდები, ეს იყო ჟურნალ „დროშაში“ გამოქვეყნებული „სამგორელები“. ვგონებ, თქვენს ცხოვრებაში ამ დროს იყო ადამიანი, რომელმაც თქვენს მაშინდელ ყმაწვილკაცობას მცირე რამ ამაგი დასდო...**

— აკადემიკოს ნიკო კეცხოველზე დაუსრულებლად შემიძლია ვილაპარაკო. უნივერსიტეტში მისი რექტორობის დროს ჩავირიცხე. ბატონი ნიკო იმ თაობიდან იყო, უფრო ხალხოსნური ბუნების მოღვაწენი რომ სჭარბობდნენ. უცნაურად კეთილი ადამიანი გახლდათ, სტუდენტებზე მამასავით მზრუნველი. უნივერსიტეტის ლიტერატურული წრის ერთ-ერთ შეხვედრაზე მოუსმენია ჩემი რომელიღაც მოთხრობა. თურმე ნუ იტყვით — დავუმახსოვრებივარ. მაშინ უჯარმაში ვმუშაობდი, სამგორის სარწყავი არხის მშენებლობაზე. იქ ჩამოსულა, იმ დღეს სამუშაოზე არ ვყოფილვარ და მშენებლობის უფროსისთვის დაუბარებია ჩემთვის გადმოსაცემი — თბილისში ჩამოვიდესო... მერე, უნივერსიტეტის ლიტერატურულ ალმანახ „პირველ სხივში“ დაიბეჭდა ჩემი მოთხრობა „სახსოვარი“. ასე იყო. სხვაც რამდენი...

მახსოვს, სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვეულები თბილისიდან რომ წაგვიყვანეს, ბატონი ნიკოც გამოგვყვა, დაგვაბინავა და როცა ჯერი ჩვენს თმის გაკრეჭაზე მიდგა, არაფრით არ დაანება იქაურებს — მესამეკურსელმა სტუდენტმა თავი ისე თუ ვერ შეინახა, ტილი არ გაუჩნდეს, იმას უნივერსიტეტში რა უნდაო... მისი ხათრით, ძველი ფარაჯებიც ვერ გვაკადრეს — ახლები დაგვირიგეს. მერეც სულ გვაკითხავდა, ნახულობდა, როგორ ვცხოვრობდით.

ერთხელაც კახეთში, ერთი სოფლის გზაზე ბიჭი გადაუდგომია, ყელი გამოუგლიჯავს — ბატონო ნიკო, ოჯახში მესტუმრეთ, თქვენი ნასტუდენტარი ვარო. ნიკოს სოფლის ჩატეხილი ბოგირი დაუნახავს. ჩემი ნასტუდენტარი აქ ცხოვრობ და მდინარეზე ხიდი როგორ არ გაქვთ, არა გრცხვენია, განა საქეიფოდ გაქვს საქმეო... არასგზით არ წაყოლია მოპატიჟეს, ერთი კვირის თავზე კი მიწვევა მიუღია — თურმე ახალაგებულ ხიდზე გაბმული წითელი ლენტი გააჭრევინეს... ასეთი იყო, კარგი საქმის მოამაგე და ქომაგი.

**— თქვენი შემოქმედებითი გეგმები...**

— სურვილი მაქვს, ერთი კარგი საბავშვო წიგნი დამეწეროს. როცა ბავშვებზე და ბავშვებისთვის ვწერ, თითქმის სულ ჩემი ბავშვობის, ჩემი სოფლისბიჭობის შთაბეჭდილებებით. თანამედროვე ბავშვებისაგან უფრო შორს მგონია თავი, ვიდრე იმ ჩემი პერიოდისაზე... მაგრამ სიხარულით კი ძალიან მიხარია, როცა ნორჩ მკითხველს ჩემი ესმის. ეს სიხარულიც ჩემს მოთხრობებად იქცევა.

მწერალს ესაუბრა
**ნინო ხარაზიშვილი**

ახალი წიგნები

შოთა ამირანაშვილი
„სახალისო“

შოთა ამირანაშვილის სახელს ალბათ უკვე იცნობს ჩვენი მოზარდი მკითხველი. ამ ავტორის გამოცანები, შარადები თუ იუმორი ხომ ასე ხშირად იბეჭდება რესპუბლიკის პერიოდულ პრესაში, მათ შორის, ჩვენს ჟურნალშიც.

და აი, ჩვენს წინ გამომცემლობა „ნაკადულის“ მიერ ამ ცოტა ხნის წინათ გამოცემული, მართლაც რომ ხალისიანად გაფორმებული პატარა კრებულია (წიგნის მხატვარია დ. დუნდუა). სახელწოდებაც რომ სწორედ წიგნის განწყობილებისა და დანიშნულების შესაფერისი შეურჩევია ავტორს. „სახალისო“ აერთიანებს 87 შარადას, 88 გამოცანასა და 27 ამოცანას. თითოეული მათგანი უთუოდ ღირსეულ გამოცდას მოუწყობს თქვენს გონებამახვილობასა და საზრიანობას, დაგაფიქრებთ მრავალი სიტყვის წარმომავლობასა და შინაარსზე, გონებას გაგივარჯიშებთ, შეგაჩვევთ პასუხების სწრაფად მოფიქრებას, გაგიღვივებთ მშობლიური ენის სიყვარულს. გასწავლით მისი თითოეული სიტყვის სწორად აღქმასა და მოფერებას.

ბედნიერ შეხვედრას გისურვებთ, წიგნო და ნორჩო მკითხველო!



ელექტრონული ბიბლიოთეკა

# ეს დაუდეგარი არდადეგები



ალექსანდრე ლორიე · მ ო თ ხ რ ო ბ ა · მხატვარი თემურ ფხიკიძე

დაბნეულმა, სახეალეწილმა ვაჟმა ოდნავ გაიწია განზე. ნინიკომ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა და შორიახლოს გაჩერდა. ლერიმ წყრომით შეუტია ლალის.

— რას გავხარ, გოგო, ლამის შიშველი გამოხვიდე ქუჩაში!..

— ასე დადის ყველა აქ, ვერა ხედავ? პლაჟია.

— კარგი ერთი! — ადუღდა ლერი და ნინიკოს გახედა, რომელიც იქვე იდგა და მას ელოდებოდა. — წავედი ახლა...

— წაბრძანდი, ბატონო! — წყენითა და დაცინვით გამოეთხოვა ლალი და, როცა ლერი და ნინიკო ცოტათი დაშორდნენ, ხმამაღლა დაუძახა: — ბებიას ჩემგან მოკითხვა გადაეცი!

ლერის არ მიუხედავს მისკენ.

მაგიდას რომ მიუსხდნენ, უხერხულად ჩაილაპარაკა:

— დეიდაშვილია ჩემი... დიდი ქარაფშუტაა! — ამ თქმაზე ისე გაწითლდა, ყურებიც კი აეწვა. ნინიკომ მშვიდად შენიშნა:

— შენ ისე გაწითლდი, თითქოს შენ იყო რამეში დამნაშავე.

ლერის სულ გაეფანტა აზრები. სიტყვას დაუწყო ძებნა, სურდა როგორმე სხვა საგანზე ჩამოეგდო ლაპარაკი, მაგრამ, თითქოს ჯიბრზეო, ისევ ლალის დაუბრუნდა ძალაუნებურად:

— ისეთი ჭორიკანაა, აუტანელი! — უცებ ნაძალადევად გაიცინა და მოგონილი მხიარულებით გააგრძელა: — იცი, რაო? საზღვრის დამრღვევები დაუჭერიათო ზღვაში, — ჩვენს ამბავზე შეუქმნიათ ლეგენდა, — გახსოვს?.. — ხმამაღლა გადიხარხარა იმ იმედით, იქნებ ნინიკოსაც გადასდებოდა ხალისიანი განწყობილება, მაგრამ ის რატომღაც მოღრუბლული და დაფიქრებული იჯდა. — არა, მაინც, რა იყო, ა?.. როგორ გადაგვიძახეს წყალში... ჰა, ჰა, ჰა!.. პირველად შემეშინდა. ვიფიქრე, ამოდენა მანძილს როგორ დავფარავ-მეთქი, მაგრამ შენ რომ გიყურებდი, გული მომეცა. მაინც, როგორ მიდიოდი! აი, მესმის კროლი! მე კარგად ვცურავ, მაგრამ შენ ვერ აგიბი მხარი... მაგარი ვინმე ხარ, ღმერთმანი!

თანდათან აეწყო საუბარი. რაზე არ ილაპარაკეს, — მეგობრობაზე, რაინდობაზე, სპორტზე, ხელოვნებაზე, პოეზიაზე, წიგნებზე, ამხანაგ-მეგობრებზე... ლერი ხედავდა, რომ კაპიტანს აქაც ვერ აუბამდა მხარს. მან იმდენი რამ იცის, იმდენი რამ წაუკითხავს, ისე მსჯელობს, მე მასთან როგორ მოვალო. ნეტავ როდის მოასწრო ამდენის ნახვა და წაკითხვა?

ერთმანეთს რომ შორდებოდნენ, ლერიმ მოკრძალებით ჰკითხა, წვრთნაზე მოხვალ თუ არა დღესო. ქალიშვილი ჩაფიქრდა. მერე რატომღაც ნაღვლიანად უპასუხა:

— არა, ვერ მოვალ...

## 6

ორი დღე გადაუღებლად წვიმდა. ტროპიკული სიცხეები ტროპიკულმა წვიმებმა შეცვალა. ზღვაზე მქისე ნისლი ჩამოწვა, წყალი ჩამუქდა და ჩაჟამდა. ღელვები დიდი არ ყოფილა, რაკი ქარი არ უბერავდა, და არც ციოდა მაინცადამაინც. ამიტომ მეთევზეების ბარკასები მაინც გადიოდნენ ზღვაში, თუმც შორს ვერ ბედავდნენ შესვლას.

ნინიკომ დილაადრიანად გამოაგორა თავისი შვედური ველოსიპედი და სასეირნოდ გაემართა. მეზღვაურულ ხამი ტილოს შარვალსა და კაპიუშონიან წყალგაუმტარ ქურთუკში თავს არხეინად გრძნობდა. ხალისით აწვებოდა პედლებს.

ქალაქს ჯერ არ გაღვიძებოდა. ქუჩებში სიჩუმე იდგა. მხოლოდ წვიმის თანაზომიერი შხაპუნი ისმოდა.

ქალაქგარეთ რომ გავიდა, ბარკასების სადგომის მახლობლად ვიღაც ველოსიპედისტს წამოეწია. ბრეზენტის საწვიმარი და რეზინის ჩექმები ეცვა, თავზე კაპიუშონი წამოეფარებინა, უკან სპეციალურად დამაგრებულ ცხაურზე თევზით სავსე საკმაოდ მოზრდილი წნული კალათი ჰქონდა მავთულებით მიბმული. ისე აუჩქარებლად, ლაღად მიდიოდა, ნინიკოს მოეჩვენა, ეს კაცი უნდა ღიღინებდეს კიდეცო, და არც შემცდარა: რომ დაუმხარდამხარდა, მართლაც გაიგონა მისი უდარდელი ღიღინი. გვერდი აუქცია და გაუსწრო.

გაგრძელება. იხ. „პიონერი“ № 12 — 1986 წ., № 1 — 1987 წ.

— კაპიტან! — მოესმა უკანიდან და გული შეუქანდა. სწრაფად მოიხედა და ნაცნობი სახე რომ დაინახა, ერთბაშად შეაყენა ველოსიპედი და ჩამოხტა.

— გუბკა, შენა?!.

გუბკა ქალიშვილს მიუახლოვდა და თავადაც ჩამოქვეითდა. ჩვეულებრივ, გაცისკროვნებული თვალებით იღიმებოდა.

— შეგაშინე? — კარგა ხნის შემდეგ იკითხა.

— ჰო, — არ დაუმალავს ნინიკოს და სახეზე დააკვირდა. გუბკამ სცადა, თავი აერიდებინა მისი დაჟინებული მზერისათვის, მაგრამ რას გახდებოდა? როგორ დამალავდა ჩალურჯებულ უპეს, ჩამობღლოტილ ლოყასა და დასიებულ სქელ ტუჩებს?

— ეჰ... მოხდა რა... — აბნეულად დაიწყო თავის მართლება, — ცხენიდან გადმოვვარდი... გასულ ორშაბათს... — და განზე გაიხედა.

— არა! მართალი თქვი!.. ეს — იმ ბიჭებმა, არა? — თავით გაურკვეველი მიმართულებით ანიშნა ნინიკომ და თვალებში თანაგრძნობით ჩახედა.

— ჰო, — ამოიხვნეშა იმანაც. — სამნი იყვნენ... ტოღრიკაც იყო, მაგრამ ის არ ჩარეულა საქმეში, შორიდან გვიყურებდა... მეც შემეძლო რამე მექნა, მაგრამ... — ხელი ჩაიქნია და ცოტათი გამოცოცხლდა. — ეჰ, არ გამოვიდე თავი, და კარგიც ვქენი. უარესიც შეეძლოთ მოეფიქრებინათ, ახლა კი ამით დამთავრდა ყველაფერი... და ძალიანაც კარგი!

ერთად გაუყვნენ გზას ფეხით. ბიჭი გვერდზე მოუხედავად მიდიოდა, გოგონა კი დაუფარავი თანაგრძნობით შეჰყურებდა და ერთგვარი შურით ივსებოდა მის მიმართ. შენატროდა, რომ ნებისმიერ დროს შეუძლია, რაც სურს, ის გააკეთოს: გაჰყვეს მეთევზეებს ზღვაში, მათთან ერთად ღამე ტეხოს, სტიქიონს შეებრძოლოს, ცხენით იჯირითოს, ვიღაცის მანქანით იქროლოს...

— წუხელის სეინერზე ხომ არ იყავი? — მოულოდნელად ჰკითხა. — საიდანაა ამდენი თევზი?

— ჩემმა ძმამ, ჩემზე უფროსი რომაა, იმან გამომატანა. ის და მისი ამხანაგი დადიან ნავით. ცოტ-ცოტას იჭერენ. ოჯახისათვისაც, გასაყიდადაც.

— ეს ახლა ბაზარში მიგაქვს?

— არა, მასეთები არ მეხერხება. მაგის ოსტატი ჩემი მომდევნო ძმაა, აი, ის ოხერი, მწეველი ვაჟბატონი, — ჩაიქირქილა გუბკამ და მერე უცებ შეცვალა კილო, — არ გინდა? წაიღე! ჩვენ მაინც არ გვინდა ამდენი.

— არა, გმადლობ, — იუარა ნინიკომ, — ჩვენთან არავინაა მაგის გამკეთებელი.

კვლავ ფეხით მიდიოდნენ, ნელ-ნელა, ახლო-ახლო და თან ველოსიპედებს მიაგორებდნენ.

— იცი, ეს რა არის? — მოულოდნელად, აღტაცებით წამოიძახა გუბკამ, როცა პორტს მოადგნენ და უზარმაზარი ზღვა ხელისგულივით გადაეშალათ თვალწინ. — წარმოიდგინე უსასრულო სივრცე!.. დგახარ სეინერზე, როგორც კაპიტანი, და ირგვლივ საოცარი სიმშვიდეა. განსაკუთრებით — მზიან ამინდშია გასაგიჟებელი... შორიდან ძლივს ჩანს ნაპირი, ცადაზიდული მთები, მყინვარები... დგახარ და ფიქრობ: ყველაფერი ეს რომ არ გენახა, ხომ ძალიან უბედური იქნებოდი!.. ხომ შეიძლებოდა, სულაც არ დაბადებულიყავი, არ მოსულიყავი ამ ქვეყნად და არაფერი არ გენახა?

ნინიკომ ისეთი გაოცებით შეხედა გუბკას, თითქოს უეცრად ვიღაც სხვა დაენახოს მის მაგივრად, და თავისთვის ჩაილაპარაკა უწყინარი ღიმილით:

— კოლა ბრუნიონი...

გუბკამ გაოცებით შემოხედა:

— ვინა?

— კოლა ბრუნიონი, — დაბეჯითებით გაიმეორა გოგონამ, — ის გამახსენდა. რაღაცით მიგამსგავსე. ისიც ასე ამბობს ერთგან.

— ეგ ვინღაა?

— ერთი ფრანგი მწერლის გმირია, — უპასუხა ნინიკომ და კაპიუშონი აიწია.

— ბიჭიკო, რა ღირს თევზი? — გაჩერდა მათ წინ ერთი ხანში შესული ქალი და კალათს შეავლო თვალი.

— არა ვყიდი, ბებია, — ხალისიანად მიუგო გუბკამ, — ისე წაიღე, რამდენიც გინდოდეს.

— შვილო, რას მამასხრებ ამ ხნის ქალს? თუ ყიდი, გაყიდე. ასეთ დარში მასხარაობის დრო ვისა აქვს.

— კარგი, რაც გინდოდეს, მომეცი.

— ეჰ, — უნდობლად ჩააქნია ხელი ქალმა და ბუზღუნით გაეცალა.

გუბკამ ღიმილით შეხედა ნინიკოს, რომელიც გასუსული იდგა და ინტერესით ადევნებდა თვალყურს ამ უცნაურ ვაჭრობას.

— ფასი რომ მეთქვა, შემევაჭრებოდა და წაიღებდა; სულ მუქთად ვაძლევდი და არ ინდომა. ერთი მითხარი, რატომაა ეს ასე? ა?

— არ ვიცი, კოლა ბრუნიონ, არ ვიცი! — ხმამაღლა მიუგო ნინიკომ, მერე ძალიან მახლობელი ადამიანივით დაუმატა: — ისე, მაგის გაგებას, გირჩევნია, ეგ ღილები გაისწორო, ოკრო-ბოკროდ რომ გაქვს შეკრული.

გუბკამ დაიხედა ტანზე და ჩაიცინა. მართლაც, ლაბადის ერთი კალთა ჩამოგრძელებოდა, საყელოსთან კი სამოსი ულაზათოდ მოჩაჩოდა.

— ჰოო, — მორცხვად დახარა თავი და ღილების შეხსნას შეუდგა, — მეც არ გამიკვირდა: ველოსიპედზე რაღაც ვერ ვიჯექი მოხერხებულად.

— კაპიტნობას რომ აპირებ, უპირველეს ყოვლისა, სიკოხტავეს უნდა მიეჩვიო. ხომ იცი, კაპიტანი როგორი დახვეწილი და პეწიანია? — მეგობრულად უთხრა ნინიკომ და ველოსიპედი მოიმარჯვა. ის იყო, შეჯდომა დააპირა, რომ მათ წინ ეტლიანი მოტოციკლეტი გაჩერდა და მილიციელი აეტუზათ წინ.

— რაა ეს? — შეუყვირა მან გუბკას და თევზზე ანიშნა. — საიდანაა ეს თევზი? — პასუხი არ აცალა, ისე დაუწყო მუქარა: — წამოხვალ ახლა ჩემთან და მე გაჩვენებ შენ, როგორ უნდა ბრაკონიერობა! — სწვდა კალათს და ჩამოხსნა დაუწყო.

გუბკა ხელებში ეცა:

— რას შვები, რას?.. რა გინდა ჩემგან?..

— წამოხვალ და გაჩვენებ, რაც მინდა!

— არსადაც არ წამოვალ.

— ჩამოგართმევ ახლავე ამ კალათს.

— ზღვაში გადავაგდებ და არ მოგცემ! — გაცხარდა ბიჭი.

მილიციელი ცოტათი მოლბა, რაკი შეატყო ბიჭი მთლად აენთო.

— ყიდი ხომ? — ახლა უფრო ხმადაბლა ჰკითხა.

— არა, ბიძია; არა! — იფიცებოდა გუბკა, — სახლში მიმაქვს. ჩემმა ძმამ დაიჭირა, მეთევზეა... ანკესით... ნებადართულია...

— ანკესით დაიჭირა ამდენი? ისიც ასეთ დარში? შენი ტოლები მოატყუე! წამოდი ახლავე და იქ გაარკვევენ, ინსპექციაში, საიდან გაქვს ამდენი თევზი და ვინ მოგცა მაგის ქუჩაში გაყიდვის ნება. — მილიციელმა ისევ ჩაავლო ხელი კალათს, მაგრამ აქ უკვე ნინიკომ ველარ მოითმინა:

— კი მაგრამ, ასე როგორ შეიძლება? რა დააშავა?

წესრიგის დამცველმა ახლა მას შეავლო მრისხანე თვალი:

— მე სულაც არ მინდა თევზის ყიდვა, — თავს ძლივს იჭერდა ნინიკო, — ეს ჩემი ამხანაგია. ერთად მოვდივართ პირსიდან. იქ ამის ძმა თევზაობს და გამოგვატანა. არ გვაქვს უფლება სახლში წავიღოთ, თუ რა?

მილიციელი შეფიქრიანდა.

— ნამდვილად მასეა? — მცდელი თვალით შეათვალიერა გოგონა და საეჭვო რომ ვერაფერი ნახა, იკითხა: — მაშასადამე, ემოწმებით ამ ბიჭს, რომ თევზი არც ბრაკონიერობითაა მორეწილი და არც სეინერიდანაა ჩუმად გამოტანილი, არა?

— რა თქმა უნდა, ვემოწმები! — მტკიცედ განაცხადა გოგონამ.

— ვინ ხართ თქვენ? ერთმანეთისას რას წარმოადგენთ?

— ეს კაპიტან კორაძის შვილია. ყველა იცნობს მაგას, სპორტსმენია.

— ვისი? ჩვენი დავით კორაძის? — გაკვირვებით შეათვალიერა მილიციელმა ნინიკო და სულ გაუქრა მანამდელი რიხი და შემართება. — მართლა?



— თქვენ რატომ ერევით ამ საქმეში, ქალიშვილო? თუ თევზის ყიდვა გინდათ, მიბრძანდით ბაზარში, ოფიციალურ ადგილას და იყიდეთ.

— დიახ, — ჩაღუნა ნინიკომ თავი და გაწითლდა.

— ჰოო! — გაბმით თქვა მილიციელმა. — აბა, გენდობი. ისეთი სახელოვანი კაცის შვილი ვერ იკადრებ ტყუილს, — ღიმილით თქვა, ხელი კოკარდასთან მიიტანა აქნევით და მოტოციკლეტისაკენ გაბრუნდა.

— მაინც რა გამიხდა ეს მილიცია, ვერ გამიგია! — თავგაბეზრებით თქვა გუბკამ, როგორც კი მოტოციკლეტი მათ გასცდა. — ახლა შენ რომ არა, ნამდვილად წამათრევდა. კი არაფერი იქნებოდა, მაგრამ მთელ დღეს გამაწვალებდნენ და ნერვებს მომიშლიდნენ. მერე აღელდები კაცი, რაღაცას იტყვი და მეტი მაგათ არც უნდათ, ისევ იმ გოგიძეს მიგაბარებენ. ძლივს მომეშვა და...

— ოჰ, გუბკა, გუბკა, — საყვედურით დაუქნია თითი ქალიშვილმა აწურულ ყმაწვილს, — მაგარი ტიპი ხარ, რა! მაგრამ მეტი გზა არ გაქვს: უნდა გამოსწორდე, თუ გინდა ჩვენთან მეგობრობა! თორემ რასა გავს? არ შეიძლება შენთან რამე ფათერაკს არ გადაეყაროს კაცი. დავიდარაბაზე ხარ აწყობილი.

გუბკამ ღიმილით დახარა თავი. არაფერი უპასუხნია.

ნინიკომ ერთი შეათვალიერა გალუმპული ბიჭი, ცას ახედა, — საიდან უშენდა წვიმა, — კაპიუშონი შეისწორა, ქურთუკი ყელამდე შეიკრა, კარგადო, ხელი აუქნია ბიჭს, ველოსიპედს შეახტა და ნელი სვლით გაუყვა თავის გზას.

## 7

წვიმებმა დიდხანს არ გასტანა. მესამე დღეს გამოიდარა და ხალხი კვლავ სანაპირო პარკს და ზღვას მიაწყდა. ნინიკო თავისი ამხანაგებითურთ კორტებს დაუბრუნდა. იმავე რეჟიმით განაგრძობდნენ წვრთნას, მაგრამ ჩვეული დისციპლინა თანდათან მაინც ირღვეოდა. კაპიტანი ძველებურად აღარ მკაცრობდა. ყმაწვილებმა ბანაობა და სეირნობა გაახშირეს, გართობას უმატეს. ქალაქს სულ უფრო და უფრო ემატებოდა ახალგაზრდობა, ნაცნობ-მეგობრები, ნათესავები... გაცნობა-გამოცნობა, მიპატიჟ-მოპატიჟება, სტუმარ-მასპინძლობა მორევივით ითრევდა ყველას.

ლერი იშვიათად მოდიოდა ამ ბოლო დროს და ისიც მცირე ხნით. ერთ-ორ გეიმს თუ გაითამაშებდა და გარბოდა. ნინიკო კარგად ხედავდა, რომ ლერი ყოველნაირად ცდილობდა, აქაური ამხანაგები როგორმე აეშორებინა ლალის კომპანიისაგან, მაგრამ ისინი მაინც ხშირად შემოივლიდნენ ხოლმე, სულ მუდამ მზესუმზირის კნატუნით ან საღეჭელას ჭყლაპუნით.

ერთ საღამოს, ის იყო წვრთნას ამთავრებდნენ, რომ ლალიც გამოჩნდა თავისი ორი ამხანაგი გოგონათი. ლერი იმ დროს იქ არ იყო. სამთავენი შემოსასვლელში გაჩერდნენ და შორიდან დაუწყეს თვალთვალი ნინიკოს. იმანაც, ცხადია, იგრძნო ეს, მაგრამ არ შეიმჩნია. გასახდელში შევიდა, შხაპი მიიღო, ტანსაცმელი ჩაიცვა და გარეთ გამოვიდა. ზურა უკვე გამზადებული იყო და ბიჭებში ჩამდგარი ელოდა.

— ერთი წუთით, — მოულოდნელად მიუახლოვდა ნინიკოს ლალი, ხელი გამოსდო მკლავში და განზე გაიყვანა, ხმას დაუწია და ისე შინაურულად დაიწყო ლაპარაკი, თითქოს დიდი ხნის მეგობრები ყოფილიყვნენ. — რა მინდა, იცი?.. ერთ რამეზე უნდა მიპასუხო, ოღონდ დამალვა არ იყოს! ნინიკოს თვალები გაუფართოვდა. ლალიმ ისევ იმავე კილოთი განაგრძო: — მართალია, რომ შენ ლერის ნათესავი ხარ?

ამის თქმა და ლერის გამოჩენა ერთი იყო. უცებ შეერია ქალიშვილებს და ხალისიანად შესძახა:

— რა ხალხს ვხედავ ერთად თავშეყრილს!.. საგანგებოდ ვერ მოახერხებდა ამას კაცი... უარი არ მითხრათ ახლა! დღეს ყველანი ერთად ვატარებთ საღამოს! აი, სწორედ ახლა მოადგება ნაპირს სასეირნო კატარღა და ყველანი გავყვეთ... თუ გინდათ, პორტში გავიდეთ და კატამარანით გავისეირნოთ... ამბობენ, იქ კარგი ბუფეტიაო: კოკა-კოლაც ჰქონიათ...

ლერიმ ისე აურ-დაურია ყველაფერი, გარკვევით არავინ იცოდა, რა უნდა ექნათ, ბოლოს და ბოლოს, საით უნდა წასულიყვნენ, აღმა თუ დაღმა.

ასე აფუსფუსებულები გამოვიდნენ კორტებიდან პირდაპირ ბალის ხეივანში და „მომღერალი შადრევნებისაკენ" გაემართნენ, სადაც უკვე უამრავი ხალხი ირეოდა. ნინიკოს ძალიანაც ეუხერხულებოდა სპორტული ჩანთით სიარული, მაგრამ ვერაფრით ვერ მოეხერხებინა თავის დაძვრენა. ისე მიყვებოდა ამ აგორებულ ჯგუფს, როგორც დინებაში ჩათრეული ნაფოტი. სულ არეოდა თავში ყველაფერი. არაფერი ესმოდა, ვინ რას ამბობდა, რას ყვებოდნენ. ბზიკივით კბენდა ლალის შეკითხვა. პასუხის გაცემაც რომ ვერ მოასწრო. ან რა უნდა ეპასუხა? საიდან სადაო? რატომ დასჭირდა ლერის ასეთი რამის მოგონება? ამის გაფიქრებაზე, თითქოს რამე აუგი აკადრესო, აიტკიცა. უმადურად გახედა ვაჟს, რომელიც, გოგოებში ჩამდგარი, შეუსვენებლად ენაწყლიანობდა. ლალი იცინოდა, მერე უცებ სენსაციური ამბავი აუწყა ლერის:

— მართლა, გაიგე, თამაშისთვის მანქანა მოუპარავთ?

— რაო? — თვალები ბუდიდან გადმოუცვივდა ლერის, — იაპონური?.. როდის, გოგო, არ გადამრიო?

— ნამდვილად! ჩვენი გოგოები ამბობდნენ, გაგიჟებას არისო. მაგრამ იპოვიან. ცხვირსახოცი ხომ არაა, ჯიბეში დამალო?

—მაგრამ, თუ გააქროლეს სადმე რუსეთისაკენ?.. — თქვა ლერიმ და უნებლიეთ ნინიკო მოძებნა თვალებით.

უთქმელად გაუგეს ერთმანეთს.

ნინიკოს მეტი არც გაუგონია არაფერი, ისე დაშორდნენ ის და ზურა ამ გამხიარულებულ ყმაწვილებს.

კარგა ხანს მიდიოდნენ უბრად.

— ახლა, იმ შენს გუბკას რომ ჩასვამენ, მაინტერესებს, რას იზამს მერე? — ღვარძლიანად ჩაილიმა ზურამ და ალმაცერად გამოხედა შეფიქრიანებულ ქალიშვილს.

ნინიკო უცებ გაჩერდა და ისეთი თვალები მიანათა ბიჭს, რომ იმას შიშის ქარმა დაუარა: შუა ქუჩაში ერთი ჩხუბი არ ამიტეხოს ამ გადარეულმაო. მაგრამ ნინიკოს არაფერი უთქვამს, ნელა შებრუნდა და წავიდა. ზურა

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავდახრილი მისდევდა უკან, კარგა ხნის შემდეგ ისევ მოყვა თავისებურად:

— სად დაკარგე თავმოყვარეობა? რა გაქვს საერთო ვიღაც ავარასთან? გამარჯობასაც კი არ უნდა ეუბნებოდე. სად თქვენი ოჯახი და სად იმისი: ვიღაც მეთევზეები!..არა, ის ლერიც კარგი ვინმეა!.. ქვემქვემა! ან მისი დეიდაშვილი და ის კუდაბზიკა გოგოები ვინ მიყრიან? მოცდენის მეტს რას გვიკეთებენ? ვერც კი ამჩნევ, როგორ მოეშვი და მოდუნდი, ხელი აიღე სერიოზულ ვარჯიშზე. შენგან იმდენს მოელიან და შენ მთელ დღეს ხეტიალს უნდები...

აქ კი იფეთქა კაპიტანმა. — შენ ვინ დაგაყენა ჩემს მეურვედო, — გაცხარდა. — რაკი მეზობელი ხარ, გგონია, ყველაფრის უფლება გაქვს და მეც შენს ნება-სურვილზე უნდა ვიაროო?.. — და ისეთები აკადრა, რასაც ზურა არამც და არამც არ მოელოდა. განსაკუთრებით იმან გაუსია გული, პირში რომ მიახალა, ის ავარა გუბკა შენ და შენისთანა ათს, ერთად აღებულს, მაინც გჯობიათო...

— მორჩა! — ხაზი გადაუსვა ქალიშვილმა, — დღეიდან, იცოდე, საერთოდ დამანებე თავი! არ მჭირდება არც შენი გაცილებ-გამოცილება — მშვენივრად ვაგნებ სახლს, და არც შენი ქომაგობა. მადლობელი ვარ დიდად.

მეორე დღეს ნინიკო სულაც არ წასულა დილის ვარჯიშზე. საღამომდე კი გაუარა წყრომამ და კორტს მიაშურა, ოღონდ ისე ვარჯიშობდა მთელ ორ საათს, ხმა არავისათვის გაუცია.

ასე გაგრძელდა რამდენიმე დღეს. ბიჭები ველარ ეკარებოდნენ. ბოლო დროს სულ ნათიასთან ერთად დადიოდა. კვირას, რაკი ვარჯიშებიდან თავისუფალნი იყვნენ, ერთად წავიდნენ სტუმრად ნათიას ბებია-ბაბუასთან ქალაქგარეთ. იმათ საკუთარი სახლი და საკმაოდ დიდი ეზო ჰქონდათ, სადაც იმდენი უცნაური ყვავილი გაეშენებინათ, სამოთხის ბაღს მოგაგონებდათ იქაურობა.

ლენა მარტო დარჩა შინ, თავის საქაღალდეებში თავჩარგული, და ის იყო მუშაობა დაიწყო, რომ ვიღაცამ კარზე დარეკა. გაოცებული დარჩა, როდესაც მილიციის ლეიტენანტი დაინახა მოსული.

— მაპატიეთ, ქალბატონო ლენა, — ხელი აუღო მილიციელმა და თავაზიანი მისალმების შემდეგ თავი გააცნო: — ლეიტენანტი გოგიძე. დიდხანს არ შეგაწუხებთ. მე კაპიტანთან მაქვს პატარა საქმე და მეტი არაფერი, — მხიარული იერით თქვა მან და, თითქოს ვისმე ეძებსო, პატარა ბიჭივით შეიჭყიტა ოთახში.

ქალი უცებ დაიბნა, უაზროდ მიმოიხედა, აბნეულად დაიწყო:

— ბოდიში, მობრძანდით, მაგრამ... კაპიტანი არ არის... — კიდევ უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ სტუმარმა დაასწრო:

— როგორ? გაემგზავრა სადმე?..

ქალი ვერ გარკვეულიყო, რაში იყო საქმე. გაკვირვებით შეხედა სტუმარს:

— დიდი ხანია, წასულია...

— როგორ, გუშინ არ დავინახე?



— რას ბრძანებთ, — თავშეკავებულად გაეღიმა ქალს. — ისე, მალე კი უნდა ჩამოვიდეს, მაგრამ ჯერ რომ ჩამოსული არ არის, ნამდვილად ვიცი. მაგათ ჩამოსვლას მთელი ქალაქი ელოდება. ექვსი თვეა, არ ყოფილან შინ.

— უპ, — შეწუხდა ლეიტენანტი და დაირცხვინა, — მე, ქალბატონო ლენა, თქვენს მეუღლეზე კი არა, თქვენს ქალიშვილზე მოგახსენებთ, ნინიკოზე.

— ნინიკოზე?! — შუბლი შეეჭმუხნა ქალს, — „კაპიტანიო“ და...

—მაპატიეთ, ყველა ასე ეძახის...

— როგორ თუ ყველა?

— პო, სიყვარულით... გუნდის კაპიტანია. მომიტევეთ, მაგრამ თქვენ აგერ იმოდენა გაერთიანების ხელმძღვანელი ბრძანდებით და ისე არ გიცნობენ ქალაქში, როგორც ნინიკოს. რას იზამთ, ასეთია სპორტული პოპულარობა.

ლენა ჩააფიქრა ამ სიტყვებმა. რაღაც უსიამოვნო წინათგრძნობამ გაუარა გულში. ამიტომ იყო, მაინცდა-

მაინც დიდ ხალისით არ მიუწვევია ოთახში ლეიტენანტი გოგიძე.

— რამე ხომ არ მოხდა? — გაუბედავად იკითხა, როცა მილიციელი მაგიდასთან ჩამოჯდა.

— არა, არაფერი, — აჩქარდა სტუმარი, რომ რაც შეიძლება სწრაფად დაემშვიდებინა აფორიაქებული ქალი და აეხსნა მისი აქ მოსვლის მიზეზი. — მე, ასე ვთქვათ, ძნელად აღსაზრდელ ბავშვთა მესვეური გახლავართ, ქალბატონო, და ხანდახან ისეთი რამეები მიწევს, ვერ წარმოიდგენთ! ახლაც თქვენს ქალიშვილთან იმიტომ მოვედი, რომ დამეხმაროს.

ქალი გაოცებით, ინტერესითა და ერთგვარი შიშითაც შესცქეროდა სტუმარს.

გოგიძემ განაგრძო:

— ერთი ბიჭია... სული ამომხადა... რაც იმას გადავყევი, ნეტავ თუ დამიფასებს როდისმე? მაგრამ მაგას ვინ ჩივის! საქმე ისაა, რომ ეს ბავშვი არც აქეთაა, არც იქით. კაცმა რომ თქვას, ძნელად აღსაზრდელზე უფრო ძნელად გასაგებია. არადა, ისეთი კარგი მასალაა... ხომ გაგიგიათ, იტყვიან: ერთი ხიდან თოხის ტარიც გამოვა და ცულისაცო... ასეა. რომ მგონია, ადამიანად ვაქციემეთქი, რამე არ გამოუტყვრეს, არ იქნება. სწავლის პერიოდში რა მიშავს: სკოლითაა დაკავებული და იმდენს ვერაფერს აშავებს, მაგრამ ამ არდადეგებზე რა ვქნა, არ ვიცი. მისი დაბმა ხომ არ იქნება! ერთი სული მაქვს, როდის გახდება სრულწლოვანი, იქნებ ჩადგეს კალაპოტში და მეც მოვისვენო... არა, ისე, ძალიან მენანება, ურიგო ბიჭი არ არის... თანაც კარგი, მშრომელი ოჯახიდანაა. მის მშობლებს რვა შვილი ჰყავთ... ეგ მეოთხეა. უფროსი ძმები მპირდებიან, როგორც კი დაამთავრებს სკოლას, ჩვენთან წავიყვანთ სეინერზე სამუშაოდო. თვითონ საზღვაო სკოლაზე ოცნებობს. სხვათა შორის, მათემატიკური საგნებიც ეხერხება, ოღონდ თუ მოინდომა, ეგაა საქმე.

დიასახლისი გულმოდგინედ უსმენდა სტუმარს და გული უსკდებოდა, აი, ახლა და აი, ახლა რამეს იტყვის ნინიკოზეო, მაგრამ ლეიტენანტმა რომ ისე დაამთავრა სათქმელი, ნინიკო არც კი უხსენებია, დამშვიდდა. საზღვაო სასწავლებელში ბიჭის შესვლის სურვილმა დაარწმუნა, რომ ეს კაცი ნინიკოსთან კი არა, სწორედ ჩემს ქმართან უფრო უნდა მოსულიყო, რომ რამე დახმარება გაეწია მისთვის ბიჭის მოწყობაში. ამიტომ იყო, ახლა სავსებით დამშვიდებულმა და დარწმუნებულმა უთხრა მილიციელს:

— თქვენ, მართალი რომ გითხრათ, სწორედ დავითთან უნდა მობრძანებულიყავით. როცა ჩამოვა, ნახეთ და მოელაპარაკეთ. ბიჭიც აჩვენეთ, იქნებ იმანაც იქონიოს რაღაც ზეგავლენა მასზე. მართლაც, ვინ იცის, რა კაცი დადგება!

— ეგეც მინდოდა მეთხოვა ნინიკოსათვის, და ისიც, რომ ცოტა მომეხმაროს იმ ბიჭის სწორ გზაზე დაყენებაში. ახლა მაინც ისეა საქმე, რომ...

— ნინიკომ?! — ისე იკითხა ქალმა, თითქოს დაუჯერებლის დაჯერებას მოითხოვდნენ მისგან.

— ჰო, მაგის სიტყვა ამხანაგებისათვის კანონია. სწორედ ამიტომაც უფრო ეძახიან კაპიტანს. თავის წრეში უცილობელი ლიდერია.

— ჰმ!.. — ნერვიულად ჩაეცინა ქალს, —ნინიკომ რა უნდა ქნას, არ მესმის?! — ცოტა არ იყოს, გაცხარდა კიდეც. — აბა, გოგომ რა ზეგავლენა უნდა მოახდინოს ასეთ ბიჭზე? არა, გეთაყვა, არაფრის გაგება არ მინდა. პირიქით, დღესვე მოველაპარაკები, არაფერი საერთო არ იქონიოს მასთან.

— ქალბატონო ლენა, — მუდარით შეხედა ქალს ლეიტენანტმა, — მე ისეთს კი არაფერს ვითხოვ, უბრალოდ, მინდა ხელი არ ვკრათ ამ ბიჭს. თავის ძველ ამხანაგებს უკვე ჩამოშორდა, სხვა სკოლაში გადავიდა, როგორღაც ახალ წრეში შედგა ფეხი, სულ სხვა, კარგი ამხანაგები გაუჩნდა და... ნინიკო კი მათი ლიდერია, იმას ბევრი რამის გაკეთება შეუძლია... ჩვენც ხელს შევუწყობთ... აბა, თქვენ წარმოიდგინეთ, ახლა ამ ბავშვებმაც რომ აითვალწუნონ ის ბიჭი, სად უნდა წავიდეს? — სტუმარი წამით ჩაფიქრდა, მერე უცებ როგორღაც გაცხარებით განაგრძო: — არა, მაინც, კაცმა რომ თქვას, ნამდვილი შეუსაბამობაა: ამ ასაკის მოზარდებისათვის არდადეგების ორგანიზება მთლად მოუწესრიგებელია. პიონერებისათვის ყველაფერი გვაქვს, დიდებისთვის — ინებეთ, ჩემო ბატონო: პანსიონატი, დასასვენებელი სახლი, სანატორიუმი... სტუდენტებისათვის არის რაღაც-რაღაცები, ამათთვის კი არაფერი! მერე რა ასაკში! რატომ არ შეიძლება მოვიფიქროთ რამე ისეთი, რომ ეს ახალგაზრდები ორგანიზებულად, ხალისიანად, გონივრულად ატარებდნენ დროს?

— ამაში სავსებით სწორი ხართ, — ჩაფიქრებით თქვა მასპინძელმა, — რამდენჯერ მიფიქრია, ნინიკო კორტებზე რომ არ დადიოდეს, რა უნდა აკეთოს-მეთქი... მაგრამ ეს ისეთი საქმეა, ჩემი და თქვენი მასშტაბები არ ეყოფა, მით უმეტეს, ნინიკოსი. — მცირე ხანს ჩაფიქრდა, მერე ისევ გააგრძელა: — ისე კი, უნდა დავსვათ ეს საკითხი სადმე. მე, მაგალითად, მზად ვარ, მხარი დაგიჭიროთ. ჩვენი გაერთიანება, გნებავთ, შეფობას გაგიწევთ. შეგვიძლია მოედანი მოგიწყოთ, ავტობუსებს გათხოვებთ ექსკურსიებისათვის... ბევრი რამე შეიძლება... მაგალითად, თუნდაც აი, იმ კატამარანზე მოვაწყოთ ახალგაზრდული საზაფხულო კლუბი... კომკავშირის ქალაქკომსაც უნდა მოველაპარაკოთ... კვირაში ორ-სამჯერ გემი გავა ზღვაში, ყმაწვილებს კიდეც გაასეირნებს და რამე ღონისძიებასაც ჩაატარებენ, ვთქვათ, შეხვედრა მწერლებთან, მსახიობებთან, სპორტსმენებთან... შეიძლება დისკუსიაც რაიმე საინტერესო საკითხზე.... მხატვრული საღამო, კონკურსები, კინოს ჩვენება... ძალიან კარგი იქნება, მე მგონი... სხვა რამის მოფიქრებაც შეიძლება.

სტუმარი და მასპინძელი დიდი გატაცებით მსჯელობდნენ ამ საკითხზე და საკმაოდ დიდხანსაც ილაპარაკეს.

გოგიძის წასვლის შემდეგ ლენა ისევ მიუჯდა თავის საქმეებს, მაგრამ გულისყური ვერ დაიმორჩილა. მაინც არ ასვენებდა ის აზრი, რომ ნინიკოს რაღაცგვარად კავშირი ჰქონდა ვიღაც გამოუსწორებელ ბიჭთან, მილი-

ციასთან... არც ის მოსწონდა, ცა და ქვეყანა რომ ნინიკოს „კაპიტანს“ ეძახის თურმე.

ღრმად ჩაფიქრდა. სიმართლე რომ ითქვას, ნინიკო თავიდანვე თავისით იზრდებოდა. თავდაპირველად ძალიან სუსტი იყო, გამხდარი, წოწოლა, უჭმელი. სპორტმა გამოაკეთა. დღე და ღამე ჰაერზეა, თორემ ვინ იცის, ახლა რას ემსგავსებოდა. პატარობისას ფიზიკურად სუსტი რომ იყო, მთელი ყურადღება მის გაჯანსაღებაზე გადაიტანა დედამ, და ახლა ხედავს, რა ბევრი დააკლო სხვა მხრივ.

გრძნობს, რომ ამ ბოლო დროს რაღაც ცვლილება ხდება შვილში, მაგრამ რატომ და რაშია საქმე, კარგად ვერ შეუცვნია. უცებ გაახსენდა, რამდენიმე დღის წინათ ზურას რომ გაებუტა, და მაშინვე ამას მოეჭიდა, როგორც ძაფის წვერს დაბურდული მორგვის გადასახვევად. რა ჰქონდათ საჩხუბარი? რატომ უნდა იყვნენ ერთმანეთთან უმძრახად? დაბადებიდან ერთად იზრდებიან ერთ ეზოში, ერთ სკოლაში დადიან, ერთ მერხზე სხედან, ერთად დაამთავრეს სამუსიკო სასწავლებელი, ერთად დადიან ვარჯიშზე. ყველა ისე შეეჩვია მაგათ ერთად ყოფნას, ცალ-ცალკე რომ დაინახავენ, უკვირთ. არა, უეჭველად უნდა გაერკვეს ყველაფერში. ისიც კმარა, ამდენ ხანს რომ არ დაფიქრებულა ამაზე. ვინ იცის, დაგვიანებულიც კია უკვე.

ამის გაფიქრებაზე, თითქოს მართლაც სადღაც აგვიანდებაო, საჩქაროდ დაურეკა ზურას და თავისთან დაიბარა. ბიჭი ნაშინვე მოვიდა, მაგრამ ნეტავ არ მოსულიყო! ისეთი ამბები მოუტანა, თმები ყალყზე დაუყენა. ნინიკო, თურმე, ძალიანაც კარგად იცნობს იმ ბიჭს, ის კი მოსვენებას არ აძლევს გოგოს. ერთხელ გლისერით გაიყვანა შუა ზღვაში. კიდევ კარგი, ზურაც შემთხვევით იქ იყო, თორემ ვინ იცის, რა ამბავი დატრიალდებოდა! ფაეტონზე კიდევ, ნუ იტყვი, რა მოხდა! მთელმა ქალაქმა გაიგო. ახლა ის ბიჭი დაჭერილიც იყოს შეიძლება, დიდი ხანია, აღარ გამოჩენილა. ერთი უცხოური მანქანა გაქრა და ეჭვი იმაზეა მიტანილი... ნინიკოს კი არაფერი ესურება! სულ აღარ უჯერებს ზურას, თითქოს მტერი იყოს მისი. ეჩხუბება, ედავება, ლანძღავს, გაებუტა კიდეც... არა, ეს ამბავი კარგად არ დასრულდება. ზურას უნდოდა, აქამდეც ეთქვა ყველაფერი, მაგრამ ვერ ბედავდა, ნინიკოსი ეშინოდა: ვერ გაუგებდა სწორად ამ ნაბიჯს. ახლა, რაკი თვითონ ლენა დეიდამ იკითხა, სიმართლეს ხომ ვერ დაფარავს?

დასასრული შემდეგ ნომერში







ეკა ელიავა

ჟღერს მუსიკა, ჯანსუღ კახიძე უახლოვდება სადირიჟორო პულტთან მდგომ მიკროფონს.

— სალამი!

მერე ყურადღებით ათვალიერებს დარბაზს:

— აბა, ვნახოთ, პირველად ვინ გვესწრება? მგონი, ბევრი. ძალიან სასიამოვნოა, მაგრამ მათ შეიძლება გაუძნელდეთ. ჩვენი დღევანდელი მეცადინეობის თემაა პეტრე ჩაიკოვსკის სიმფონია № 5. ჩვენ ვიცით, კლასიკური სიმფონია შედგება...

ჯანსუღ კახიძე მოლოდინით აჩერდება დარბაზს.

— ოთხი ნაწილისგან! — „კარნახობს“ რომელიღაც ბავშთაგანი.

— სწორია, — თავის ქნევით იწონებს დირიჟორი. — აბა, ვინ იცის, როდის ცხოვრობდა ჩაიკოვსკი? XIX საუკუნეში. წაიკითხეთ მისი ბიოგრაფია. მის რომელ ნაწარმოებს იცნობთ?

— „შჩელკუნჩიკს“, — მოისმის მეოთხე რიგიდან.

— რა ჟანრია? — განაგრძობს ჯანსუღ კახიძე.

— ზღაპარი, — ფეხზე დგება ბიჭუნა.

— მართალია. მაგრამ თუ მუსიკალური ჟანრი გვაინტერესებს?

— ბალეტი...

და კვლავ — აწეული ხელების ტყე. კომპოზიტორის ნაწარმოებების დასახელების მსურველი ბევრი აღმოჩნდა, მაგრამ კახიძე ჩაძიებით განაგრძობს:

— თქვენ თვითონ თუ მოგისმენიათ ეს ნაწარმოები? დაასახელეთ ის, რაც იცით, ეს ხომ გამოცდა არ არის. პედაგოგებო, ნუ კარნახობთ, ვეცადოთ, თვითონ გავიხსენოთ, რაც არ გვახსოვს, ხოლო რაც არ ვიცით — გავიგოთ, ვისწავლოთ...

ამ გოგო-ბიჭებმა ბევრი საინტერესო და სასარგებლო რამის გაგება და სწავლა მოასწრეს და, რაც მთავარია, შეიყვარეს მუსიკა, ისწავლეს მისი მოსმენა და გაგება.

მეექვსე წელია საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი, საქართველოს სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის დირიჟორი, თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი და მთავარი დირიჟორი ჯანსუღ კახიძე რესპუბლიკის განათლების სამინისტროსთან ერთად აწყობს და უძღვება მუსიკის საინტერესო გაკვეთილებს. მისი ხელმძღვანელობით კლასიკური მუსიკის მოყვარულთა კლუბი მაღალ მიზნებს ისახავს — აზიაროს ბავშვები მუსიკას.

კი მაგრამ, განა ახალგაზრდებს არ უყვართ მუსიკა? თანამედროვე ახალგაზრდობის მთავარი გატაცებაც ხომ სწორედ მუსიკაა და არა თეატრი, ლიტერატურა. მაგრამ როგორი მუსიკა — საკითხავი, აი, ეს არის... არის მუსიკა კარგი და არის ცუდი, არის მუსიკა და არის „ფსევ-



— აბა, შენ როგორ გგონია, რომელ საკრავს მიჰყავს თემა? — ეკითხება ჯანსუღ კახიძე ერთ-ერთ მსმენელს.

**დო,**

დო"... და რაც უფრო ადრე მიახვედრებ ადამიანს, სად ნიჭიერებაა და სად უნიჭობა, მით უფრო მალე მიუდგება იგი მუსიკას სერიოზულად.

**რე,**

აი, რატომაა აუცილებელი, ვუხელმძღვანელოთ მსმენელის აღზრდას, მსმენელისა, ურომლისოდაც ჯ. კახიძის აზრით არ არსებობს მუსიკალური ხელოვნება, როგორი მშვენიერიც უნდა იყოს იგი თავისთავად, ამიტომ მას ამოცანად მიაჩნია გაუწაფავ აუდიტორიამდე, ვინც ჯერ არ დადის სიმფონიურ კონცერტებზე, სერიოზული მუსიკის იდეები მიიტანოს, წარმოაჩინოს ადამიანის შინა სამყაროზე მათი კეთილისმყოფელი ზეგავლენა. დირიჟორის ღრმა რწმენით, კლასიკური მუსიკის როლი არასდროს არ დაკნინდება, იგი ადამიანის უმაღლეს მოთხოვნილებად რჩება... თუმცა ახალგაზრდების გატაცება ჯაზური და სხვა ნებისმიერი საესტრადო მუსიკით ბუნებრივია. საესტრადო მუსიკა ახალგაზრდებს იზიდავს საცეკვაო რიტმებით, ადვილმისაწვდომობით. თანამედროვე გასართობი მუსიკა, მხედველობაში მაქვს საუკეთესო საესტრადო ჯგუფების შემოქმედება, — ამბობს ჯანსუღ კახიძე, — ავითარებს სმენას, უმუშავებს ადამიანს ჟღერის სხვადასხვანაირი ფორმების აღქმის უნარს. მე მიმაჩნია, რომ ის, ვინც კარგ მსუბუქ მუსიკას უსმენს, უფრო მალე გაიგებს პროკოფიევს, ვიდრე ის, ვინც საერთოდ არაფერს ისმენს.

მაშ ასე, როგორ ვაზიაროთ ბავშვები მუსიკას? ზოგჯერ ნორჩების მუსიკალურ აღზრდას ცდილობენ „ორგანიზებული ღონისძიების" ჩატარებით, რომელსაც სიმფონიურ კონცერტზე დასწრების სურვილის ჩაკვლა თუ შეუძლია, თორემ სხვა არაფერი. ბავშვები კი მთელი სულითა და გულით აღიქვამენ მუსიკას და მუსიკის უდიდეს აღმზრდელობით მნიშვნელობაზე როცა ვლაპარაკობთ, უთუოდ ცარიელი დარბაზის პრობლემასაც შევეხებით.

ჯანსუღ კახიძის მიერ ექვსი წლის წინათ წამოწყებული ექსპერიმენტის მიზანია სიმფონიური კონცერტების მომავალი მსმენელების აღზრდა. დირიჟორმა ექსპერიმენტი 9-10 წლის ბავშვებთან დაიწყო, რადგანაც მიაჩნია, რომ სწორედ ამ ასაკში შეიძლება აზიარო ადამიანი ელემენტარულ ესთეტიკურ ნორმებს.

მაშინ მისი კონცერტებისა და გაკვეთილების მუდმივი მსმენელების რიცხვმა ორიათასს მიაღწია. კლასიკური მუსიკის მოყვარულთა კლუბის მეცადინეობებზე, ბავშვები მშობლებთან ან პედაგოგებთან ერთად მოდიან, ეს თავისთავად სიმბოლურია და იმას ნიშნავს, რომ აღმზრდელობითი პროცესი საკონცერტო დარბაზის საზღვრებს მიღმაც გრძელდება. მუსიკის გაკვეთილებზე ერთობლივ დასწრებას ხომ, ბუნებრივია, მოსდევს სჯაბაასი, აზრთა გაცვლა-გამოცვლა. საქართველოს ტელევიზიის ინიციატივით კლუბის მეცადინეობა ფირზე აღიბეჭდება და მერე მთელი რესპუბლიკისთვის გადაიცემა, რაც მნიშვნელოვნად აფართოებს ნორჩი მსმენელების აუდიტორიას.

თვეში ერთხელ, კვირა დღეს საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის დიდ დარბაზში ბავშვები ხვდებიან მუსიკას — მოცარტის, ბეთჰოვენის, ბახის, ბრამსის, პროკოფიევის, რაველის, ლისტის ნაწარმოებებს. ჯანსუღ კახიძე, ხოლო ხანდახან მუსიკათმცოდნე მანანა გედევანიშვილი ორი საათის განმავლობაში ნორჩ მსმენელებს ან საოპერო მუსიკას აცნობენ, ან სიმფონიას, ანდა ამა თუ იმ კომპოზიტორის ხატოვან სახეთა სამყაროში შეჰყავთ ისინი.

უნდა ითქვას, რომ მეცადინეობათა პროგრამის შე-

**მი...**

დგენისას მუსიკის აღქმისათვის მოუმზადებელ მსმენელებს ითვალისწინებდნენ, მაგრამ მსმენელთა შორის აღმოჩნდნენ სამუსიკო სკოლების მოსწავლეებიც, ისეთი გოგო-ბიჭები, რომლებმაც უკვე იცოდნენ, რა არის მელოდია, რიტ-

მი, ჰარმონია და მუსიკის სხვა გამომსახველი ელემენტები. მაშინ კახიძემ გადაწყვიტა ამ საკითხებისათვის დიდი დრო აღარ დაეთმო და უშუალოდ ნაწარმოებებზე გადასულიყო. პირველივე მომდევნო ლექცია-კონცერტი მიეძღვნა ბრიტენის „ვარიაციებსა და ფუგას პერსელის თემაზე", მერე კი ბავშვები მოცარტის „ღამის პატარა სერენადასაც" გაეცვნენ. — მახსოვს, — გვიყვება ორკესტრის სამხატვრო-სადადგმო ნაწილის გამგე, მუსიკათმცოდნე ელენე ჩარკვიანი, რომელიც ლექციების მასალებს ამზადებს, — ერთხელ ჩვენს მსმენელებს გადავაწყდი, და როგორ მესიამოვნა, რომ იდგნენ და მოცარტის სერენადის მთავარ მელოდიას ღიღინებდნენ. სწავლების პირველი წლის ბოლოს ჩატარდა ლექცია-კონცერტი თემაზე იოჰან სებასტიან ბახის „იოანეს ვნებანი" მოსკოვის ა. სვეშნიკოვის სახელობის საგუნდო სასწავლებლის ბიჭუნათა გუნდის მონაწილეობით.



ამ ყმაწვილს ეტყობა, რომ დირიჟორის შეკითხვას სწორი პასუხი გასცა.



ორკესტრი მორიგ ნაწარმოებს ასრულებს.

...აი, სცენაზე აჟღერდა პ. ი. ჩაიკოვსკის მეხუთე სიმფონიის შესავალი საქართველოს სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის შესრულებით.

— ყური დაუგდეთ, —სთავაზობს მსმენელებს ჯანსუღ კახიძე, — რომელ საკრავს მიჰყავს თემა?.. შენ ამბობ, სიმებიანს? — ეკითხება იგი ბიჭუნას. — აბა, ეს გამოგეპარა, ვერ გაიგონე?

ჟღერს კლარნეტი.

— დაიხსომეთ ეს მელოდია...

კახიძე საოცრად ხედავს დარბაზს, გრძნობს აუდიტორიას, არაფერი არ რჩება მხედველობიდან.

— რაიმეს თქმა გინდა? — მიმართავს სკამზე მოუსვენრად აცმუკებულ პატარას.

ნებართვა რომ მიიღო, გოგონამ კმაყოფილებით წარმოთქვა: — კლარნეტი. ვერც დარბაზი და ვერც ორკესტრანტები ვერ მალავენ ღიმილს... კახიძე კი აქებს გოგონას. აუცილებლად საჭიროა იმ ადამიანის შექება, რომელიც თვითონ, გესმით, თვითონ მიხვდა, რომ ეს კლარნეტია. იგი უხსნის, მღერის ძირითად თემას, დირიჟორობს ორკესტრს და ერთდროულად არანაკლები გულისყურით „დირიჟორობს" ბავშვების ყურადღებასაც.

ორკესტრი სიმფონიის მეორე ნაწილს ასრულებს. კახიძე კომენტარს უკეთებს მუსიკას, ბავშვები სულგანაბული უსმენენ...

ამასობაში ერთ-ერთმა დედამ, რომელსაც, ეტყობა, მობეზრდა ლოდინი, კარი შემოაღო და ცდილობს შვილს ანიშნოს, ფოიეში გამოდიო. ბიჭი კი გულმოსული უქნევს ხელებს: — თავი გამანებე. არსადაც არ წამოვალო...

## გაკვეთილის შემდეგ გამართული საუბრიდან

— მე მესამე წელია დავდივარ ლექციებზე, — გვიყვება ათი წლის გიორგი ხმალაძე. — სამუსიკო სკოლაშიც ვსწავლობ, მეოთხე კლასში ვარ.

— მშობლებთან ერთად დადიხარ?

— უფრო ხშირად, დედასთან ერთად, დღეს კი მამამ მომიყვანა. არა, მამა ინჟინერია, მუსიკა არასდროს უსწავლია. მაგრამ მშობლები მეხმარებიან, იციან, რომ მე მაინტერესებს ეს გაკვეთილები.

— მაინც რატომ გაინტერესებს?

— მუსიკა უფრო გასაგები და ახლობელი ხდება...

დღეს გაკვეთილების მუდმივი მსმენელები 14-15 წლისანი არიან. ჯანსულ კახიძის აზრით, ეს ბავშვები მუსიკალურად სავსებით განათლებულები არიან, მათ უყვართ სერიოზული კლასიკური მუსიკა, რომელიც ჭეშმარიტ სიამოვნებას გვრის. ყოველი წლის ბოლოს ტარდება მუსიკალური ვიქტორინა წლის განმავლობაში გავლილ თემებზე. ორკესტრი უკრავს მელოდიას, ბავშვებმა კი უნდა დაასახელონ ნაწარმოები, მისი ავტორი, უნდა მოყვენენ, რა იციან მოცემულ ნაწარმოების, ამ კომპოზიტორის სხვა თხზულებების შესახებ. გამარჯვებულს უფლება ეძლევა, უდირიჟოროს ორკესტრს. ბავშვებს ეს უდიდეს პატივად მიაჩნიათ...

— აბა, ახლა რომელ საკრავს მიჰყავს მელოდია? — კვლავ მიმართავს კახიძე ბავშვებს.

— ვალტორნას!

— საკრავთა რომელ ჯგუფს ეკუთვნის იგი? — დაზუსტებას მოითხოვს დირიჟორი.

— სასულე.

— ხისა თუ ლითონის? — არ ეშვება კახიძე, — კიდევ რომელი სასულე საკრავები იცით?

დარბაზში ჩამოთვლას იწყებენ: ფლეიტა, ჰობოი...

— ბერიშვილებო, თქვენ მოითმინეთ, სხვებმა გვიპასუხონ, — აჩერებს „მცოდნე" ძმებს კახიძე. იგი იცნობს თავის მსმენელებს, ინტერესდება, გაიგეს თუ არა მისი ახსნილი, რა მიზეზით გააცდინეს მეცადინეობა და სულაც არ არის იმის მომხრე, რომ ბავშვებს ძალით ატარებდნენ მეცადინეობაზე.

— რა თქმა უნდა, ამ ხნის განმავლობაში მოხდა განთესვა, — ამბობს კახიძე, — მაგრამ მაშინაც კი, თუ საშუალო სკოლის დამთავრების დროისთვის, როცა ჩვენ ერთად გავივლით პოპულარული კლასიკური მუსიკის მთელ რეპერტუარს, 300 მსმენელი მაინც შემოგვრჩება, მე მაშინაც ჩავთვლი, რომ მიზანი მიღწეულია, რადგანაც ეს ის მსმენელებია, რომლებიც კონცერტზე მუსიკის სიყვარულით მოვლენ და არა „ღონისძიების" ხათრით.

— ბატონო ჯანსულ, პირადად თქვენ რას გაძლევთ ეს კონცერტები?

— პერსპექტივაში — მსმენელს. ადამიანი საკუთარი თავისათვის აღმოაჩენს მუსიკალური შედევრების მომხიბლაობას, და მერე თავის სულიერ თანამგზავრებად გაიხდის მათ.

## გაკვეთილის შემდეგ გამართული საუბრიდან

გარდერობთან ბავშვების ჯგუფი ჩოჩქოლობს. ვეცნობით მათ — თბილისის 68-ე საშუალო სკოლის VIII კლასის მოსწავლეები თამაზ ბერეჟიანი, ანა ცაგარელი, ეკა სიხარულიძე, ლევან დონაძე...

— რა გიზიდავთ ამ ლექცია-კონცერტებში?

— გვინდა ვიცოდეთ და გვესმოდეს სერიოზული მუსიკა, — საერთო აზრს გვიზიარებს თამაზ ბერეჟიანი.

— სამუსიკო სკოლაში სწავლობთ?

— ყველა არა, — გვიხსნის ლევანი, — მე მაგალითად, არავითარი სპეციალური მუსიკალური მომზადება არა მაქვს, მაგრამ ამ ოთხი წლის განმავლობაში ნასწავლ-მოსმენილის წყალობით კლასიკაში ვერკვევი. თუმცა თანამედროვე საესტრადო მუსიკის მომხრე ვარ. კლასიკური მუსიკა უფრო რთულია.

მუსიკის გაკვეთილზე მოსწავლეებს კლასის დამრიგებელი, ნაზი ლომაძეც ახლავთ ხოლმე.

— დარწმუნებული ვარ, კლასიკური მუსიკის მოყვარულთა კლუბის მეცადინეობები ამდიდრებს და ამრავალფეროვნებს ბავშვების სულიერ სამყაროს...

— აბა, სიჩუმე! — მოითხოვს კახიძე. — ახლა თავიდან ბოლომდე მოვისმინოთ ჩაიკოვსკის მეხუთე სიმფონია.— დარბაზი უსმენს. დირიჟორი ტაქტიანად შეახსენებს მსმენელებს — რომელი თემაა, რომელი საკრავი...

ბავშვები ყურს უგდებენ, მუსიკა უფრო და უფრო ახლობელი და გასაგები ხდება. ეს კი ინტერესსა და სიყვარულს იწვევს. თურმე რა ადვილი და რა ძნელი ყოფილა ამის გაგება, მაგრამ რა აუცილებელიც, თუ ჩვენ გვინდა აღვზარდოთ სრულყოფილი, სულიერად მდიდარი და, თუ გნებავთ, ბედნიერი ადამიანები.

— დაიღალეთ? გავაგრძელოთ თუ არა? — ინტერესდება ბატონი ჯანსული.

— გავაგრძელოთ, — გუნდად ეპასუხებიან ბავშვები. დირიჟორი კი უფროსებს მიმართავს:

— დღეს ბევრი პატარა გვესწრება. ისინი მშვენიერმა სურვილმა მოიყვანა, მაგრამ უძნელდებათ — პროგრამა გარკვეულ ასაკზეა გათვალისწინებული, ბავშვებთან ერთად მოსულმა მშობლებმა და პედაგოგებმა მხედველობაში უნდა მიიღონ ეს...

გაკვეთილი დამთავრდა, შემდეგი ერთი თვის მერე გაიმართება. და ასე იქნება მერეც, მთელი სიცოცხლე, იმიტომ, რომ მუსიკის წვდომის პროცესი უსასრულოა, რადგანაც წუთითაც კი შეუძლებელია იმის წარმოდგენა, რომ მუსიკა წავიდა ადამიანის ცხოვრებიდან. რამდენად უფრო ღარიბი გახდებოდა სამყარო, რომ დაეკარგა ეს თავისებური ენა, რომელიც ადამიანებს ერთმანეთის უკეთ გაგებაში ეხმარება, — ასე თვლიდა დიმიტრი შოსტაკოვიჩი.

ჯანსულ კახიძის გაკვეთილები ბავშვებს მუსიკის მოსმენასა და გაგებაში ეხმარება. მათ ხომ მთელი სიცოცხლე სათუთად უნდა ატარონ იგი საკუთარ არსებაში.



# აისი

ნორჩ კორესპონდენტთა ჟურნალი

№ 2

## ზამთარი

ზამთარი მიწაში ჩაღნა გალახული,
მიწყნარდა მსუსხავი, ავი ქარაშოტი,
მოფრინდა ზურმუხტისფერი
გაზაფხული,
მხრები დაუკვირტა ხეებს ცად
აშოლტილს;
ოცნებამ დალეწა ყინულის
ბორკილი,
მზემ ოქროს საკინძე გაიხსნა
ბოლომდე
და ზეცა, ღრუბლების
ნაბადდაკონწილი,
მიეცა მერცხლების მოფრენის
მოლოდინს.

ზაზა გიგილაშვილი,
გორი, კარალეთის საშუალო სკოლა, VIII კლასი.

## ერთი დღე მთაწმინდაზე

— რა სილამაზეა! — შესძახა იამ. ბუჩქის ძირას მისი სეხნია, ლურჯთვალა ია განაბულიყო. თამაზმა ყური მოჰკრა იას შეძახილს. მაშინვე მოირბინა:

— მოდი, ფესვიანად ამოვიღოთ, ჩვენი კლასის მწვანე კუთხეში გავახაროთ, ჰა?

თქმა და ასრულება ერთი იყო.

თამაზისა და გიორგის თვალს არაფერი გამოეპარება — არც ფუტუროდან თავამოყოფილი ფუმფულა ციყვი, არც ჩიტის ბუდე, არც მშიშარა ლოკოკინა. აგერ, ზურაბიც აიყოლიეს და მზის გულზე განაბული მწვანე ხვლიკი დააფეთეს, მერე სოკოს დაძებნა მოინდომეს, მაგრამ ბესომ და გრიგოლმა აუხსნეს, სოკო ჯერ ადრეა, ახლა მარტო ხის სოკოს თუ წავაწყდებითო.

— ერთი შეხედეთ, მტკვარი შეჩერებულა, აღარ მიედინება! — მოისმა მამუკას შეძახილი.

მართლაც, ქვემოთ, შუა ქალაქში, ვერცხლის ქამარივით ჩანდა მტკვარი, თითქოს მართლაც აღარ დიოდა.

ბავშვებმა „დიდი გეოგრაფიული აღმოჩენები“ დაიწყეს:

— აი, ცირკი! აგე, სტადიონი! შეხედეთ, ის ახალი ვაგზალია! აი, კიდევ, მთაწმინდის პანთეონი!..

პანთეონამდე ფეხით ჩავედით. სათითაოდ მოვეფერეთ ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა ფშაველას, გალაკტიონ ტაბიძის საფლავებს... დიდხანს ვიდექით „ჯარისკაცის მამასთან“ — სერგო ზაქარიაძის საფლავთან.

ლაჟვარდისფერ ცაზე მზე იცინოდა და ცისფერ, ლურჯ, თეთრ ყვავილებს თავს დანათოდა. ნორჩი ხის ერთ ტოტზე უცებ რაღაც შეირხა, კვირტი გასკდა და კიდევ ერთი ნაზი ფოთოლი გაიშალა—სამშვიდობოდ, საამოდ, სასიხარულოდ. თბილისის ქუჩებში ოქრო ჩაღვრილიყო. და მტკვარი კი არ იდგა, არამედ დიოდა და დიოდა შეუსვენებლად, უსასრულოდ.



მაია ჩახხიანი, ეკა მამუჩიშვილი,
თბილისი, 162-ე საშუალო სკოლა, IV კლასი.

## ჩემი მეგობარი

ამხანაგი ბევრი მყავს, მაგრამ მათგან მეგობრის გამორჩევა რატომღაც ძნელი მეჩვენა, რადგან მეგობარი მე ჩემს მეორე დად ან ძმად წარმომიდგენია. ის ხომ მუდამ ჩემს გვერდით უნდა იყოს, გამორჩეულად ახარებდეს ჩემი ყოველი წარმატება, აღელვებდეს წარუმატებლობა. რა თქმა უნდა, მეც იმავეს უნდა ვაკეთებდე, რადგან მეგობრობა ცალმხრივი არ შეიძლება იყოს.

სწორედ ამ თვისებითაა გამორჩეული ჩემი მეგობარი ნინო პავლიაშვილი. იგი კარგად სწავლობს, ზრდილობიანია, უყვარს ამხანაგების დახმარება... მე და ნინო ერთ კლასში ვსწავლობთ, ყველაფერი ვიცით ერთმანეთისა, ხშირად ერთად დაგვიმსახურებია შექებაც და საყვედურიც. ნათქვამია — მეგობარი ჭირში გამოიცდებაო... და მეც მინდა რაიმე ისეთი შემემთხვეს, რომ მეგობრის დახმარება დამჭირდეს. მაინტერესებს, როგორ მოიქცევა ნინო მაშინ, როცა რაღაც გამიჭირდება და მისგან დახმარება დამჭირდება. თუმცა იმედი კი მაქვს, რომ დახმარებას უსათუოდ გამიწევს. მე მჯერა მისი. ჩვენ გავიზრდებით, მაგრამ ერთმანეთის სიყვარული მუდამ გულში გვექნება, მუდამ სიყვარულითა და სიამაყით მოვიგონებთ ერთმანეთს.

ირინე გვანცელაძე,
ქუთაისი, მე-16 საშუალო სკოლა, VI კლასი.

## ჩანჩქერი

მე ჩანჩქერი ვარ და ამიტომ სულ უნდა ვიჩქარო, ვიჩუხჩუხო... ჩემს უცოდველ სულს ყველაფერი ახარებს — უღრუბლო ცის ღიმილიც, ისიც, კლდიდან რომ ვხტები და ჩემს ცისფერ დალალებს ქარი არხევს, ყვავილებს რომ მიბნევს თმებში. თუ წვიმაა, ვჯავრობ და პირზე ქაფმოყენებული ვემუქრები შავ ღრუბლებს. დილით, როცა აღმოსავლეთით მზე ამოიწვერება, სიხარული მიპყრობს. მის ქორფა სხივებს დიდხანს ვეთამაშები. მზეც დამხარის, მეფერება, გულში ნაზად მიკრავს. ამ დროს ტყემლის ყვავილები თეთრ კაბას მიკერავენ, ხეები ტოტებს მატოლებენ, ჩემს მეზობლად ამოსული იები მორცხვად მიღიმიან...

მე ბედნიერი ვარ და ვფიქრობ, რომ სიცოცხლეს ქვეყნად არაფერი შეედრება...

ფიქრია აფხაიძე,
თერჯოლა, ქვედა სიმონეთის მე-3 საშუალო სკოლა, VII კლასი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# თავრია

გიორგი პაპუაშვილი

მხატვარი თამაზ ხუციშვილი

მოთხრობა

უსაშველოდ მაღალი, გრძელი, ყანყალა კამეჩი იყო თავრია. მიდიოდა და მიიზანყებოდა აუჩქარებლად. ისე ირყეოდა, იფიქრებდით, ეს არის, წაიქცევაო. ჩვეულებრივი ხარები მუცლამდე სწვდებოდნენ, კამეჩები კი არტალებს თუ უფარავდნენ. კოლმეურნეობის მუშა-საქონელი როცა მიუდიოდათ, საიდანაც უნდა გაგვეხედათ, თავრია გეცემოდათ თვალში.

— აგერ, თავრია — დავიძახებდით და გავრბოდით საბადურის გორიდან თავქვე, რათა ახლოს გვენახა ეს ვეება და თვინიერი პირუტყვი.

მარტო თავრია იყო გახედნილი იმდენ საქონელში და მარტო ის ისვამდა ზურგზე ადამიანს. ლამის მეხრე შალიკოც შეჯდებოდა და ისე მისდენიდა ხოლმე საქონელს წყლის დასალევად.

— მაამ-ჰოჰ!.. ატფუ!.. — ერეკებოდა თავრიაზე ამხედრებული შალიკო, კოლმეურნეობის ხარ-კამეჩს და თან ღიღინებდა:

„კამეჩი წევს და იცოხნის,
თავის ამინდი ჰგონია,
ლაფში ჩაფლული ურემი
შინ მიტანილი ჰგონია".
„კამეჩო, მუხრანელი ხარ,
უღელი გეცოდინება, —
მე უღლის არა ვიცი რა,
კისერში მეჩოთირება..."

აკვანივით მიირწეოდა თავრია და ნეტარებით მღეროდა შალიკო.

— შალიკოო!

— ჰაოო! — მოქნას უწყებდა შალიკო ისედაც ლვედივით მოქნილ სახრეს.

— კამეჩზე შეგვსვამ, რომ წამოვიდეთ?! — გაუბედავდა რომელიმე ყოყლოჩინა ბიჭი.

— გამოიქეცით, გამოიქეცით!.. წყალი დავალევინოთ საქონელს.

მისი იმედიანი თანხმობა ახალ ენერგიას გვაძლევდა და უფრო მეტი სიხარულით გავრბოდით.

იმ დღესაც ასე მოხდა, როცა შალიკომ პირველად შემსვა კამეჩზე. წყლისკენ მიმავალი შალიკო და მისი საქონელი გორიდან შევნიშნეთ და თავქვე დავეშვით. გარს შემოვეხვიენით და ავყიყინდით:

— კამეჩზე შეგვსვი, რა, კამეჩზე შეგვსვი!

— თქვენ ხშირად შეგსვამთ ხოლმე, ეხლა ჩემი ნათესავი უნდა შევსვა! — ანიშნა ჩემზე.

— შენი ნათესავი საიდან არი? — გაკვირვებით შეეკითხა ჩვენს შორის ყველაზე უფროსი ბიჭი, რომელიც თავისი უფროსობითაც იყო განებივრებული და კამეჩზე ჯდომითაც.

— ნათესავია, მამა! დედაჩემის დიდედა და მაგისი პაპის პაპა ბიძაშვილ-მამიდაშვილნი არიან.

— ყვავი ჩხიკვის მამიდაო! — წამოროხა განაწყენებულმა ბიჭმა დიდების ნათქვამი, თუმცა თვითონაც არ იცოდა, რას ნიშნავდა.

— ვინ არი ყვავი, შე მაიმუნო?! — წაუტურტურა გაბრაზებულმა შალიკომ და შესაშინებლად მისკენ წაიწია, როგორც კი კამეჩიდან ჩამოხტა.

შალიკო ძალიან ღონიერი, მსხვილმუხლ-მაჯება და მსხვილთვალება ბიჭი იყო. ის რომ შუბლს შეიკრავდა, ქვასაც კი შეაშინებდა, არათუ ჩვენოდენა და ჩვენზე ცოტათი უფროს ბიჭს, რომელსაც ჯერ მხოლოდ მეხუთე კლასამდე ძლივს მიეღწია. ამიტომაც ბიჭმა მალე იცვალა ფერი და იხტიბარწამხდარი ისევ საბადურის გორისკენ გაიქცა, საიდანაც, ეს იყო, ჩამოვირბინეთ. იმას ერთი-ორი ბიჭი სხვა აედევნა, რაკიღა კამეჩზე უკვე ნაჯდომნი იყვნენ და, შალიკოს სამართლით, შეჯდომა აღარ ეკუთვნოდათ. ყველაზე პატარებილა შემოვრჩით შალიკოს, მხოლოდ ისინი, რომლებიც არც ერთხელ არ ვმსხდარიყავით კამეჩზე. მაშინ შალიკომ სახრე ერთ-ერთ ბიჭს დააჭერინა, იღლიებში ხელები შემიყარა, თავის თავს ამაცდინა და კამეჩზე შემასკუპა.

— ნათესავები ვართ, მამა! — როცა სახრე ისევ გამოართვა, განაგრძო შალიკომ, — ასეთი ღრმა ფესვები აქვს ჩვენს ნათესაობას. ჩვენი ნათესაობა კი არ არის მთავარი, პაპები და პაპის პაპები რომ ნათესავები იყვნენ, მთავარი ეგ არი. ნათესაობისა ჩვენ რა ვიცით, ბალღები ვართ, ნათესაობა იმათ იცოდნენ, ჩვენმა წინაპრებმა.

ნათესაობის ცოდნას არავის ვუშლიდი, მაგრამ იმ სიმაღლიდან რომ გადმოვხედე სადღაც გაქცეულ დედამიწას, თვალები ამიჭრელდა. ნათესაობაც ერთბაშად დამავიწყდა და მამა-პაპანიც. ვიფიქრე, რომ გადმოვვარდე, სულს ვერ ჩავაღწევმეთქი დედამიწამდე და თუნდაც ჩამეღწია, კამეჩები გადამივლიდნენ

და ყველაფერს ჩამაჩქლერთავდნენ. თუნდაც ცოცხალი გადავრჩენილიყავი, საამქვეყნოდ აღარ ვივარგებდი.

— ვაიმე, ჩამოვვარდები! — მოვიჩივლე კანკალით.

— ეგ არ გამაგონო! — დამტუქსა ილლიაში სახრეამოჩრილმა შალიკომ, — მამაშენის შვილმა შიში არ უნდა იცოდეს. განა კიდევ პატარა ხარ, შენ ეხლა ღამის მეხრედ უნდა დადიოდე, სკოლა რომ არ იყოს.

ვიფიქრე, ალბათ მართლა პატარა აღარა ვარ, წუწუნი სირცხვილია და არ ჩამოვვარდები-მეთქი. თავი გავიმხნევე, გული მოვიეც და ვეცადე, არ ჩამოვვარდნილიყავი. რაკიდა ხელწასავლები არაფერი ჰქონდა კამეჩის ზურგს, უმწეოდ დავიწყე ხელების ფათური, რომ მაგრად ჩავბღაუჭებოდი. ბოლოს კამეჩის გახრეკილ ზურგზე ნაჯახის პირივით ამოშვერილ ხერხემალს მივაგენ და იმას ჩავეჭიდე.

თავრია კამეჩი ძალიან გამხდარი იყო. კოლმეურნეობის საქონელი გასუქებას საერთოდ ვერ დაიქადნებდა, მაგრამ თავრია მაინც ნამეტანი იყო. ალბათ იმიტომ, რომ, როგორც დიდსა და ბუმბერაზს, ყველაზე მეტი საკვები სჭირდებოდა და სინამდვილეში კი ყველას თანაბრად აჭმევდნენ ბაგაზეც და მინდორშიც. ბოლოს და ბოლოს მასაც ერთი პირი ჰქონდა და სხვა კამეჩებსაც. კუჭი კი ალბათ ორჯერ უფრო დიდი ექნებოდა.

— კიდევ ხომ არ გეშინია, ნათესავო? — შემეკითხა შალიკო დაარხეინებული კილოთი, როცა თანდათანობით გონზე მოვედი და თავბრუხვევამაც ცოტათი გამიარა.

— არა.

— აკი გითხარი, არ შეგეშინდება-მეთქი?! ყოჩაღი ბიჭი ხარ!

ვიფიქრე, ალბათ მართლა ყოჩაღი ბიჭი ვარ-მეთქი, და უფრო მეტად გავიმაგრე გული.

— მეც შემსვი, შალიკო ძიავ, მეც შემსვი! — თუმცა ძიად არ ეკუთვნოდათ, ასე ევედრებოდნენ ძირს დარჩენილი ბიჭები, რათა გული აეჩუყებინათ და დათმობაზე წაეყვანათ.


ეროვნული ბიბლიოთეკა

— აჰა, შენც შეგსვამ! — დასწვდა ერთ-ერთ ბიჭს და ჩემს უკან შემოასკუპა.

— ჩამოვვარდები! — ავწრიალდი, როგორც კი ჩემს ზურგთან ბიჭი აფართხალდა.

— უფრო გამაგრდები, ნუ გეშინია! — მიპასუხა უდარდელი ღიმილით.

ბიჭმა წელზე ხელი შემომხვია და იმედი მომეცა. ცოტათი გავმხნევდი. ვიფიქრე, თუ ჩავვარდები, ორივენი ერთად ვიქნებით-მეთქი.

— მეც შემსვი, რა! — ერთი ბიჭილა დარჩა ძირსა და ისიც ქალაქელი სტუმარი.

— შეგსვამდი, მაგრამ რომ ჩამოვარდე, შენს მშობლებს არც კი ვიცნობ და რა უნდა ვუთხრა?

— არ ჩამოვვარდები! ვეტყვი, ძალით შევჯექი-მეთქი.

— ვერ დავეტევით, ჩამოვვარდებით! — შევშინდი უმეტესად.

— დაეტევით, როგორ ვერ დაეტევით?!. ჩვენი თავრია იმსიგრძე კამეჩია, ხუთი თქვენისთანა დაეტევა, — დაავლო შალიკომ ხელი იმ ქალაქელ ბიჭსაც და ისიც ჩვენს უკან შემოსვა.

— ვაიმე, მცემს კამეჩი! — მოიჩივლა ქალაქელმა ბიჭმა, როგორც კი შალიკომ ხელი გაუშვა.

— ნუ გეშინია, კუდით ბუზებს იგერიებს და შენა გგონია, მე მცემსო.

— წიხლი რომ აყაროს, ხომ ჩამოვვარდებით?

— კამეჩმა წიხლის აყრა არ იცის, ბიჭებო, ნუ გეშინიათ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

და რა გგონიათ, ჩამოვცვივდით? სულაც არა! ცოტა ხანში იმდენად მივეჩვიენით კამეჩის ზურგს, თავი სასახლეში გვეგონა. ისე გავთამამდი, სიმღერაც კი წამოვიწყე:

„შენ, ჩემო შავო კამეჩო, ნიკორა
ზაქის დედაო,
შენი გაზრდილი ზაქები მიმიდის
მარილზედაო.
აღზევანს მივალთ, ნიკორავ,
როგორ არ გაგიხარდება,
ლოკე და ლოკე მარილი,
არავინ გაგიჯავრდება".

მსგავსი ლექსები შალიკოსგან, უფრო ხნიერი მეკამეჩეებისგან, მეურმეებისგან და მეგუთნეებისგან გამეგონა. მაშინ მხოლოდ კამეჩებითა და ხარებით სულდგმულობდა მთელი სოფელი და იმათ უმღეროდნენ. ახლა ყველა მხარეს, საითაც გაიხედავთ, ტრაქტორი რომ გუგუნებს, ასე არ იყო საქმე. მთელ რაიონს მანქანა-ტრაქტორთა სამი ბრიგადა ემსახურებოდა. თითო ბრიგადაში სამი ტრაქტორი იყო: „სეტეზეები" და „ხეტეზეები" — პატარა ოთხთვლიანი ტრაქტორები, კბილანიანი უკანა ბორბლებით. გუთანი რომ ფესვმაგარ კუნძს წამოედებოდა, ან მაშინვე ქრებოდა ტრაქტორის ძრავა, ანდა ისეთ ბლუილს დაიწყებდა, იფიქრებდით, მთელი ქვეყნის სატკივარი მაგას აწუხებსო. ერთადერთი დიდი ტრაქტორი ჰქონდათ, მუხლუხიანი, და მაგით ამაყობდნენ. თუმცა, რაც თავი მახსოვდა, ჩვენს მინდორში ეგდო გაფუჭებული და მის ამუშავებას საშველი არ დაადგა. მარტო მაშინ წაიღეს, როცა ომი დაიწყო. ამბობდნენ, ჯავშანი გადააცვეს და ფრონტზე გაგზავნესო.

რა ჭირად ვახსენე ომი და ფრონტი?! მშვენივრად წყლისკენ მივვიდიოდა კამეჩები თავრიაზე ამხედრებულ ბიჭებს და სიამოვნებით ვღიღინებდი. მოდი, კიდევ გავიგრძელოთ ეს სიამოვნება და წყალი დავალევინოთ კამეჩებს. მივრეკეთ წყალზე და შალიკომ ჩამოგვსხა, — ნავიდან წყალი მიასხით თავრიას და ვაბანაოთო. სისარულით მივესიენით ნავს და პატარა მუჭებით გაწუწვა დავუწყეთ სპილოსოდენა კამეჩს, შალიკო კი თავისი ბრტყელი და მიწასავით შავი ხელებით ზარკლებიდან შემხმარ წუნწუხს აცლიდა; იქიდან უკვე გაბანებულ კამეჩზე შეგვსხა და ქვეყანა ჩვენი გვეგონა.

მერე?

მერე ომი დაიწყო, როგორც წელან წამომცდა, და შალიკოც ომში წაიყვანეს. თავრია კი ვიღაც ნაძირალებმა საბადურის გორაზე გაატყავეს ერთ ღამეს. ტყავი საქალამნედ წაიღეს და ხორცი იქვე მიატოვეს ლეშად. და ახლა, როგორც კი იმ უბანში გავივლი, სადაც შალიკო ცხოვრობდა, თავრია მაგონდება. შალიკოც ხომ თავრია კამეჩივით დიდი, გამხდარი და ღონიერი იყო. მასაც კამეჩივით აბლეჩით ეჭირა თავი და ისე მიდიოდა, თითქოს ამბობდა, არაფრისაც არ მეშინია, რაკიღა ჩემზე ღონიერი არავინ არისო.

გულს იმით ვიმშვიდებ, უნიშნოდ რომ არ დატოვებდა მტერს შალიკო ლამის მეხრე და გულხელდაკრეფილი არ შეხვდებოდა მათ ტყვიას.





### კატების დესანტი

მალაიზიის მიუვალი რაიონების თავზე პატარა თვითმფრინავები გამოჩნდა. იქაურ სოფლებს რომ მიუახლოვდნენ, თვითმფრინავებმა მცირე ხანს იტრიალეს და შემდეგ ათასობით კატა გადმოსვეს პარაშუტებით. ამ ოპერაციის ჩატარება იმით იყო განპირობებული, რომ უკანასკნელ ხანებში ამ ადგილებში ძალზე მომრავლდნენ ვირთხები, რომლებიც დიდ ზარალს აყენებდნენ მოსახლეობას, ანადგურებდნენ პროდუქტების მარაგს, ის კი არა, ხალხსაც ერჩოდნენ და, რაც მთავარია, ჭირის გამავრცელებელი რწყილებიც გადაჰქონდათ. მას შემდეგ, რაც არც ხაფანგებმა გასჭრა და არც შხამებმა, სპეციალისტებმა კატებს მიმართეს. ამჟამად კატების დესანტი გულმოდგინედ ებრძვის ვირთხების არმიას.



### კვლავ პინგვინების შესახებ

პინგვინები დროის მნიშვნელოვან ნაწილს წყალში ატარებენ. მაინც, რამდენ ხანს ძლებენ ისინი წყალქვეშ? რა სიჩქარით დაცურავენ? ამ კითხვებით დაინტერესებული ახალზელანდიელი ფიზიოლოგები 250-ჯერ ჩაეშვნენ ცივ სიღრმეებში და დაადგინეს, რომ პინგვინების წყალქვეშ ყოფნის მაქსიმალური დრო 18 წუთია, რაც ზღვის დანარჩენი ფრთოსნებისა და ზოგიერთი ძუძუმწოვრის შესაბამის მაჩვენებელზე მეტია. დადგენილია მათი წყალში ჩაშვების მაქსიმალური სიღრმეც. ფირზე აღბეჭდილია პინგვინები, რომლებიც არხეინად დაცურავენ 266 მეტრის სიღრმეზე. ეს ფაქტები აიძულებს მეცნიერებს, ხელახლა მოჰკიდონ ხელი პინგვინების სუნთქვის სისტემისა და სისხლის წნევის რეგულირების შესწავლას.

# ვინ მოიტაცა ბარტყები?



## (ანუ ახალი ამბები ლეტიბაჩების ქვეყნიდან)

მზია ჩხეტიანი

მხატვარი ედუარდ ამბოკაძე

ჭრელმა ჩხიკვმა ჩაიქროლა:
— სენსაცია! სენსაცია!
მთელ ლეტიბაჩს შეაჟრჟოლა,
მთელ ლეტიბაჩს შეაცია.
ნაღვლობს ყველა —
ბერიც, ჩქოლაც,
მკერდში სევდის ლოდი უდევთ,
ჩხიკვი აურის თავს ქოქოლას,
ვინც დამალა გნოლის ბუდე.
ვინც მოსტაცა ბარტყი ორი,
ვინ იყოო ღმერთგამწყრალი!
დაფარფატებს დედა გნოლი
გულმოკლული, ცრემლგამშრალი.

●

ტყით, ბუჩქნარით, ნაკაფით
მოფრთხიალდა კაკაბი,
ინასულა დობილი,
სევდით გულგაპობილი.
მწყერმაც ჩაიქვითქვითა:
— ვინ დაგღუპა, ვინ გიქნა!
ვინ გაგწირა ამგვარად!
— მე რისთვისღა დამტოვა,
ვინც შვილები წამგვარა!
— ცოდონი ვართ დედანი, —
ტირის ბერი ქედანი.
— გაწყდეს ჩვენი მტერი! —
იწყევლება მწყერი...
ყრანტალი აქვთ მაღლა ყვავებს,
კითხულობენ დამნაშავეს.
იზმორება მაჩვი ზანტად:
— გველის მეტი ვინ იზამდა?!
— სსსუ, სსსუ, სსსუო, —
ბრაზობს გველი,
სისინებს და ურჩად დაობს,—
მე არ მახლოთ არვინ ხელი,
გიჟობთ, თქვენს თავს მოუაროთ!
ბაჯო პაპაც მობაჯბაჯდა,
წიფლის ძირში ქუშად დაჯდა
და შუბლშეკრულს ერთობ მკაცრად
ერთი-ორი სიტყვა დასცდა:
— გამოცნობა ავაზაკის
არ ემლებათ, კი იციან!
ასეთი რამ მოხდა რაკი,
უნდა ვუხმოთ მილიციას!
— უნდა ვუხმოთ!
— რა თქმა უნდა!
— ქურდის ცნობა კი იციან! —
ყველა ერთად ახმაურდა:
— მილიცია! მილიცია!

●

აღმა-დაღმა, დაღმა-აღმა,
ხევს გამოღმა, ხევს გაღმა —
მილიციის დაჰქრის რაზმი,
რომ შეიტყოს ყველას აზრი,
იკვლევს, ეძებს, ეძებს, იკვლევს,
დააქროლებს მოტოციკლებს,
გადმოუხტა ბაჯი-ბუჯი,
აიწია შავი დრუნჩი,
სურვილისგან თათებს იკვნეტს, —
მეც შემსვითო მოტოციკლზე.
— გემსახუროს, შენ თუ გინდა,
მზად არისო მილიცია,
მოდი, დაჯექ! ხელს უწვდის და
ეფერება დიდი ძია.
— ჰერი, ბიჭო! დივლი, დივლი! —
აგრიალდა მოტოციკლი.
გახალისდა ბაჯი-ბუჯი,
კიდევ უფრო გათამამდა,
ცა ქუდად არ უჩანს ლურჯი,
მიწა კიდევ — ქალამნადა.

### ბაჯი-ბუჯის ნატვრა

მე რომ მქონდეს მოტოციკლი,
აბა, ფეხით როგორ ვივლი!
მოვახტები, გავქროლდები
ლეტიბაჩის გაყოლებით,
მარალეშით, კარვალეშით,
სადათვიით, სასამოთი,
ყვავილებში, ბალახებში,
სად გორებზე ცა ჩამოდის,
ოდელია, დივლი-დივლი,
მთელ ქვეყანას შემოვივლი!
ასხის მთაზე, საღამოთი,
მზეს მივუსწრებ, ჩავა ვიდრე,
ხელს დავტაცებ და ჩამოვხსნი,
მაღალ ხეზე ჩამოვკიდებ,
რომ არასდროს არ ჩავიდეს,
სულ ენთოს და იბრდღვიალოს,
მაშინაც თქვენ, აბა, კიდევ,
ვინ როგორი ბიჭიაო!
რა მზის შუქი დახვავდება!
არც არასდროს დაღამდება!
დღე იქნება მარად, მარად,
ქურდიც ვერას მოიპარავს!

●

— ქალბატონო დედა გნოლო,
თუმცა ასე წუხხართ, ნაღვლობთ,



ხომ ვერ გვეტყვით, მაინც ბოლოს
ვინ შენიშნეთ ბუდის ახლოს?
იცრემლება დედა გნოლი:
— დამეკარგა ბედშავს გონი,
გასულ კვირას ამ ხის ძირას
მელაკუდა შემხვდა მგონი.
წინ წამოდგა პაპა ბაჯო
(ჭკვიან სიტყვას აბა, რა ჯობს!)
და ნაფიქრი, როგორც კვნესა,
მოხუცს დასცდა ბოლოს ლექსად:
ბექობთან,
სადაც ვერხვი დგას,
მელა შემომხვდა წითურა,
შეკრთა, შეცბუნდა, შეჩქეიფდა,
თვალ ვერ მისწორა ჯიქურად.
არც ქოხში შემიპატიჟა,
არც რა მშვიდობა მისურვა!

არ მომცეს საშველი,
მათი ბრძანებით ამ თაგვებს
მეც მსუქან ფრინველს ვარჩევდი.
ვერც დედის ფიქრით ვიფიქრე,
სხვისა ჭირ — ღობეს ჩხირიო,
ახლა ვზივარ და ვქვითინებ,
გულამოსკვნილი ვტირიო.
შვილებს რა ვუთხრა, დღემდე რო
ვეგონე გმირთაგმირიო!
გახსენით ქვაბი ცხრაკარა
სალ კლდეზე, თვალადკეთილი,
ცხრა გნოლი, ათი კაკაბი
იქა მყავს გამოკეტილი...
ახალი წლისთვის მინდოდა,
ტაბლა მქონოდა ქებული,
ტაბაკად — გნოლი, კაკაბი,
არიგებ-ჩარიგებული.

აბუტბუტდა ცივი წყარო:
— შენ რა ჩემი ღირსი ხარო!
მირჩევნია გავქრე, დავშრე!
ვიდრე ახლოს მიგიკარო!
—მოითმენო, არა გიშავს, —
ციყვმაც გირჩა დამათხლიშა.
ონავარმა ბაჯი-ბუჯმაც
რკო მესროლა ათი მუჭა.
ბაჯბაჯამ კი, მამამისმა,
ლამის ხევში გადამიშვა.
რომ მოვყავდით, მახსოვს ჯერაც,
თავდახრილი, პირგამშრალი,
მაცილებდა ავი მზერა
და ათასი სიტყვა მწყრალი.



გააჩხაკუნა საგდული
და კარიც გამომიხურა.
— რა ცოდვა გადევს ბედკრულსა,
რომელ ქვრივის და ობლისა? —
ვუთხარ, მოგწვდება დღეს თუ ხვალ
შურისძიება სოფლისა!
არ გაპატიებს არავინ,
აგიტირებენ ცოლ-შვილსა!

●

თქვა მელაკუდამ: — იმ ჩემი
კარგი დედ-მამის ცხონებამ,
ამ კაკბებმა და გნოლებმა
სულ ამირიეს გონება.
ცოლმა და შვილმაც დამდაგეს,
არ ქნეს,

## წითურას ჩივილი

დამიჭირეს, ჩამატარეს
გზაზე რკინის გალიითა,
მცველს შევთხოვე: — გამაპარე!
შემომბღვირა, ასე მითხრა:
— ხმა გაწყვიტე, აბა, მალე!
ნუ წუწუნებ ქალივითა!
მე კი მაინც დავიხავლე:
— ერთი პეშვი წყალი მინდა!
ცივწყალასთან მიმიყვანეს,
წყალმა უკან დაიხია,
გადმომიხტა ტოტი მაყვლის
და ქულაჯა დამიხია.

ახლა კიდევ — ციხეს ვზივარ
სადღაც, ქვეყნის განაპირას,
მენატრება ლეტიბაზი
და ბარე ორს ვიცემ თავში.
ერთხელ მაინც მომატარა
ოქრო-ბოკრო ბილიკები,
ქარბუქში თუ ღამებნელში
თამამად რომ მივიკვლევდი.
ერთი მაინც დამანახვა
ხევისპირა თელიანი,
ღამის ბინდში მოშრიალე
ბუჩქნარი თუ ღელიანი...
ეჰ, ტყვეობა მართლაც თურმე
უსაშველოდ ძნელი არი!

# არის თუ არა სიცოცხლე სხვა პლანეტებზე?



## სარკმელი კოსმოსში

**არჩილ ბეთანელი,**
**პროფესორი**

ალბათ ბევრ თქვენგანს უფიქრია ვარსკვლავებით მოჭედილი ცის დანახვაზე, ნეტავ, მარტო ჩვენ, დედამიწელები ვართ ერთადერთი გონიერი არსებანი მთელ სამყაროში თუ სხვა პლანეტებზეც ცხოვრობენ ჩვენნაირი არსებები, ჩვენნაირი გრძნობებით, ტკივილებით, ოცნებებითა და დარდებითო... ეს კითხვა, რომელიც უძველესი დროიდან აწუხებს კაცობრიობას, თანამედროვე მეცნიერების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემაა. მით უფრო, რომ კოსმოსური სივრცის ათვისებაში დღეისათვის უკვე არსებული მიღწევები ბუნებრივად წამოჭრის სხვაპლანეტელებთან შესაძლო კონტაქტის დამყარების საკითხსაც.

გონიერი არსებებით დასახლებული სხვადასხვა პლანეტის არსებობის იდეას აქტიურად უჭერდა მხარს თეორიული კოსმონავტიკის ფუძემდებელი, დიდი საბჭოთა მეცნიერი კ. ციოლკოვსკი. მან არა მარტო დაასაბუთა სხვაპლანეტელთა არსებობის შესაძლებლობა, არამედ საფუძველი ჩაუყარა კიდეც ამ პრობლემის დამუშავების ჰუმანურ ტრადიციებს. ციოლკოვსკის თვალსაზრისს ამ საკითხზე იზიარებენ საბჭოთა მეცნიერები და ფანტასტიკოსი მწერლებიც.

ამის საპირისპიროდ, უცხოეთის კინო და ტელეეკრანებსა თუ წიგნის ბაზრებზე გამოსულ პროდუქციაში ლაპარაკია დედამიწელთა და სხვაპლანეტელთა ფანტასტიკურ ომებზე, სხვაპლანეტელთა ცხოვრების „ულმობელ“ წესებზე. ცნობილია, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციის მიერ შემუშავებული, სამხედრო მიზნით კოსმოსის გამოყენების ავბედითი გეგმის იდეა სწორედ ასეთი ფანტასტიკური ფილმის — „ვარსკვლავეთის ომების“ შთაბეჭდილებით გაჩნდა.

როდესაც სხვაპლანეტელებზე ვსაუბრობთ, უპირველეს ყოვლისა, უნდა დავაზუსტოთ, ერთი შეხედვით, თითქოსდა გასაგები ცნებები: რა არის სიცოცხლე? რა არის გონება? რას ნიშნავს გონიერი არსება? მარტივად ვთქვათ: სიცოცხლის დამახასიათებელი თვისებაა ნივთიერებათა ცვლა, გამრავლების ან თავისივე მსგავსის კვლავწარმოების უნარი... აქ ტერმინი კვლავწარმოება ფართო გაგებით იხმარება, იგულისხმება, რომ იგი აერთიანებს ყველა პროცესს, რომლებიც მიმდინარეობს უჯრედში, სანამ ბოლო საწყისი ორგანიზმის ასლი არ წარმოიშვება.

კოლექტიურ გადაწყვეტილებათა მიღების აუცილებლობამ განაპირობა პირველყოფილ ადამიანებში ენობრივი ურთიერთობის ჩასახვა. უფრო გართულებული ინფორმაციის გადაცემა მოითხოვდა ახალი სახის კონტაქტის წარმოქმნას. ასე თანდათანობით წარმოიშვა ენა. კანადელი ანთროპოლოგი რ. ლი თვლის, რომ ადამიანის გონება ადამიანური ენის სინონიმია.

ჩვენი კოსმოსური საუკუნე ყოველდღიურად ავლენს კოსმოსში მატერიის მოძრაობის ისეთი ფორმების აღმოჩენის პრინციპულ შესაძლებლობებს, რომელთაც აქვთ ცოცხალი ან, შესაძლებელია, თვით მოაზროვნე არსების პრაქტიკულად ახალი ატრიბუტი. ერთი მხრივ, შესაძლებელია, სხვაპლანეტელებს ადამიანური თვისებები და ადამიანის მსგავსი გარეგნობა ჰქონდეთ, რომ ისინი დედამიწაზე სიცოცხლისა და გონების ევოლუციის მსგავსი ევოლუციის შედეგი იყვნენ, მეორე მხრივ კი, სხვაპლანეტელები შეიძლება მატერიის ისეთი ევოლუციის შედეგად ჩავთვალოთ, რომელსაც არაფერი აქვს საერთო დედამიწაზე სიცოცხლისა და გონების ევოლუციასთან.

პოლონელ ფილოსოფოსს, სოციოლოგსა და ფანტასტიკოსს სტანისლავ ლემს მიაჩნია, რომ გონება, რომელსაც ჩვენ როდესმე აღმოვაჩენთ, შეიძლება იმდენად განსხვავდებოდეს ჩვენი წარმოდგენებისაგან, რომ არც კი ვისურვოთ მას გონება ვუწოდოთ.

მეცნიერებაში ცნობილია ასეთი ვერსია: 75 მილიონი წლის წინათ მარსისა და იუპიტერის ორბიტებს შორის არსებობდა პლანეტა, რომელსაც დღესაც პირობითად „ფაეტონს“ უწოდებენ. მასზე არსებობდა ორგანული ცხოვრება. ზოგიერთი მეცნიერი ვარაუდობს, რომ ამგვარი ცხოვრების ევოლუციამ „ფაეტონზე“ განვითარების მაღალ ფორმას მიაღწია. იქ არსებობდა მაღალი დონის ცივილიზაცია. ამდენად, ბუნებრივია, რომ პლანეტის მცხოვრებნი თერმობირთვული ენერგიის საიდუმლოებასაც ფლობდნენ. მაგრამ საბედისწერო წუთში კოლოსალური სიმძლავრის ბირთვულმა აფეთქებამ შეარყია „ფაეტონი“ და პლანეტა გაიპო. მისი უდიდესი ნაწილი სივრცეში გავარდა და წარმოქმნა ჩვენი მზის სისტემის მეცხრე პლანეტა — პლუტონი. შესაძლებელია, ეს აფეთქება იმდენად მოულოდნელი იყო, რომ გონიერ არსებათაგან ვერავინ გადარჩა. ამრიგად, იქაური ცივილიზაცია სამუდამოდ გაუჩინარდა სამყაროს უკიდეგანო სივრცეში... ამ კოსმოსური კატასტროფის შედეგად დაზარალდა ჩვენი დედამიწაც. კლიმატური პირობების მკვეთრმა შეცვლამ ცხოველთა სამყაროს არაერთი წარმომადგენლის ამოწყვეტა გამოიწვია.

ცნობილია, რომ პლანეტა იუპიტერის თანამგზავრის — ევროპის თავზე გადაიფრინა ავტომატურად მართულმა ამერიკულმა კოსმოსურმა ხომალდმა. ამ ხომალდის მიერ გადაღებული სურათების ანალიზით დადგინდა, რომ ევროპაზე წყლის დიდი მასები არსებობს. შესაძლებელია, ეს იყოს ყინულის სქელი ფენით დაფარული ოკეანე, რომლის ზედაპირიც მრავალრიცხოვანი ბზარებითაა დაცხრილული. დადგენილია, რომ თანამგზავრის წყლის ქიმიური შემადგენლობა თითქმის იდენტურია დედამიწის პირველადი ოკეანის წყლის ქიმიური შემადგენლობისა.

არის ევროპის წყალში უმარტივესი ორგანიზმების არსებობის ვარაუდიც, რადგან ყინულოვანი ფენის ბზარებში გამავალი მზის სხივები თავისებური კვალსათბურის რეჟიმს ქმნიან.

ჩვენ, დედამიწელები, ისე ვავსებთ ეთერს რადიოტალღებით, რომ ნებისმიერ სხვაპლანეტელს შეუძლია 50 სინათლის წლის რადიუსით ჩვენი აღმოჩენა.

ამერიკელი ასტრონომის ჰ. შეპლის აზრით, სამყაროში არსებობს 100 000000 კოსმოსური სხეული — პლანეტა ან ლილიპუტი ვარსკვლავი, რომლებზეც შესანიშნავად შეიძლება ჩაისახოს და განვითარდეს სიცოცხლე.

ვერ გამოვრიცხავთ, რომ სხვაპლანეტელებმა, რომლებმაც მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების დონით დიდი ხანია გაგვისწრეს, ჩვენთვის ჯერ კიდევ უცნობი ფიზიკის კანონები აღმოაჩინეს და მათზე დაყრდნობით შექმნეს კავშირგაბმულობის ისეთი ფორმები, რომელთა წარმოდგენას ჯერ ვერც კი შევძლებთ. მაგრამ... როგორი შეიძლება იყოს ჩვენი კონტაქტები, თუ გავითვალისწინებთ თანამედროვე ტექნიკის განვითარების დონეს? შეიძლება სიგნალის მიღება, სიგნალის გაგზავნა და უშუალო მგზავრობა.

1977 წლის აგვისტო-სექტემბერში პლანეტების — სატურნის, იუპიტერისა და ურანის დაზვერვის მიზნით კოსმოსში გაფრინდა ორი კოსმოსური ავტომატური ხომალდი. მათი მისია ჯერაც გრძელდება. დავალების შესრულების შემდეგ ისინი დატოვებენ მზის სისტემის ფარგლებს და უსასრულო მოგზაურობას დაიწყებენ სამყაროში. ხომალდების კორპუსებზე მიმაგრებულია განსაკუთრებული შენადნობისაგან დამზადებული ორი ერთნაირი კონტეინერი, რომლებშიც გრამოფონის მოოქრული ფირფიტა და ალმასის ნემსია მოთავსებული. ფირფიტაზე ჩაწერილია კაცობრიობის მისალმება 60 სხვადასხვა ენაზე, ახალდაშობილის ტირილი, ვეშაპის ხმა, ქარის ზუზუნი, მატარებლის ხმაური, ავტომობილის საჭის ღრჭიალი, წყლის ჩხრიალი და, რასაკვირველია, ჩვენი პლანეტის კულტურული საუნჯე — ბახის, ბეთჰოვენის მუსიკა... აგრეთვე, როკ-ნ-როლი, ბლიუზები, უძველესი სიმღერები, მათ შორის, ქართული ხალხური სიმღერაც... გარდა ამისა, კონტეინერში მოთავსებულია 100-ზე მეტი გამოსახულება: ადამიანის ანატომია, დედამიწის კონტინენტებისა და ოკეანეების კონტურები, სქემა, რომელზეც მითითებულია სამყაროში ჩვენი პლანეტის ადგილი... დავუშვათ შესაძლებლობა, რომ ოდესმე ეს კოსმოსური ხომალდი აღმოჩენილი იქნება, მაშინ სხვაპლანეტელებსაც გარკვეული წარმოდგენა შეექმნებათ დედამიწის მცხოვრებთა შესახებ.



ან უკეთესი: შესაძლებელია, სხვაპლანეტელებთან დაკავშირების პრობლემა ვირუსების დახმარებითაც გადაწყდეს. ამგვარი მეთოდი იაპონელმა მეცნიერებმა სირომიცუ ეკომ და ტაირო ოსიმამ შემოგვთავაზეს. კოსმოსში შეიძლება გაიგზავნოს ბაქტერიოფაგი ხელოვნური გენეტიკური კოდით, რომლითაც დედამიწის ეს გზავნილება გაიშიფრება, მართალია, დღეისათვის ჯერჯერობით უცნობია ვარსკვლავთშორისი მგზავრობის განხორციელების გზები და რადიოსიგნალებიც სივრცეში იკარგება, სამაგიეროდ, არსებობს ვირუსებიანი კაპსულა, რომელსაც აქვს უნარი, მიაღწიოს გალაქტიკის ჩვენგან არცთუ მაინცდამაინც დაშორებულ რაიონში მყოფ პლანეტამდე. სხვაპლანეტელები, თუ მათი ცივილიზაცია საკმაოდ მაღალ დონეზეა, განსაზღვრავენ გენეტიკური სიტყვების თანამიმდევრობას, რომელთაც მათთან ვირუსი მიიტანს. იმ შემთხვევაში, თუ „იქაურ“ ცივილიზაციას ეს ჯერ არ ძალუძს, მაშინ დედამიწის ვირუსებს დაცდაც შეუძლიათ — ისინი რომელიმე შესაფერის ბაქტერიაში ჩასახლდებიან.

დასასრული შემდეგ ნომერში

# ლიდერი

ეს თემა პიონერული აქტივის კლუბის „კოცონის“ სახელზე გამოგზავნილმა წერილებმა გვიკარნახა: — ვის ვეძახით რაზმეულში ლიდერს? — გვეკითხებიან პიონერები.

გაგაცნობთ ზოგიერთ მათგანს:

„რგოლის ხელმძღვანელობასთან ერთად, ინტერკლუბის პრეზიდენტიც ვარ და კედლის გაზეთის სარედაქციო კოლეგიის წევრიც, დავდივარ მუსიკაზეც. ზოგჯერ მუსიკაში დავალების შესრულებას რომ ვერ ვასწრებ, დედა მიჯავრდება ხოლმე. ერთხელ დამემუქრა კიდეც, სკოლაში შენს უფროს პიონერხელმძღვანელს ვეტყვი, პიონერული დავალებისაგან გაგათავისუფლოსო.

ვაითუ, მართლა მივიდეს... არა და, მომწონს, დატვირთული რომ ვარ, მოცლა რომ არა მაქვს. ამაზე ხშირად ვფიქრობ, თავში სულ ეს მიტრიალებს — მოვასწრებ თუ ვერ მოვასწრებ? აკი თანატოლებმაც ზედმეტ სახელად „ვერ მოვასწრებ“ შემარქვეს“.

ცისანა ციბაძე,
თბილისი.

„რგოლის ხელმძღვანელი ვარ. ჩვენი რგოლი ძალზე მეგობრულია. ყველაფერს ერთად ვაკეთებთ. რგოლები ერთმანეთს ვენაცვლებით რაზმის ისტორიის შედგენასა თუ კედლის გაზეთის გამოშვებაში, პოლიტინფორმაციის, კონკურსების, სპორტული თამაშების მოწყობაში. ცალკეული პიონერებიც რიგ-რიგობით ამზადებენ ამა თუ იმ ღონისძიებას. შაბათობით დასვენების საათი შემოვიღეთ, გავითამაშებთ ხოლმე მხიარულ სცენებს; ვატარებთ ვიქტორინებს; რასაკვირველია, ამდენის გაკეთებას მარტო ვერ შევძლებდი, ჩემი რგოლის პიონერები რომ არ მედგნენ მხარში“.

თამრიკო ბაბელია,
ქ. სოხუმი.

„ჩემს რგოლში სულ უცნაურმა ბავშვებმა მოიყარეს თავი. თინიკო ყველაფერზე ბრაზობს, ხმას ვერ გასცემ და ვერაფერს დაავალებ. ვახტანგი ფიცხია, ეტყვი და წამსვე იფეთქებს ხოლმე — მოგცლია, სადა მაქვს მაგის დრო, რეპეტიტორთან გავრბივარო, თამრიკოს მხოლოდ ლაპარაკი უყვარს, საქმის კეთება კი არა. სერგო და ოთარი უპასუხისმგებლონი არიან. დაავალებ და, დაპირებებით კოშკებს აგიგებენ, მაგრამ მათი სიტყვისა არ უნდა დაიჯერო. ერთხელ უკვე გამოვცადე — საქმეს ვერ ანდობ, დაავალე, რამდენიც გინდა, მაინც არ შეასრულებენ“.

ვახტანგ თინიკაშვილი,
თბილისი.

„რაზმში ავკრძალეთ სიტყვები: „არ შემიძლია“, „არ მინდა“. თუ რაზმი პიონერულ საქმეს განდობს, მისი გადადება როგორ იქნება! გახსოვდეთ — რაზმეული, უპირველეს ყოვლისა, რგოლის საქმეებითაა ძლიერი. რგოლის სიკარგე კი თითოეული პიონერის აქტიურობით, საქმისადმი პასუხისმგებლობით იზომება, იმით, თუ როგორ შეასრულა დავალება თითოეულმა. ამის შესახებ ყოველთვის რაზმის შეკრებებზე ვსაუბრობთ, რაზმის კედლის გაზეთშიც მოვუთხრობთ თანატოლებს, რა გვჯეთდა, რა მოვასწარით და რა — ვერა, რა სიძნელეები შეგვხვდა მუშაობაში“.

ეთერ ჯიშკარიანი,
გეგეჭკორი.

„ლიდერი რაზმში უმნიშვნელოვანესი ფიგურაა. რაზმის საბჭოს თავმჯდომარე, რგოლის ხელმძღვანელი, რაზმეულის საბჭოს წევრები ძალზე ავტორიტეტულნი უნდა იყვნენ. ლიდერს ვერ დავუძახებთ ისეთ წინამძღოლს, რომელსაც ორგანიზატორული ჩვევები არა აქვს, არ შეუძლია რაზმის საქმიანობის გაძლიერება“.

თამრიკო ჩხეიძე,
ქუთაისი.

ასევეა სხვა ბარათებშიც, პიონერები გამოყოფენ პიონერული კოლექტივის ლიდერის მთელ რიგ თვისებებს და სურთ, გამოკვეთილად ითქვას მათ შესახებ. ისინი გვეკითხებიან, ნუთუ შეიძლება, ბოროტი, ბრაზიანი და უსამართლო პიონერი ლიდერი გახდესო. ასეთს თუ რაიმეში არ დაეთანხმე, მისი თანამოაზრენი მაშინვე თავს დაგესხმიანო. არა და, ზოგჯერ ბოროტი და უსამართლო ადამიანი ლიდერი ხდება არა მარტო კლასში, რაზმსა და რაზმეულში, არამედ წარმოებაშიც. ასეთ ლიდერებს ყოველთვის და ყველანი უნდა შევებრძოლოთ.

ერთნი გვწერენ, ჩვენი კლასი არ არის მეგობრულიო. ზოგიერთები პიონერულ შეკრებაზეც არ მოდიან ხოლმე და თუ რომელიმე ჩვენგანი ავად გახდება, სახლში არ გვაკითხავენო...

ლიდერობა ძნელია, ძნელია მიაღწიო მთელი კოლექტივის აღიარებას. ეს იმიტომ, რომ ზოგიერთი რგოლის ხელმძღვანელი და რაზმის საბჭოს თავმჯდომარე მუშაობას თავიდანვე კონკრეტული საქმეების კეთებით კი არ იწყებს, არამედ მხოლოდ მოწოდებებით და ლოზუნგებით. ასეთი ლიდერი წამდაუწუმ გაიძახის: „ბავშვებო, მოდით, ვიმეგობროთ!“ ბრაზდება კიდეც, როცა მის ნათქვამს ყურს არ უგდებენ და კლასის ცხოვრებაში არავინ არაფერს ცვლის.

მეგობრობა თვითმიზანი როდია. მიზანი ყოველთვის კონკრეტული და საქმიანი უნდა იყოს. ჭეშმარიტი მეგობრობა კი ერთობლივი მიმზიდველი მუშაობის პროცესში იქმნება.

ლიდერი კოლექტივში აუცილებელია. მიგვაჩნია, რომ რაზმის საბჭოს თავმჯდომა-

## საინტერესო სიახლენი

### ოთახის ბუზი რომ გადაშენდეს

ამერიკელმა მეცნიერებმა ხანგრძლივი სელექციის შემდეგ გამოიყვანეს ოთახის ბუზის ახალი სახეობა. მისი თავისებურება ის არის, რომ ჩვეულებრივ ბუზთან შეჯვარებით მხოლოდ მამლები ჩნდება. ამ მწერის მოშენებისა და გავრცლების შედეგად შესაძლოა ოთახის ბუზები შემცირდეს ან სულაც გადაშენდეს.

### უცნაური ველოსიპედი

დანიელმა დიზაინერებმა შექმნეს ორიგინალური კონსტრუქციის ველოსიპედი. მას ჩვეულებრივი ველოსიპედისაგან პრინციპულად განსხვავებული დასაჯდომი აქვს, საჭე მოთავსებულია უკანა თვალთან, რის წყალობითაც მთლიანად გამო-



იყენება ფეხის კუნთების ძალა, ველოსიპედისტს სუნთქვა უიოლდება, უკეთესად ხედავს გარემოს. ამ ველოსიპედის სამართავად საჭირო არ არის წინასწარი სწავლება — დაჯექი ზედ და გააქროლე.

### მტვერიც გამოიყენება

ჩრდილოეთ ევროპის სახელმწიფოთა მეტალურგიულ ქარხნებში ერთი წლის მანძილზე 70 ათას ტონაზე მეტი ლითონის მტვერი გროვდება, რომე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რემ თვითონაც უნდა მოინდომოს და აკეთოს კიდეც საქმე. მისგან მარტო ბრძანებები არ კმარა. თუ ის თვითონ უსულგულოდ ეკიდება რაზმის საქმეს, სხვებს რა აგიტაციას გაუწევს? ამისთანას უჭირს კიდეც საქმის ორგანიზება. ალბათ იკითხავთ, ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ ლიდერს ხომ მაინც კონკრეტული თვისებები უნდა ჰქონდესო. გიპასუხებთ: დიახ, მას უნდა შეეძლოს კოლექტივთან მუშაობა, თითოეულის სურვილისთვის ანგარიშის გაწევა და ტაქტიანი ხელმძღვანელობა. დიახ, პირველ რიგში, ესაა აუცილებელი.

„გატაცებული ვარ მაგიდის ჩოგბურთით. ზოგჯერ ისეც ხდება, რომ შეკრება უნდა მივატოვო, რომ სპორტულ სექციაზე წავიდე, რადგან თუ გავაცდინე, შეჯიბრებიდან ამოვვარდები. ვის არ ვეხვეწები და ვთხოვ ხოლმე, შეკრებიდან გამათავისუფლეთმეთქი, მაგრამ... სკოლაში მეუბნებიან, შეკრებაზე დარჩენა და პიონერულ მუშაობაში მონაწილეობა აუცილებელიაო, მწვრთნელიც, თავის მხრივ, მიმტკიცებს, სპორტის ოსტატები მხოლოდ ერთეულები ხდებიანო", — გვწერს ტარიელ ლორთქიფანიძე ქუთაისიდან.

თითოეული ასეთი კონკრეტული შემთხვევის დროს მოსმენაა საჭირო. მერე უნდა მოვინდომოთ, დავეხმაროთ ამხანაგს.

მეცნიერებმა გამოყვეს ადამიანის ორგანიზატორული მოღვაწეობის შესაძლებლობათა განმსაზღვრელი შვიდი სპეციფიკური თვისება. შვიდივე ჯერ კიდევ პიონერულ ასაკში და უფრო ადრეც ვლინდება.

**პირველი:** მოზარდს უნდა შეეძლოს იგრძნოს სხვა ადამიანის განცდები, გაუგოს და ანგარიში გაუწიოს მათ.

**მეორე** თვისებას მეცნიერება ფსიქოლოგიურ ჭკუას უწოდებს. ეს, უპირველეს ყოვლისა, არის უნარი, თითოეული ადამიანი გამოიყენო მისი გატაცების, სურვილებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით. ამის მიხედვით მოუძებნო მას საინტერესო საქმე.

**მესამე** არის ადამიანებთან ახლოს მისვლის უნარი. ეს კი მარტო ერთი კლასის, რაზმის, რგოლის ბავშვთა კოლექტივთან მისვლას არ გულისხმობს, არამედ, საერთოდ ბავშვებთან ურთიერთობის ცოდნას, მათთან ახლოს ყოფნას, რაც ასე აუცილებელია თითოეული პიონერული აქტივისტისათვის. უნდა იცოდე, როგორ ესაუბრო მათ, რომ შეძლო ისინი შენი დავალების შესასრულებლად განაწყო.

კოლექტივის ლიდერი, — გვასწავლის **მეოთხე** თვისება, — ყოველთვის ობიექტური და სამართლიანი უნდა იყოს. მეგობრები სხვებისაგან არ გამოარჩიოს. თუ საჭიროა და საქმე მოითხოვს, ყველასთვის ერთნაირად უშეღავათო იყოს.

**მეხუთე** თვისება: ადამიანი სხვებისა და, პირველ რიგში, საკუთარი თავისადმი უნდა იჩენდეს მომთხოვნელობას, კრიტიკულად უნდა შეეძლოს სხვა ადამიანის თუ თავისი მოქმედების გაანალიზება.

**მეექვსე** თვისებაა, როცა ლიდერს შეუძლია თავისი ენერგიულობა, საქმის სიყვარული, გატაცება, ენთუზიაზმი სხვებსაც გადასდოს.

**მეშვიდე** თვისებაზე ამბობენ, ეს არის ლიდერის სურვილი, თვითონ მას ახასიათებდეს ორგანიზატორული საქმიანობისათვის აუცილებელი ყველა თვისებაო..

ერთი თვეც და—პიონერთა ორგანიზაციაში დაიწყება ანგარიშგება-არჩევნები. მოდით, გადავავლოთ თვალი სექტემბრიდან დღემდე გაწეულ შრომას. ვინც აქტივში ითვლებით — ლიდერად იწოდებით, თვითონვე შეაფასეთ თქვენი საქმიანობა.

ჩაუფიქრდით ლიდერისათვის დამახასიათებელი შვიდი სასურველი თვისების განმარტებას. პიონერული დავალების შესრულებისას განსაჯეთ, რომელი უფრო მოერგო თქვენს მუშაობას, ხასიათს, ადგილს თქვენს კოლექტივში შემოქმედებითი მუშაობის ორგანიზაციისას.




პიონერული აქტივის კლუბის მუშაობას ხელმძღვანელობს ნორჩ პიონერთა რესპუბლიკური საბჭოს ბიუროს წევრი
**ნათელა ფაილოძე**

ესე იგი, ვუპასუხებთ რა „კოცონის" სახელზე გამოგზავნილი წერილების ავტორებს, ლიდერს ვუწოდებთ რაზმეულში პიონერული დავალებების შესრულებით გამორჩეულთ — რგოლის ხელმძღვანელებს, რაზმისა და რაზმეულის საბჭოს წევრებსა და თავმჯდომარეებს, საქმის კარგ ორგანიზატორებს, იმათ, ვისაც მთელი სკოლა უყოყმანოდ აღიარებს ლიდერად, იმათ, ვისაც სჯერათ, სწამთ, ვისაც ენდობიან და მიყვებიან პიონერთა რაზმეულის წინაშე დასახული ამოცანების შესასრულებლად; იმ ამოცანებისა, რომელთა შესრულება დღეს ნორჩ ლენინელთა საკავშირო მარშის „რევოლუციური გვაქვს ნაბიჯები" პროგრამის მიხედვით თითოეულ მათგანს მოეთხოვება. ასეთი ლიდერის წინამძღოლობით პიონერული სიმაღლეების აღება არც ერთ რიგით პიონერს არ უნდა გაუჭირდეს, ასევე—პიონერული სიტყვის შესრულებაში თავისი წვლილის შეტანაც, სიტყვისადმი ერთგულების საქმით დამტკიცებაც — ადამიანებისათვის სიხარულის ჩუქება.

ლიც სხვადასხვა ლითონის ფანგეულს შეიცავს. 1984 წელს შვეციის ქალაქ ლანდკრუნში ამუშავდა ლითონის მტვრის გადამმუშავებელი ფაბრიკა. აქ წლის განმავლობაში ლითონის მტვრისაგან იღებენ 85 ათას ტონა ძვირფას ლითონს: თუთიას, ტყვიას, ნიკელს, მოლიბდენს და რკინას. შვეციაში სხვა ასეთივე საწარმოებიც შენდება. ლითონის მტვრის გადამმუშავებელი დანადგარები არ აბინძურებენ გარემოს: მათი მუშაობის დროს გამოყოფილ სითბოს სახლების გასათბობად იყენებენ.

### სიორფინგი ჰაერში

ამ ბოლო წლებში დასავლეთ ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში, აგრეთვე აშშ-სა და კანადაში პოპულარული გახდა სპორტის ახალი სახეობა — სიორფინგი ჰაერში. სპორტის ამ სახეობაში დახელოვნებისათვის აუცილებელია პარაშუტი, სიორფინგი, თვითმფრინავი და, რასაკვირველია, გულადობა. აგრეთვე უნდა გაეცნო სხეულის თავისუფალი ვარდნის კანონს; უნდა იცოდე, რომ თავისუფალი ვარდნისას გადამწყვეტი მნიშვნელობა სხეულის წონას კი არა აქვს, არამედ სიორფინგის ზედაპირის ფართობს. ვარდნის დროს ადამიანი ავითარებს 55,5 მეტრ სიჩქარეს წამში. როცა ოთხი კილომეტრის სიმაღლიდან ხტები, თუ კარგად ხარ სიორფინგზე გაწონასწორებული და მარჯვედ მართავ მას, შეგიძლია არა მარტო დიდხანს გაჩერდე ჰაერში, არამედ პილოტაჟის სხვადასხვა ფიგურები და მიხვევ-მოხვევებიც შეასრულო.





# ოქროს ოვალი

ყოველწლიურად ჩვენს ქვეყანაში მრავალი სახის სპორტული შეჯიბრება ტარდება. მათ შორის დიდი ადგილი აქვს დათმობილი პიონერთა და მოსწავლეთა ასპარეზობებს. მილიონობით მოსწავლე-სპორტსმენი სისტემატურად მონაწილეობს პოპულარულ და ტრადიციულ შეჯიბრებებში — „ტყავის ბურთი", „ოქროს შაიბა", „შამი-საოცრება", „თეთრი ეტლი", „იმედის სტარტები", „ვერცხლის ვოლანი", „ვერცხლის ციგურები", „ზუსტი მსროლელი", „მხიარული დელფინი"...

1974 წელს მათ რიცხვს შეემატა „ოქროს ოვალი" — ნორჩ რეგბისტთა ტრადიციული საკავშირო ტურნირი (მინი-რეგბი, 8×8) სპორტულ-მეთოდურ და პოპულარულ ჟურნალ „სპორტივნიე იგრის" პრიზზე. პირველ შეჯიბრებაში, რომელიც მოსკოვის „ნორჩი პიონერის" სტადიონზე ჩატარდა, გაიმარჯვა მოსკოვის „სლავას" გუნდმა. მაშინ ასპარეზობაში 4 გუნდი მონაწილეობდა, 3 — მოსკოვის და ერთი — ლენინგრადისა.

მოსწავლე რეგბისტთა ამ პირველ შეჯიბრებას ზოგიერთი სკეპტიკურად უყურებდა, რადგან სჯეროდათ, რეგბი მხოლოდ მამაკაცთა სპორტიაო. მაგრამ ეს აზრი მცდარი გამოდგა, „ოქროს ოვალის" შეჯიბრებებში სულ უფრო და უფრო მეტმა გუნდმა მოისურვა გამოსვლა. საინტერესოა, რომ ნორჩ რეგბისტთა ამ ტრადიციული შეჯიბრების მონაწილეთა შორის მატჩების გარდა ტარდება კონკურსი საერთო ფიზიკურ მომზადებაში და სპორტულ ჩაცმულობაშიც კი.

„ოქროს ოვალს" 13 წლის ისტორია აქვს. 1984 წელს ჩატარდა მეათე, საიუბილეო ტურნირი, გამარჯვება მოსკოვის მე-2 საათის ქარხნის სპორტკლუბ „სლავას" ნორჩმა რეგბისტებმა მოიპოვეს. ამ ტრადიციული ასპარეზობის მატიანეში პრიორიტეტი აშკარად „სლავას" მხარესაა, ამ გუნდმა 10-დან 9-ჯერ გაიმარჯვა. ეს კლუბი დიდ ყურადღებას უთმობს რეგბის განვითარებას, სპეციალიზებული სკოლაც კი აქვს გახსნილი ნორჩი რეგბისტებისათვის.

მეათე საიუბილეო ტურნირზე, მარტო ფინალურ პირველობაში, 14 გუნდი იბრძოდა პირველობისათვის. მათ შორის იყო თბილისის სახალხო განათლების განყოფილების ბავშვთა და მოზარდთა კომპლექსური სპორტული სკოლის რეგბისტთა გუნდიც (უფროსი მწვრთნელი ვასილ კევლიშვილი). ქართველმა რეგბისტებმა საუცხოოდ იასპარეზეს და „სლავას" შემდეგ მეორე საპრიზო ადგილი მოიპოვეს.

1974 წლიდან „ოქროს ოვალის" შეჯიბრებაში 11-14 წლის ბიჭები მონაწილეობენ. 1984 წლიდან ისინი ორ ასაკობრივ ჯგუფად დაყვეს. პირველ ჯგუფში გამოდიან უმცროსი ასაკის გუნდები (11-12 წლისანი, ანუ „პიონერული ოვალი"), მეორე ჯგუფში — უფროსი ასაკისა (13-14 წლისანი). პირველი ასაკი თამაშობს წმინდა მინი-რეგბის, „რვასრვაზე", ხოლო მეორე — დიდ რეგბის მიმგვანებულ „რეგბი-13"-ს: თითო გუნდში 13 მოთამაშეა.

შარშან, აგვისტოს შუა რიცხვებში, თბილისში პირველად, დედაქალაქის „ლოკომოტივისა" და



საჯარიმოს დარტყმისას ბურთი წახნაგით უნდა დაისვას მონიშნულ წერტილზე

# კავკასიური როჭო

საქართველოს სსრ წითელი წიგნი

ქათმისნაირთა რიგისა და როჭოსებრთა ოჯახის ეს წარმომადგენელი იშვიათ ფრინველთა რიცხვს მიეკუთვნება. იგი კავკასიის ენდემია, ბინადრობს კავკასიონის ალპურ სარტყელში — მდინარე ფშეხას აუზიდან მოყოლებული მდინარე სამურის აუზამდე; მცირე კავკასიონზე — გურიის მთებიდან ყარაბაღის ქედამდე. ჩვენი ქვეყნის გარეთ ცნობილია მხოლოდ თურქეთის ტერიტორიაზე — ლაზეთში.

ზაფხულობით კავკასიური როჭო მცენარეულობით მდიდარ ალპურ მდელოებზე, დაბალ არყნარში და როდოდენდრონის ხშირ ბარდებში ბინადრობს. ზამთარში უფრო დაბლა ჩამოდის — სუბალპურ ზოლში, უფრო იშვიათად კი წიწვიანი ტყის ზედა სარტყელში.

კვერცხს როჭო დებს მაისის თვეში, ორმოს ფორმის, ბალახითა და ბუმბულით ამოგებულ ბუდეში, რომელსაც დედალი როდოდენდრონების ბარდებში აკეთებს. თითოეულ ბუდეში 2-9 კვერცხია, ინკუბაცია გრძელდება 24-25 დღე-ღამე. კრუხობს მხოლოდ დედალი, რომელიც ხანმოკლე დროით თუ ტოვებს ბუდეს. ივნისში ახლადგამოჩეკილი მართვეების ნაწილი იღუპება ალპურ სარტყელში მკაცრი კლიმატური პირობების გამო, გადარჩენილები კი აგვისტოს ბოლოსთვის ქათმის სიდიდეს აღწევენ და მერე აღარ იზრდებიან. ამის შემდეგ ისინი მშობლებს ტოვებენ.

კავკასიური როჭოს ბუდეებსა და მართვეებს ხშირად თელავს საქონელი, ნაწილი მეცხვარეების ძაღლების მსხვერპლი ხდება; მის მტრად შეიძლება ჩაითვალოს მელა.



ამიერკავკასიის რესპუბლიკებში როჭო დაცულია სამონადირეო კანონმდებლობით, შეტანილია „საბჭოთა კავშირის წითელ წიგნში“. მისი არეალი მოიცავს თებერდის, რიწის, ლაგოდეხის, ბორჯომის, ახმეტის, ცენტრიშის ნაკრძალების ტერიტორიას.

„სინათლის“ სტადიონებზე გაიმართა „ოქროს ოვალის“ ნორჩ რეგბისტთა მე-12 საკავშირო პირველობის ფინალური ასპარეზობა უფროსი ასაკის, 13-14 წლის ბიჭებს შორის. ცხრა გუნდი ორ ჯგუფად იყო დაყოფილი. ფინალურ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ ჯგუფებში გამარჯვებულები: თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს ბავშვთა და მოზარდთა კომპლექსური სპორტსკოლისა და ლენინგრადის სპორტკლუბ „იჟორეცის“ გუნდები. გადამწყვეტ შეხვედრაში თბილისელთა უპირატესობა აშკარა იყო: 23:0 — ამ ანგარიშით გაიმარჯვეს ქართველმა ბიჭებმა და ზედიზედ მეორედ მოიპოვეს „ოქროს ოვალის“ პრიზი.

ბარაქალა ქართული რეგბის მომავალს!

გაბრიელ გარჯაძე

ა. კოტორაშვილის ფოტო

თემურ კოზაევის

ნახატი სუმრობა



# ჭადრაკი

განყოფილებას ხელმძღვანელობს შოთა ინწკირველი

## საჭადრაკო ხელოვნების რაინდი

გასული საუკუნის 80-იან წლებს განსაკუთრებული ადგილი უკავია ჭადრაკის ისტორიაში: აქედან იღებს დასაბამს შეჯიბრებები ჭადრაკში მსოფლიო ჩემპიონის ოფიციალური ტიტულის მოპოვებისათვის.

ამერიკელი პოლ მორფი (1837-1884 წ.წ.) 1859 წლიდან ტურნირებში აღარ მონაწილეობს, მაგრამ მისი ავტორიტეტი უსაზღვროა. ყველა სახელგანთქმულ მოჭადრაკეს მორფის დიდება ჩრდილავს. უმაღლესი ტიტულის ყველაზე რეალური პრეტენდენტები არიან ავსტრიელი ებრაელი ვილჰელმ სტეინიცი (შტაინიცი; 1836-1900 წ.წ.), თანამედროვე საჭადრაკო თეორიის ფუძემდებელი, და გერმანელი იოჰან ცუკერტორტი (1842-1888 წ.წ.).

1883 წელს ლონდონში ჩატარდა დიდი საერთაშორისო ტურნირი (აქ ჭადრაკის ისტორიაში პირველად გამოიყენეს საათი). 22 ქულით 26 შესაძლებლიდან (ტურნირი 2 წრედ ჩატარდა) პირველი ადგილი დაისაკუთრა ცუკერტორტმა. მეორე იყო სტეინიცი, 19 ქულით, მესამე — ინგლისელი ჯოზეფ ბლეკბერნი (1841-1925 წ.წ.), 15,5 ქულით.

იოჰან ცუკერტორტი თავისთავში დარწმუნებული, ძლიერი პიროვნება იყო. მან ზედმიწევნით იცოდა გერმანული, ინგლისური, ფრანგული, ესპანური, იტალიური, ლათინური, ბერძნული, ებრაული, სანსკრიტი, რუსული, თურქული და არაბული ენები, რაც ნათელყოფს მის ნიჭიერებას და მეხსიერებას. ცუკერტორტი ძალზე ძლიერად თამაშობდა დაფაზე დაუხედავად. პროფესიით ექიმი, იგი აქვეყნებდა ნაშრომებს ფილოსოფიაში, თეოლოგიასა და მუსიკაში. მონაწილეობდა სამ ომში. მამაცობისათვის მიღებული აქვს ცხრა მედალი.

ცუკერტორტი ანდერსენის (1818-1879) მოწაფე, რომანტიკოსთა სკოლის წარმომადგენელია. ყველა მოჭადრაკეებული იყო მისი მომხიბლავი შეწირვებით.

ლონდონის საერთაშორისო ტურნირში ბლეკბერნთან მოგებული მისი პარტია შედევრია, იგი ითვლება ერთ-ერთ საუკეთესო ქმნილებად, რაც კი ოდესმე შობილა ჭადრაკის დაფაზე.

**ცუკერტორტი-ბლეკბერნი** (ლონდონი, 1883 წელი). 1. c4 e6 2. e3 მf6 3. მf3 b6 4. კe2 კb7. 5. 0-0 d5 6. d4 კd6 7. მc3 0-0 8. b3 მbd7 9. კb2 ლe7 10. მb5 მe4 11. მ:d6 cd 12. მd2 მdf6 13. f3 მ:d2 14. ლ:d2 dc.

(„გაცვლა ამსუბუქებს თეთრების მდგომარეობას, რომელთაც არ შეეძლოთ არავითარი არსებითი მოქმედების წამოწყება, რამდენადაც cd, ed ასუსტებდა e3 პაიკს. შავებისათვის კარგი გაგრძელება იყო ეfe8 და შემდეგ e6-e5“. ლასკერი). 15. კ:c4 d5 16. კd3 ეfe8 17. ეae1 ეc7 18. e4 ეac8 19. e5 მe8 20. f4 g6 21. ეe3! f5 22. ef მ:f6 23. f5!

(„გრანდიოზული მასშტაბის შესანიშნავი კონცეფციის დასაწყისი“. სტეინიცი). 23... მe4 24. კ:e4 de 25. fg! ეc2? 26. gh მფh8 27. d5 e5.



(დიაგრამა 1)

28. ლb4!! (მოულოდნელი და ბრწყინვალე სვლა, რომელმაც გააოგნა არა მარტო ბლეკბერნი, არამედ ტურნირის დანარჩენი მონაწილენიც). 28... ე8c5 (28... ლ:b4 სვლის შემთხვევაში თეთრები შვიდ სვლაში აშამათებდნენ: 29. კ:e5 მფ:h7 30. ეh3 მფg6 31. ეf6 მფg5 32. ეg3 მფh5 33. ეf5 მფh6 34. კf4 მფh7 35. ეh5×) 29. ეf8! („თეთრების წინანდელი სვლები და ეს სვლა წარმოადგენს ერთ-ერთ უდიდეს კომბინაციას, შესაძლოა ულამაზესსაც ყველა იმათგან, რომლებიც ოდესმე შექმნილა ჭადრაკის დაფაზე; სიტყვები არ მყოფნის, რომ გამოვხატო ჩემი აღტაცება იმ მაღალი ოსტატობის გამო, რომლითაც ცუკერ-

## საინტერესო ამბები

## თევზები და...

ლითონის ფულს მონეტებს უწოდებენ. საიდან გაჩნდა ეს სახელწოდება? მონეტა თურმე იუნონას, იუპიტერის მეუღლეს ერქვა. პირველი სამონეტო ზარაფხანა ამ ქალღმერთის ტაძარში, კაპიტოლიუმის გორაკზე ყოფილა გამართული. ეტყობა, სწორედ ამ ზარაფხანაში მოიჭრა პირველი მონეტები, რომლებზედაც თევზებისა და ზღვის ცხოველების გამოსახულებები იყო ამოტვიფრული.

ისტორიამ შემოგვინახა მოგრძო ფორმის ძველრომაული მონეტები; ისინი დელფინებს მოგვაგონებენ. დელფინების გამოსახულება გვხვდება სირაკუზის, დელფოს, ქ. მესინის მონეტებზედაც.

1673 წ. ნახევარპენიან მონეტებზე აღბეჭდილია დიდი ბრიტანეთის სიმბოლური გამოსახულება ქალის ფიგურის სახით, რომელიც ცხენთევზასთან ერთად მიცურავს ტალღებზე.

თანამედროვე მონეტების უკანა მხარეს, როგორც წესი, ისეთი გამოსახულებებია, რომლებიც ასახავენ სახელმწიფოს დამახასიათებელ ნიშნებს, მის ეკონომიკას. ასე, მაგალითად, ისლანდიის ეკონომიკის ძირითადი დარგი მეთევზეობაა. ისლანდიის ერთკრონიან მონეტაზე (ნახ. 1) გამოსახულია ვირთევზა, ხოლო მეორე მხარეს (ნახ. 2)— თინუსი.

ატლანტის ოკეანის ჩრდ. ნაწილში ბინადრობს კეთილშობილი ორაგული. მისი ცხიმოვანი ფარფლი და კაუჭა ყბები ნათლად ჩანს ირლანდიურ მონეტაზე (ნახ. 3).

10 ცენტის ღირებულების კანადურ მონეტაზე (ნახ. 4) გამოსახულია ჩრდილოური ვი




1




2




3




4




5

ტორტმა ჩაატარა ეს პარტია". სტეინიცი). 29... მფ:h7 30. ლ:e4 მფg7 31. კ:e5 მფ×f8 32. კg7! შავები დანებდნენ.

ბოლო სვლით თეთრებმა განახორციელეს „ორმაგი გათრევა" და „ხაზის გათავისუფლება".

## გოგონათა მსოფლიო ჩემპიონატი

შარშან, შემოდგომაზე, არგენტინის ქალაქ რიო-გალიეგოში ჩატარდა თექვსმეტ წლამდე ასაკის მოჭადრაკე გოგონათა მსოფლიო პირველობა, რომელშიც 15 წლის ოსტატობის კანდიდატმა ქეთევან კახიანმა I-II ადგილები გაიყო 16 წლის ბულგარელ კატრინ ალაჯოვასთან ერთად. კოეფიციენტების ცხრილით ჩემპიონის ტიტული მიენიჭა კატრინს, ხოლო ქეთის — ვიცე-ჩემპიონობა და ვერცხლის მედალი.

ქეთი კახიანმა დაუმარცხებლად ჩაატარა ჩემპიონატი, 11 პარტიიდან 8 მოიგო და 3 ყაიმით დაამთავრა. ამ შედეგისათვის მას ფიდეს ოსტატის წოდება მიანიჭეს.

ქეთი კახიანის ტალანტზე, შრომისმოყვარეობასა და დიდ მომავალზე ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე ამ ორიოდე წლის წინათ ვწერდით.

„პიონერის" უმცროსი ასაკის მკითხველთათვის შევარჩიეთ მინიატურა, ნაკლებად რთული პარტია.

კეინცლერი (პარიზი) — კახიანი (დიდი ლილო).

რიო-გალიეგო, 1986 წელი, 21 სექტემბერი. მეორე ტური.

1. c4 (ინგლისური დასაწყისი) 1... e5 2. მc3 მf6 3. მf3 მc6 4. e3 კb4 5. ლc2 0-0 6. მd5 ეe8 6. a3?! კf8 8. კd3 g6 9. b4? e4! 10. კb2 მ:d5 11. cd ed 12. ლc3 (12. ლc1 მb8 13. ლc3 f6 14. ლ:f6 ლ:f6 15. კ:f6 c6) 12... მe5! 13. მ:e5 კg7 14. f4 d6 15. 0-0 de 16. e4 c6 17. dc ლb6 18. მფh1 ლ:c6 19. ლd3 ef 20. კ:g7 მფ:g7 21. კ:f4 კe6 22. h4 ეed8 23. ლe3 ლb6.

თეთრები დანებდნენ.

## მოსწავლეთა პირველი სარაიონო ჩემპიონატი

მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ საჭადრაკო ცხოვრებას გამოცოცხლება დაეტყო. 1946 წლის იანვრის არდადეგების დროს ქ. მახარაძეში ჩატარდა პირველი სარაიონო ჩემპიონატი მოსწავლეთა შორის. ღონისძიების ორგანიზატორი იყო ვაჟთა № 1 საშუალო სკოლის ფიზიკის მასწავლებელი, რაიონის უძლიერესი მოჭადრაკე, მეორეთანრიგოსანი გრიგოლ კალანდარიშვილი.

ქვემოთ მოტანილი დაბოლოება გათამაშდა ბოლო ტურში, ორ მეათეკლასელს შორის. მას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ჩემპიონის გამოსავლინებლად.

შავებით თამაშობდა ლიხაურელი ნოდარ სურგულაძე (50-იან წლებში მან, როგორც მოყვარულმა რეჟისორმა, გადაიღო დოკუმენტური ფილმი „ჩვენი სოფელი", რომელმაც საკავშირო ფესტივალზე პირველი პრიზი დაისაკუთრა).

სურგულაძე



ინწკირველი

თეთრებმა ორი ეტლი შესწირეს, შავები საგრძნობლად ჩამორჩნენ განვითარებაში. საჭიროა განგაშოა შავი მეფის მდგომარეობა.

თეთრებს აქვთ საფუძველი, იფიქრონ კომბინაციის არსებობაზე. ჯერ კუს და შემდეგ ლაზიერის შეწირვით, თეთრები მხედრით ეუფლებიან f6 უჯრას და აცხადებენ შამათს.

1. კc4! ლe7 2. მd5! ლd6 3. ლ:f8! ლ:f8 4. მf6 შამათი!

სწორი პასუხები გამოგზავნეს (გაგრძელება. იხ. „პიონერი" № 5, 1986 წელი): მ. ჩერქეზიშვილმა, ლ. ძიგუამ, ხ. ბახტაძემ, ხ. მალრაძემ, კ. ჩაჩანაშვილმა, ბ. კვარაცხელიამ, დ. ცქიტიშვილმა, მ. შიმშილაშვილმა, ო. და ვ. მაისურაძეებმა, კ. სურგულაძემ, კ. გლოველმა (თბილისი), ა. ჯიმშელეიშვილმა (ქუთაისი), პ. თვალიაშვილმა, მ. გრიგალაშვილმა, ზ. იგრიაშვილმა (რუსთავი), ა. და მ. დავითაშვილებმა (გორი), ბ. ყაულაშვილმა (ქარელის რ-ნი, აგარა), ზ. ნიჟარაძემ (მაიაკოვსკის რ-ნი, ფერსათი), კ. კიკვაძემ (წყალტუბოს რ-ნი, ფარცხანაყანები), ვ. ჟვანიამ (ბორჯომი), კ. დარჯანიამ, ქ. კაცაძემ, მ. ვაშაკიძემ (სამტრედია), ე. არიშვილმა (ლანჩხუთი), ლ. ტურიაშვილმა (გურჯაანის რ-ნი, კარდანახი)

## მონეტები

სკუმბრია. ამერიკის სანაპიროებზე იგი გვხვდება ჰატერასის ყურედან ლაბრადორის ნახევარკუნძულამდე.

აი, კიდევ ერთი წარმომადგენელი სკუმბრიასებრთა ქვერაზმიდან — ტროპიკულ წყლებში გავრცელებული აფროსანი. იგი აღბეჭდილია ტანზანიის 5 ტანოს ღირებულების მონეტაზე (ნახ. 5).

სინგაპურის ოცცენტიან მონეტაზე ამოტვიფრული მახვილთევზა თავდასხმისათვისაა შემართული (ნახ. 6).

თევზხერხა, ერთ-ერთი ყველაზე უფრო საოცარი ფორმის თევზი, აღბეჭდილია ცენტრალურ აფრიკული იმპერიის ასფრანკიან მონეტაზე (ნახ. 7).

სკორპენისებრ თევზებს საოცარ შესახედაობას აძლევს ზურგის გრძელი ფარფლი და თვალებს ზემოთ ძალზე განვითარებული ლაყუჩოვანი წანაზარდები. სინგაპურის ორმოცდაათცენტიან მონეტაზე გამოსახულია სკორპენისებრთა ოჯახის ერთი წარმომადგენელი (ნახ. 8).

ბერმუდის კუნძულების ხუთცენტიან მონეტაზე ამოტვიფრულია მარჯნის რიფების ერთი მცხოვრები (ნახ. 9). მისი შეფერილობა სავსებით შეესაბამება მარჯნისა და მარჯნის რიფების სხვა ბინადართა შეფერილობას.

ზღვის ცხენთევზები ცუდი მოცურავეები არიან. მოქნილი კუდით ისინი ეკვრიან წყალმცენარეებს და მათთან ერთად მოგზაურობენ ხოლმე დიდ მანძილზე. სწორედ ასეთ ზღვის ცხენთევზას ვხედავთ ათცენტიან სინგაპურულ მონეტაზე (ნახ. 10).

თარგმნა ლ. ბელაშვილმა



6




7



8




9



10



⊙ წრიულ განივკვეთიანი ფერადი ფანქარი მაგიდაზე ძალზე „მოუსვენრად გრძნობს“ ხოლმე თავს. თუ მას ბასრი დანით თუნდაც ერთ წახნაგს გაუკეთებ, ფანქარი „დამშვიდდება“, აღარ იგორავებს, იატაკზე არ გადმოგივარდება და საძებნი აღარ გაგიხდება.

⊙ კარგი ჩაის დაყენება ასეც შეიძლება: კონსერვის ქილის ხუფი რამდენიმე ადგილას გახვრიტე (15-20 ხუთ-ექვს მილიმეტრიანი ნახვრეტი სავსებით იკმარებს), დიდ ჩაიდანს სახურავის ნაცვლად დაადე და ზედ ფერის დასაყენებელი ფაიფურის ჩაიდანი დაადგი. ნახვრეტებში გამავალი ორთქლი ჩაის ნაყენს დიდხანს არ მისცემს გაცივების საშუალებას.

⊙ როცა ძალზე დაცხება, შეგიძლია ასეთი იმპროვიზებული შხაპი მოაწყო. ამისათვის კაუჭზე ჩამოკიდებული ჩვეულებრივი ბალის სარწყული გამოგადგება.

⊙ ხის საწოლი ზოგჯერ გულის გამაწყალებლად ჭრიჭინებს ხოლმე, მაგრამ თუ ნაწილთა შეერთების ადგილებში მაუდის სადებებს ჩააყოლებ, შეგიძლია მშვიდად იყო — დაწოლისას თუ ადგომისას შენი ლოგინის ჭრიალი სხვას ძილს აღარ დაუფრთხობს.

⊙ ოთხკუთხა პრიზმის ფორმის რძის თავწაჭრილი კოლოფები თავისუფლად შეიძლება ბეტონის ბლოკების მზა ყალიბებად გამოიყენო. ასეთი ბლოკები არა მარტო მსუბუქ კონსტრუქციებში, არამედ დეკორატიული მიზნებითაც იხმარება. თუ გინდა, რომ ბლოკებს მეტი სიმტკიცე მიანიჭო, შიგ არმატურა-მავთულის ნაჭრები ჩააყოლე.

⊙ თუ შიშველი მავთული გჭირდება, პლასტიკატის იზოლაციის მოსაცილებლად სარეცხის ალუმინის საჭერი გამოიყენე. ტუჩებში მას ორი პატარა ღარი ჩაუჭლიბე, მავთულს მოსდე და ძალით გამოსწიე. საჭერი იზოლაციასთან წამოიღებს და მავთულიც არ დაზიანდება.
















# სარჩევი

ეროვნული ბიბლიოთეკა


მ. გელაშვილი — „კოსმოსი“ და კოსმოსელები (ნარკვევი) გარეკ. . . . . . . . 2
ნ. ავალიანი — წარმატება (წერილი) . . . . . 2
თ. ჯანგულაშვილი — ჩვენო რესპუბლიკავ, თებერვალო ჩვენო (ლექსი) . . . . . . . 4
შ. ამირანაშვილი — ძმობის დუღაბით შეკრული (ლექსი) . 4
ნ. ხარაზიშვილი — ეს სიხარულიც ჩემს მოთხრობებად იქცევა (საუბარი რ. ინანიშვილთან) . . . . . . 5
ახალი წიგნები . . . . . . 7
ა. ლორია — ეს დაუდეგარი არდადეგები (მოთხრობა) . 8
ე. ელიავა — დო, რე, მი... (ნარკვევი) . . . . . 14
აისი . . . . . . . 18
გ. პაპუაშვილი — თავრია (მოთხრობა) . . . . 19
ჯადოსნური სარკე . . . . . . 21
მ. ჩხეტიანი — ვინ მოიტაცა ბარტყები (პოემა) . . . . 22
ა. გეთანელი — არის თუ არა სიცოცხლე სხვა პლანეტებზე? (წერილი) . . . . . . . 24
კოცონი . . . . . . . . 26
საინტერესო სიახლენი . . . . . 26
გ. ბარჯაძე — „ოქროს ოვალი“ (წერილი) . . . . 28
ბუნების კარი . . . . . 29
მხედრიონი . . . . . 30
გამოგადგები . . . . . 32
ცხრაკლიტული . . . . . გარეკ. 3
თ. ჯალაღანია — ჟ. გრეზი (წერილი) . . გარეკ. 4


გარეკანის 1-ლი გვერდის მხატვრობა დავით ფალავასი.


მთავარი რედაქტორი ბაბულია შელია

სარედაქციო კოლეგია: ანა ალავერდაშვილი, ნუგზარ აფხაზავა (პ/მგ. მდივანი), ზურაბ გოცვაძე, მანანა გელაშვილი, ავთანდილ გურგენიძე, დოდო ვადაჭკორია, იოსებ სამსონაძე, გაიოზ ფოცხიშვილი (მხატვარი-რედაქტორი), ნოდარ შამანაძე, სიმონ შამფრიანი, ლიანა შეწირული, ზურაბ ჭუმბურიძე.



რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14, ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 93-97-05, 93-31-81, პ. მგ. მდივნის—93-97-03, 93-53-05, განყოფილებების—93-97-02, 93-97-01. გადაეცა ასაწყობად 24.12.86 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 10.02. 87 წ. ქაღალდის ფორმატი 60×91/3. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 4. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,35, შეკვ 2945. ტირაჟი 160000 ეგზ., უე 04842.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

თბილისში მცხოვრებ ავტორებს პასუხი წერილობით არ ეცნობებათ.

«Пионери», журнал ЦК ЛКСМ Грузии и Грузинского Республиканского Совета Всесоюзной пионерской организации имени В. И. Ленина для школьников.
Выходит один раз в месяц на грузинском языке.
Адрес редакции: 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14.
Отпечатано в типографии издательства ЦК КП Грузии, 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14.
Издательство ЦК КП Грузии, 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14.
Формат 60×90 1/3, учетно-изд. л. 4, усл. печ. л. 5,35.
Тираж 160.000 экз. Цена 20 коп.


© „პიონერი“, 1987 წ.

# კ რ ო ს ვ ო რ დ ი

**თარაზულად:** 6. საყვავილე კვირტი; 7. საათის მექანიზმის ნაწილი; 8. უნგრული ფულის ერთეული; 9. შინაგანი მისწრაფება, ბიძგი; 10. საქონელზე დაწესებული ფასი; 13. მოკლენიჩბიანი სპორტული ნავი; 15. კარგი საჯდომი ცხენი; 17. სწრაფი მოტორიანი ნავი; 18. პუშკინის პოემის პერსონაჟი; 19. ხერხი, საშუალება; 21. აღმოსავლური დასარტყმელი საკრავი; 23. განცხადება სპექტაკლის, ლექციის ჩატარების შესახებ; 25. ვაზის ჯიში; 27. მონღოლური ფულის ერთეული; 28. გაუშლელი ყლორტი; 29. ტბა ამიერკავკასიაში;

**შვეულად:** 1. დასახლებული პუნქტი; 2. შვეულად მოძრავი კაბინა მრავალსართულიან შენობებში; 3. მკვრივი, წყალშეუვალი მინერალური მასა, რომელსაც იყენებენ კერამიკული ნაკეთობისათვის; 4. თექვსმეტმარცვლოვანი ოთხტაეპიანი ლექსი; 5. კედლის მაღალი სარკე; 11. ნაგებობის საყრდენობი; ნიადაგში ჩასმული ძელი; 12. მონარქიული სახელმწიფო, რომელსაც სათავეში იმპერატორი უდგას; 13. ბუდე, რომელშიც ათავსებენ ერთ ჯერობაზე მისაღებ წამალს; 14. სიგრძივი ღარი ფიცარზე ან ძელზე, რომელშიც ჯდება მეზობელი ფიცრის ან ძელის გასწვრივი შვერილი; 15. სპორტული თამაშის დროის მონაკვეთი; 16. ინგლისური სიგრძის საზომი ერთეული; 20. თანხმლები სამხედრო დაცვა; 22. საქართველოს მდინარე; 24. ბამბის ან აბრეშუმის თხელი და მკვრივი ქსოვილი; 25. ფრანგი საესტრადო მომღერალი ქალი; 26. ერთგვარი კანფეტი.



შეადგინა ნ. ბაბუამ

# გ ა მ ო ც ა ნ ე ბ ი

დედამიწას წელზე
შემოურტყამს სარტყელი.
თქვი, რომელი სიტყვაა
მისი გამომხატველი!

ცაა სუფთა, მოწმენდილი,
მაგრამ დილით, უთენია,
ვხედავ: ხეებს და ბალახებს
თოვლის აფსკი აფენია.

სულ თავისკენ ითლის
და თავისთვის ითვლის.

გ. შეთეკაური

ზამთარში ცივი ახურავს,
ზაფხულში თბილი აცვია,
ვერც სიცივეს გრძნობს,
ვერც სითბოს.
რა უცნაური კაცია?

ვეებერთელა პირი აქვს,
ჭამს კი მარტოდენ მარცვალს,
შეჭამს და გარეთ გაჰყრის,
აქცევს გემრიელ ნაცრად.

ნ. გვარიშვილი

# ლ ა ბ ი რ ი ნ თ ი



რა გზით დააღწევს თაგუნა ხაფანგს თავს?



# მ ე ტ ა გ რ ა მ ა

საყვარელო ბავშვებო,
მზია, გია, ნათია,
ფრინველების ტანსაცმელს,
თუკი მეტყვით, რა ჰქვია,
მაშინ სახელწოდების
რიგით ასო მესამე
აღარაა საჭირო, —
სხვა ასოთი შეცვალეთ,
და მაშინვე გახდებით
საოცრების მხილველი:
თვალწინ აგიფრინდებათ
მგალობელი ფრინველი.

ი. ყალიჩავა

# შ ა რ ა დ ა

მიჯნას კიდევ რა ჰქვია,
თუკი იცი, ყმაწვილო,
თანხმოვანი მეორე
უნდა ჩამოაცილო. —
შიგ ბარაქა ტრიალებს,
მოსავალი დიდია,
მარგალიტის მტევნები
ვაზზე უხვად ჰკიდია.

ზ. ამირანაშვილი

## პასუხი № 1-ში მოთავსებულ „ცხრაკლიტულზე“

### კროსვორდი

**შ ვ ე უ ლ ა დ:** 1. პარიზი; 2. ხაირმე; 3. ჰოკეი; 4. პაიკი; 6. რიწა; 8. ტრიო; 9. ბალი; 11. ბუზი; 12. ტროა; 14. ნუკრი; 16. საათი; 22. ემალი; 23. ლელო; 24. ნესვი; 27. ორბი; 28. ლირა; 29. გაგრა; 31. პიერო 33. აფრიკა; 34. მეხიკო.

**თ ა რ ა ზ უ ლ ა დ:** 5. კირი; 7. ეტლი; 10. წაბლი; 13. ლენა; 15. ოსლო; 17. ნილოსი; 18. არტეკი; 19. კამა; 20. ძილა; 21. მართვე; 24. ნეპალი; 25 მაია; 26. ჩილე; 30. რიონი; 32. გოია; 34. მანე.

### გამოცანები

ხანძარი, ღალდი, ქვიჯა, ზვავი, ტყუილი, ნული, ლრუბელი, ჭაერი.

### შარადა

მაყ (ვა) ლი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩვენი საგამოფენო დარბაზი



„ცელქი ბავშვი“ ჟან-ბატისტ გრეზი

ცნობილი ფრანგი მხატვარი ჟან-ბატისტ გრეზი ცხოვრობდა მეთვრამეტე საუკუნეში, სწორედ მაშინ, როდესაც ხელოვნებაში მკაცრი და პარადული აკადემიური სტილი ნელ-ნელა ადგილს უთმობდა ახალ მიმდინარეობებს. მათგან ყველაზე ფართოდ გავრცელდა როკოკოს, ანუ როკაილის სტილი (როკაილი ნიჟარას ნიშნავს. ასე უწოდეს ახალ სტილს იმის გამო, რომ იმდროინდელი მხატვრები ხშირად იყენებდნენ ხოლმე ნიჟარის ფორმას).

ეს მანერა გამოირჩეოდა განსაკუთრებული დახვეწილობით, ელეგანტურობითა და მხიარულებით. მისი მიმდევრები — სახელგანთქმული ფრანგი მხატვრები ბუშე, ფრაგონარი, ლანკრე — გამოსახავდნენ სცენებს არისტოკრატთა ცხოვრებიდან, მითოლოგიურ სიუჟეტებს, პასტორალებს — იდეალიზებულ სცენებს მწყემსთა ყოფიდან. მათი თანამედროვე იყო გრეზიც, და მანაც უარყო აკადემიზმის ცივი და მკაცრი ხელოვნება.

მაგრამ გრეზის ფერწერას სხვა შინაარსი ჰქონდა — იგი უბრალო ხალხის, ე. წ. „მესამე წოდების“ ცხოვრებისადმი იყო მიძღვნილი. მხატვარს განსაკუთრებით იზიდავდა კეთილშობილური გრძნობების, მაღალი მორალური პრინციპების მქონე, თავმდაბალი და პატიოსანი ადამიანების გამოსახვა, მყუდრო ოჯახური სცენების ხატვა.

„ცელქი ბავშვი“ გრეზის შემოქმედებისათვის ძალზე დამახასიათებელი ნაწარმოებია. ეს პატარა ჟანრული სურათია, მეტად თბილი, ინტიმური და ცოცხალი. საკმაოდ არეულ-დარეულ სამზარეულოს კუთხეში სადილობს პატარა ხუჭუჭა ბიჭი. კოვზით იგი მალულად აწვდის თავის საჭმელს ლამაზ ფინიას და თან თვალს დედისკენ აპარებს. იქვე მჯდომ დედას კი, ეტყობა, გუნებაში ეცინება. იგი ნაზად იღიმება და თითით ძაღლს ტუქსავს.

გრეზს ძალიან უყვარდა უბრალო ოჯახური იდილიების გამოსახვა, დიდი გულმოდგინებითა და სიყვარულით ამოწერა მან მომხიბლავი ბავშვის სახე და უშუალო მოძრაობა, ახალგაზრდა დედის ნაზი, სასიამოვნო ნაკვთები, პატარა ფინიას აბრეშუმივით რბილი ბეწვი და ცოცხალი მოძრაობით აღსავსე ფიგურა.

როგორც ხედავთ, აქ ყველაფერი ხაზგასმულად უბრალო, სადა და ყოველდღიურია — პერსონაჟების ტანსაცმელიც, სამზარეულოს ავეჯიც, ჭურჭელიც. ასეთივე ჩვეულებრივი და უშუალოა მოქმედების ხასიათი. ყოველივე ამით გრეზს სურდა, გაემძაფრებინა შეულამაზებელი, ნამდვილი, უტყუარი ცხოვრების შთაბეჭდილება, მაგრამ თავად პერსონაჟები მხატვარმა მაინც ნაწილობრივ შეალამაზა — ცოტა ზომაზე მეტად გასათუთებულად, განაზებულად და ლამაზად გამოიყვანა. ამის გამო რეალისტურობის შთაბეჭდილება ერთგვარად შესუსტდა, ხოლო სურათის თბილმა მგრძნობიარობამ ოდნავ გაზვიადებული იერი შეიძინა.

სამაგიეროდ, ეჭვს არ იწვევს სურათის შესრულების მაღალი დონე, მხატვრის ოსტატობა და გემოვნება. სურათის რბილი და თბილი კოლორიტი, ყავისფერის, მწვანის, ნაცრისფერისა და თეთრის მრავალფეროვანი, დახვეწილი შეხამებები თითქოს მეთვრამეტე საუკუნის სხვა დიდი ფრანგი ფერმწერის — ჟან-ბატისტ სიმეონ შარდენის შემოქმედებას მოგვაგონებს. მასვე გვაგონებს ის დიდი სიყვარული და ოსტატობა, რომლითაც გრეზი გამოსახავს სამზარეულოს უბრალო ჭურჭელს, მასალის ფერისა და ფორმის თავისებურ სილამაზეს. მინის გამჭვირვალე ჭიქა, თიხის დიდი დოქი, სპილენძის დიდი, მოწითალო ქვაბი და მრავალი სხვა საოცრად მკვიდრად, მატერიალურად და ლამაზად გამოიყურება.

ცოტა სხვაგვარი მანერით აქვს მხატვარს შესრულებული თავად პერსონაჟები. ბავშვისა და დედის თმა, კანი, ნაკვთები ძალიან მსუბუქი, რბილი, გამჭვირვალე მონასმებითაა ამოწერილი, რაც უფრო ძლიერ მოგვაგონებს როკოკოს ოსტატთა მანერას.

გრეზი არ იყო ტიტანური სულიერი ძალის ან დაუოკებელი გრძნობათა ღელვის ამსახველი შემოქმედი, მის ხელოვნებას არც დიდი გადატრიალება მოუხდენია, მაგრამ მისი წყნარი და თბილი სულიერი სამყარო და ფაქიზი გემოვნება დღესაც დიდ მხატვრულ ზემოქმედებას ახდენს, მისი ნაწარმოებების მაღალ ფერწერულ ღირსებებს ჩვენს დროშიც არ დაუკარგავს მომხიბვლელობა და მნიშვნელობა.

თეო ჯალაღანია,
ხელოვნებათმცოდნე